უჩა ბლუაშვილი

საქართველოს მწვანეთა პარტია — წარსული, აწმყო, მომავალი

თბილისი

2012

UDC (უაკ) 329 (479.22) (09)
ბ - 777

საქართველოს მწვანეთა პარტია პოლიტიკურ ასპარეზზე გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა. ევროპული ტიპისა და ევროპული ორიენტაციის პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბებიდან ძალზე მოკლე დროში ქართველმა მწვანეებმა შეძლეს საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ინტელექტუალრ ძალად თავის დამკვიდრება. მკვეთრად გამოხატული გარემოსდაცვითი მიმართულების მიუხედავად მწვანეები არასოდეს შემოფარგლულან მხოლოდ და მხოლოდ ეკოლოგიური პრობლემატიკით, აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მნიშვნელოვან ზეგავლენასაც ახდენდნენ მასზე. საქართველოს მწვანეთა პარტია ევროპაში ერთერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალის - ვროპის მწვანეთა პარტიის დამფუძნებელი და მისი აქტიური წევრიცაა.

წინამდებარე ნაშრომი საქართველოს მწვანეთა მიერ განვლილი გზის გაშუქების პირველ მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს. ვფიქრობთ, მას ინტერესით გაეცნობა ქართული პოლიტიკით დაინტერესებული ყველა მკითხველი.

რედაქტორი: ზაზა აბაშიძე
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი

რეცენზენტი: ალექსანდრე დაუშვილი
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი

ISBN 978-9941-0-4107-5

შესავალი

ეკოლოგიური საკითხებისა და პროექტების მიმართ სიმპათიის აღსანიშნავად ტერმინი „მწვანე" XX საუკუნის 50-იანი წლებიდან გამოიყენება. 70-იანი წლებიდან სულ უფრო და უფრო იზრდებოდა იმ პარტიების რიცხვი, რომლებმაც ეს სახელწოდება მიიღეს. მათ შორის პირველები გერმანელები იყვნენ. მწვანეთა პარტიების წარმოშობა იმას ნიშნავდა, რომ ეს ტერმინი კონკრეტულ იდეებსა და პოლიტიკას დაუკავშირდა. თუმცა, ეკოლოგიური იდეების ფესვები გაცილებით შორეულ ისტორიულ წარსულშია საძიებელი.

ამასთან, ეკოლოგიზმი მნიშვნელოვანი დოზით იყო და არის რეაქცია ინდუსტრიალიზაციაზე. ეს აშკარა გახდა XIX საუკუნეში, როდესაც ქალაქური და ინდუსტრიული ცხოვრების გავრცელებამ გაიდეალებული სოფლის ცხოვრების ძლიერი ნოსტალგია გამოიწვია. საუკუნის ბოლოსთვის გერმანიაც იქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელსაც შეეძლო დაპირისპირებოდა აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის ეკონომიკურ ძლიერებას. ამ გამოცდილებამ ღრმა კვალი დაასვა გერმანულ პოლიტიკურ კულტურას, შექმნა მითები გლეხური ცხოვრების სიწმინდესა და ღირსეულობაზე, გერმანელ ხალხში წარმოშვა ძლიერი მოძრაობა დევიზით — „უკან ბუნებისკენ".

XX საუკუნის დამდეგიდან ეკოლოგიზმის ზრდას ახალი ბიძგი მისცა ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის შემდგომმა და უფრო მძლავრმა განვითარებამ. ადამიანებში განმტკიცდა შეგნება, რომ ინდუსტრიალიზაციის უკონტროლო ზრდამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას კაცობრიობის არსებობას და თვით იმ პლანეტასაც, რომელზეც ის სახლობს. ამიტომაც, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, იაპონია, იტალია, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვ.) აღმოცენება იწყეს ეკოლოგიურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც გამოხატავდნენ მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილებას გარემოს თანდათანობითი დაბინძურების გამო. სამრეწველო ცენტრებში ჩნდებიან მრავალრიცხოვანი „ეკოლოგიურ აქ-

ტივისტთა" ჯგუფები. მოძრაობაში ჩაებნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები — ახალგაზრდობა, ფერმერები, მუშები, ინტელიგენცია და სხვ.

ეკოლოგიური მოძრაობის პირველმა წარმატებებმა ამ მოძრაობის აქტივისტებს საკუთარი ძალების რწმენა განუმტკიცეს. ცხადი გახდა ისიც, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გარემოსდაცვითი საქმიანობა მეტისმეტად ვიწრო ასპარეზია და მიზნის მიღწევისთვის აუცილებელია ბრძოლის უფრო აქტიურ ფორმებზე გადასვლა. ამან დასაბამი მისცა ეკოლოგიური მოძრაობის ორგანიზაციული გაფორმების პროცესებს საერთო ეროვნულ მასშტაბში.

70-იანი წლების დასაწყისისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა 3 ათასამდე სხვადასხვა სახის ეკოლოგიური ორგანიზაცია. მათ შორის: „დედამიწის მეგობრები", „ეკოლოგიური მოქმედება", „გარემოს დაცვის ფონდი" და ა. შ. საერთო ეროვნული ეკოლოგიური ორგანიზაციები შეიქმნა სხვა ქვეყნებშიც: გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — „გარემოს დაცვისთვის მოქალაქეთა ინიციატივის ფედერაციული კავშირი," იტალიაში — „იტალიისთვის", „ცისარტყელას პარტია", „ეკოლოგიური არქიპელაგი", „იტალია ნოსტრა", საფრანგეთში — „პოლიტიკური ეკოლოგიური მოძრაობა" და ა. შ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განვითარებული ეკოლოგიური მოძრაობების საერთო მიზანმა და იმის შეგნებამ, რომ გარემოს დაცვის გლობალური პრობლემა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ძალისხმევის ასეთივე გლობალურ გაერთიანებას მოითხოვს, აღნიშნული მოძრაობის კოორდინაციის აუცილებლობა წარმოშვა. ამ მიზნისთვის საწყის ეტაპზე გამოძებნილ იქნა სოციალური პროტესტის გამომხატველი ისეთი ფორმა, როგორიცაა — „დედამიწის დაცვის დღის" მასობრივი ღონისძიებებით აღნიშვნა.

ამ მოძრაობას აქტიურად დაუჭირეს მხარი პროფკავშირულმა გაერთიანებებმა, ქალთა ორგანიზაციებმა, ახალგაზრდულმა კავშირებმა და სხვ. თავად მწვანეები შემდეგნაირად განმარტავენ თავიანთი წარმოშობის სოციალურ

და იდეოლოგიურ ფესვებს: „ჩვენს წარმოშობას საფუძველი რამდენიმე სოციალურმა მოძრაობამ დაუდო: გარემოს დამცველმა და ბირთვული ტექნოლოგიების წინააღმდეგ მებრძოლმა აქტივისტებმა, რომლებიც პლანეტის წინაშე მდგარი მრავალი საფრთხით იყვნენ შეშფოთებულნი; ძალადობის მოწინააღმდეგეებმა და მშვიდობისთვის მებრძოლმა აქტივისტებმა, რომლებიც კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიულ, მშვიდობიან გზებს ეძებდნენ; ფემინისტებმა, რომლებიც მამაკაცებსა და ქალებს შორის რეალური თანასწორობის მისაღწევად იბრძოდნენ; თავისუფლების და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლმა მოძრაობებმა, რომლებიც ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ იბრძოდნენ; მესამე სამყაროს სოლიდარობის მოძრაობებმა, რომლებიც კოლონიზაციის დასრულებას და ჩვენი პლანეტის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ეკონომიკურად უფრო დაბალანსებულ ურთიერთობებს უჭერდნენ მხარს; ჩვენი საზოგადოების შიგნით სიღარიბის და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლმა აქტივისტებმა".[1]

1970 წლის 22 აპრილს აშშ-ში „დედამიწის დაცვის დღის" აღსანიშნავად გამართულ მიტინგებში მონაწილეობა ათეულ მილიონობით ადამიანმა მიიღო. მეტიც, ამ დღეს ამერიკის კონგრესმაც კი შეწყვიტა მუშაობა და კონგრესმენებიც მომიტინგეებს შეუერთდნენ. აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ნიქსონმა მოსახლეობისადმი თავის მიმართვაში ამ ღონისძიებას „ჯანსაღი" უწოდა, ხოლო მასში მონაწილეობა კი „ეროვნული პატრიოტიზმის უმაღლეს გამოვლინებად" მიიჩნია.

იმავე წლის თებერვალში მასობრივი „ეკოლოგიური" დემონსტრაციები ჩატარდა იაპონიაში. პროფკავშირების გენერალური საბჭოს მიერ მოწყობილ გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო მანიფესტაციაში ტოკიო-

---

1. ევროპის მწვანეთა მოძრაობის სახელმძღვანელო პრინციპები. მიღებულია ევროპის მწვანეთა პარტიის მე-2 ყრილობაზე. ჟენევა, 2006 წ. 13-14 ოქტომბერი, WWW greenspart.ge;

ში მონაწილეობა 800 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო. ამ აქციების მიზანი იყო არა მხოლოდ მონოპოლისტებზე ზემოქმედება, არამედ ეკოლოგიური პრობლემებისადმი მასების ყურადღების მიპყრობაც.

ამავე ამოცანას ისახავდა მიზნად აშშ-ის პატარა ქალაქ სპოკინში და იაპონიის კუნძულ ოკინავაზე მოწყობილი საერთაშორისო გამოფენებიც. პირველი განგაშს ტეხდა გარემოს კატასტროფული დაბინძურების გამო, მეორე — იდეალურ, თითქმის უტოპიურ მომავალზე ოცნებას წარმოადგენდა.

ეკოლოგიური პრობლემების პროპაგანდის საქმეში დიდი როლი შეასრულა დენის ჰედოისის ბესტსელერმა — „ზრდის საზღვრები", რომელიც 4 მილიონი ტირაჟით გამოვიდა და მსოფლიოს 30 ენაზე ითარგმნა.

1972 წელს აშშ-ის საარჩევნო კამპანიის დროს გუბერნატორების თანამდებობებზე ეკოლოგიური მოძრაობის მხარდაჭერით 47 კანდიდატი გავიდა. პოლიტიკოსებმა კარგად აუღეს ალღო მასების განწყობას და თავიანთ საარჩევნო პროგრამებში ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისთვის მედგარ მებრძოლებად წარმოადგენდნენ თავს. 1976 წელს აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა სახელმწიფოს ყველაზე საპასუხისმგებლო პოსტებზე სწორედ ის პირები დანიშნა, რომლებიც ყველაზე მეტს და ყველაზე ხმამაღლა საუბრობდნენ გარემოსდაცვით პრობლემებზე.

თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ ადამიანების უმრავლესობა მალევე ივიწყებდა თავიანთ წინასაარჩევნო დაპირებებს ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის შესახებ. ამან უკარნახა მწვანეებს, რომ უარი ეთქვათ „ეკოლოგიური აქტივისტების" მხარდაჭერაზე და არჩევნებზე კანდიდატები თავიანთი რიგებიდან დაესახელებინათ.

ამრიგად, მოვლენების განვითარების ლოგიკამ მწვანეები პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა.

1980 წელს გერმანიის მწვანეებმა თავი პოლიტიკურ პარტიად გამოაცხადეს. იმავე წელს საპარლამენტო არჩევნებში მათ ხმების 1,5 პროცენტი მოაგროვეს, სამი წლის შემდეგ —

5,6, ხოლო 1987 წელს მათი მხარდამჭერების რაოდენობამ 8,3 პროცენტი შეადგინა.

საფრანგეთში მწვანეთა მოძრაობა 1968 წლიდან არსებობს. მოგვიანებით ისინიც გამოვიდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. თუმცა, მწვანეთა მოძრაობას საფრანგეთში არასოდეს მიუღია გფრ-ის მსგავსი სიმძაფრე, რისი ძიზეზიც მოძრაობაში არსებული განხეთქილება უნდა იყოს. 1978 წელს საფრანგეთის მწვანეთა პარტია ორად გაიყო, რის შემდეგაც მისი რეიტინგი ქვეყანაში მკვეთრად დაეცა.

შედარებით ნაკლები სტაჟი აქვს იტალიელ მწვანეთა მოძრაობას — მათი აღიარება მხოლოდ 80-იან წლებში მოხდა. იტალიელ მწვანეთა სპეციფიკა ისაა, რომ ისინი მხოლოდ პროპაგანდით იფარგლებიან და შორეულ მომავალშიც არ სურთ დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნა.

ეკოლოგიური მოძრაობა საკმაოდ ძლიერია დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ბელგიაში, შვეციაში და ა. შ.

თვალში საცემია მწვანეთა მოძრაობაში ქალი ლიდერების სიმრავლეც.

საინტერესოა ერთი გარემოებაც: საწყის ეტაპზე ეკოლოგიურ მოძრაობას, თითქმის ყველგან, რადიკალიზმი ახასიათებდა. უკანასკნელ წლებში კი მწვანეთა მიერ წამოყენებული მოთხოვნების უდიდესი ნაწილი სამთავრობო პროგრამებში ჰპოვებს ასახვას.

თითოეული ქვეყნის მწვანეთა მოძრაობას თავისი სპეციფიკა გააჩნია. თუმცა, არის საერთო ნიშნებიც: ეკოლოგიურ კატასტროფებზე ოპერატიული რეაგირება და ადგილებზე საინიციატივო ჯგუფების გაგზავნა კატასტროფის შედეგების უსწრაფესი აღმოფხვრის მიზნით; ენერგიული პროტესტი იმ საწარმოთა საქმიანობის მიმართ, რომლებიც ზიანს აყენებენ გარემოს, უკომპრომისობა ატომური ენერგეტიკის გამოყენების მიმართ და ა. შ.

მთავარი კი ის არის, რომ მათ აქვთ საერთო მიზანი — ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნა.

მწვანეთა მოძრაობის ინტერნაციონალური ხასიათის ნათელი მაგალითია გფრ-ის მწვანეთა განცხადება მოსკოვის

1988 წლის ოქტომბრის კონფერენციაზე. საბჭოთა ადამიანებს მათ გფრ-დან ატომური ელექტროსადგურების მიერ გამოყოფილი ნარჩენების საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შემოტანის გაპროტესტებისკენ და „ეროვნული სიამაყისკენ" მოუწოდეს, რითაც დაამტკიცეს, რომ მწვანეები არ იზღუდებიან სახელმწიფო საზღვრებით და პრობლემას საერთო პლანეტარულ მასშტაბში განიხილავენ.

სწორედ პრობლემისადმი ამგვარმა მიდგომამ განაპირობა ჯერ კიდევ 1969 წელს აშშ-ს, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და კანადის მწვანეთა მოძრაობების მიერ საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაცია „გრინფისის" დაარსება. მომდევნო წლებში ამ ორგანიზაციას სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ. ამჟამად გრინფისი ერთ-ერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციაა. პრინციპული საკითხების თაობაზე გადაწყვეტილებას აქ 9 სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან შემდგარი საერთაშორისო საბჭო ღებულობს (დანარჩენ სახელმწიფოებს სათათბირო ხმა აქვთ). საბჭოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. 80-იან წლებში გრინფისმა გაეროსთან არსებული მიმომხილველის სტატუსიც მიიღო.

თავიანთი ძალისხმევის გაერთიანების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ევროპის მწვანეებმაც. 1984 წელს მათ შექმნეს საკოორდინაციო ორგანო, რომელიც 1993 წელს „მწვანეთა პარტიების ევროპულ ფედერაციად", ხოლო 2004 წელს — „ევროპის მწვანეთა პარტიად" გარდაიქმნა. პოსტსაბჭოთა სივრციდან ამ ორგანიზაციაში პირველები ესტონეთისა და საქართველოს მწვანეთა პარტიები გაერთიანდნენ.

1989 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მწვანეებმა სოციალისტებთან ერთად რეგიონული მმართველი კოალაციები ჩამოაყალიბეს. შემდგომში მათ სოციალისტებთან ერთად სამთავრობო დონეზე მმართველი კოალაციაც შექმნეს.

ტრადიციულად კარგი შედეგები აჩვენეს გერმანელმა მწვანეებმა უკანასკნელ არჩევნებში. მათ შემოსული ხმების

12 პროცენტი მოაგროვეს. მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ფრანგმა მწვანეებმაც. მიღებული ხმების რაოდენობით ისინი სოციალისტებს გაუთანაბრდნენ.

ეროვნულ სახელმწიფოებში მიღწეულმა წარმატებებმა მყარი საფუძველი ჩაუყარა მწვანეთა საერთო ევროპულ წარმატებასაც. ევროპარლამენტის არჩევნებზე მწვანეებმა 51 დეპუტატი გაიყვანეს, რაც დეპუტატთა საერთო რაოდენობის 7 პროცენტს შეადგენს.

„მოგეხსენებათ, ... რომ ევროპის პარლამენტი არის ძალზე გავლენიანი ორგანო, რომელიც წყვეტს ევროპის ბედს, მის ხვალინდელ განვითარებას. ამდენად, არა მარტო ჩვენი პარტიისთვის, არამედ უპირველესად, საქართველოსთვის არის მნიშვნელოვანი ევროპის მწვანეთა პარტიის ეს უდიდესი წარმატება", — განაცხადა ბრიფინგზე საქართველოს მწვანეთა ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ.

2010 წლის დეკემბერში მექსიკის ქალაქ კანკუნში გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციასთან დაკავშირებით გამართულ მე-16 კონფერენციაზე გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „მწვანე ამბიცია" უმთავრესი ფაქტორია გარდამავალ პერიოდში მყოფი დემოკრატიების, კერძოდ, საქართველოს განვითარებისა და სტაბილურობისთვისო.

მაგრამ რეალობა მკვეთრად განსხვავდება იმისგან, რაზეც კონფერენციაზე სააკაშვილმა ისაუბრა. საქართველოს მთავრობის მთელი პრაქტიკა გვიჩვენებს გულგრილ დამოკიდებულებას გარემოსადმი. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პრიორიტეტი, როგორც ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს და, პირადად პრეზიდენტს არაერთხელ განუცხადებიათ, ბიზნესის ხელშეწყობაა. ამას თვალნათლივ ამტკიცებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამონისტროსთვის სახელის შეცვლა და ძირითადი გარემოსდაცვითი ფუნქციების ჩამორთმევა. ის ახლა იწოდება გარემოს დაცვის სამინისტროდ. მისი ფუნქციები გადეცა ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროებს.

ცხადია, ბიზნესისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა კარგი საქმეა. მას ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადამიანების დასაქმება მოაქვს (თუმცა, დღემდე ძალზე ცოტა სამუშაო ადგილია შექმნილი). მაგრამ, ბიზნესის მკაცრი ეკონომიკური იმპერატივი ყოველთვის არ ემთხვევა გარემოს დაცვის მიზნებს. ბიზნესი ყოველთვის მაქსიმალური მოგებისთვის იბრძვის — ასეთია მისი ბუნება. მთავრობა კი იმისთვის არსებობს, რომ გააკონტროლოს წარმოება, არ მისცეს მას მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ხარჯზე გამდიდრების საშუალება.

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს მთავრობა ამას არ ან ვერ აკეთებს. მეტიც, მან გარემოს დაცვის მონიტორინგი მთლიანად არასამთავრობო ორგანიზაციებს გადააბარა. მთავრობა არ ასრულებს თავისივე კანონს, რომლის თანახმადაც ის ვალდებულია პირველივე მოთხოვნისთანავე გასცეს ეკოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაცია, არ ზრუნავს მოსამართლეთა, საჯარო მოხელეთა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ეკოლოგიურ და ბუნებისდაცვითი ცოდნის გაღრმავებაზე.

მწვანეთა მიერ ამ საკითხების დაყენებისთანავე მთავრობა გაღიზიანებული იწყებს მტკიცებას, რომ მას უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტები გააჩნია.

საქართველოში ეკოლოგიური შეგნების ზრდაზე ნეგატიურად მოქმედებს სოციალური, ყოფითი პრობლემების სიმწვავეც.

სიძნელეების მიუხედავად, ეკოლოგიური მოძრაობა მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც აღმავალი ხაზით ვითარდება. მწვანეთა მოძრაობამ დროის გამოცდას გაუძლო. ცხადია ისიც, რომ გლობალური ხასიათის ისეთი პრობლემების გაღრმავების ფონზე, როგორიცაა გლობალური დათბობა, წყალდიდობები, ცუნამები, მიწისძვრები და სხვა, მისი პოპულარობა და გავლენა სულ უფრო იზრდება.

თავი I

სათავეებთან

გასული საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა იმპერია ღრმა სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. გორბაჩოვის გუნდმა, რომელმაც გააცნობიერა, რომ „ყველაფერი დალპა" და რომ „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება", ტოტალიტარული სახელმწიფოს გადარჩენა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მოდერნიზაციით — „გარდაქმნის" კურსის რეალიზაციით სცადა. საბჭოთა პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სისტემის რადიკალური გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესმა მანამდე საგულდაგულოდ მიჩქმალული არაერთი პრობლემა გამოიტანა სააშკარაოზე. გარდაქმნის პროცესმა გააშიშვლა ყველა ის ნაკლი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში საზოგადოების ბიუროკრატიულ-მბრძანებლური მეთოდებით მართვამ დააგროვა.

დემოკრატიზაციის პროცესმა შესაძლებელი გახადა კომუნისტური იდეოლოგიური წნეხისგან თავისუფალი ალტერნატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაც. 1987-1989 წლებში საქართველოში, ფაქტიურად, მრავალპარტიულ სისტემას ჩაეყარა საფუძველი. ახლადშექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციების სპექტრი რადიკალური კომუნისტურიდან და სოციალ-რეფორმისტულიდან რადიკალურ მემარჯვენე მიმართულებამდე მერყეობდა. ამ დროს შექმნილი პარტიებიდან აღსანიშნავია: სოციალ-დემოკრატიული პარტია (გ. მუჩაიძე), სტალინის საზოგადოება (გ. ონიანი), ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორობის პარტია (გ. ჭინჭარაული), სოციალური სამართლიანობის კავშირი (ა. იოსელიანი), მთიელთა პოლიტიკური კავშირი, პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი", „დემოკრატიული პარტია (ქ. ღარიბაშვილი), „დემოკრატიული კავშირი (ა. მარგიანი), ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი (ვ. ადვაძე), სახალხო

ფრონტი (ნ. ნათაძე), ეროვნული სამართლიანობის (შემდგომში — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, ლიდერი ი. შენგელაია), ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია (მ. ნანეიშვილი), რესპუბლიკური პარტია (ვ. ძაბირაძე, ლ. და დ. ბერძენიშვილები), ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (ზ. ჭავჭავაძე, თ. ჩხეიძე), ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი (ა. ასათიანი) და ა. შ. მემარჯვენე მიმართულების რადიკალურ ფრთას წარმოადგენდნენ; ჰელსინსკის კავშირი (ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გ. ჭანტურია), ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ი. წერეთელი), კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია (თ. ჟორჟოლიანი), მერაბ კოსტავას საზოგადოება (ვ. ადამია) და ა. შ.

მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ხელისუფლებამ „ჩათრევას ჩაყოლა" ამჯობინა — გადაწყვიტა თვითონ აეღო ინიციატივა და ამ გზით, რამდენადმე მაინც, მართვადი გაეხადა ეს პროცესი. 1988 წლის 19 მარტს სწორედ მაშინდელი ხელისუფლების ხელშეწყობით და, შესაძლოა, ინიცირებითაც, თბილისში გაიმართა რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია. ახლადშექმნილი ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. ორგანიზაციის გამგეობაში მაშინდელი ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის არაერთი წარმომადგენელი შევიდა.

ხელისუფლებამ რუსთაველის საზოგადოებას, ქართველი ხალხის გამაერთიანებელი მისიის ნაცვლად, საბჭოთა ხელისუფლებასთან რადიკალურად დაპირისპირებული პოლიტიკური ორგანიზაციების საპირწონეს ფუნქცია დააკისრა. ამ მიზნით მას ხელისუფლებამ გარკვეული პრივილეგიებიც შეუქმნა. თუმცა, ხელისუფლების გათვლები ამჯერადაც მცდარი აღმოჩნდა: ქართველმა ინტელიგენციამ მისი დაკვეთა არ შეასრულა. სამაგიეროდ, სწორედ იმან, რომ საზოგადოების გამგეობას ხელისუფლების ინტერესებსა და ეროვნულ ინტერესებს შორის ლავირება უხდებო-

და, მისადმი ქართველი საზოგადოების ნდობა, გარკვეულწილად, შეარყია. საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი კონვულსიებით ფრთაშესხმული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის იმ ხანაში არც ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ავტორიტეტი, არც ისეთი ეროვნული მოღვაწის პოპულარობა, როგორიც აკაკი ბაქრაძე გახლდათ, საკმარისი არ აღმოჩნდა ეროვნული მოძრაობის ტონის მიმცემ ორგანიზაციად რუსთაველის საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას რადიკალურად განწყობილი სხვა ლიდერები წარუძღვნენ.

მოგვიანებით, აკაკი ბაქრაძე, განვლილ მოვლენებს რომ აანალიზებდა, დაასკვნიდა: ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა რომ ევოლუციის, თანდათანობითობის გზას დასდგომოდა, იგი ძმათა სისხლით არ შეიღებებოდა, ბუნებრივი განვითარების პროცესს გაჰყვებოდა. თავისუფლება, რომელიც ღმერთმა გვიბოძა, უცრემლოდ და უსისხლოდ დამკვიდრდებოდა საქართველოში, მაგრამ სულსწრაფობის გამო ქართველმა ხალხმა უარყო თანდათანობითობის გზა. უცბად და ერთბაშად მოინდომა იმის მიღება, რის მოპოვებასაც დიდი მოთმინება, წესრიგი, შრომა, სიყვარული და გონიერება სჭირდებოდა."[2]

რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმთან შექმნილ კომისიებს შორის ერთ-ერთი იყო **ეკოლოგიისა და დემოგრაფიის კომისია,** რომლის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე აკაკი ბაქრაძე.[3]

მალე **თბილისის უნივერსიტეტში ახალგზრდა ზურაბ ჟვანიამ წამოაყენა ინიციატივა რუსთაველის საზოგადოებაში გარემოს დაცვის ავტონომიური სექციის შექმნის შესახებ.** მისი საქმიანობის მთავარ მიმარ-

---

2. დიმიტრი შველიძე, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში, თბ. 2008, გვ. 24.

3. გაზ. „კომუნისტი", 1988 წ. 20 მარტი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1988 წ. 20 მაისი.

თულებებად განისაზღვრა: საჯაროობა ეკოლოგიურ საკითხებში, საზოგადოებაში ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება, გარემოს დაცვის კონკრეტულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა და ა. შ. „საინიციატივო ჯგუფის წევრებმა საჭიროდ მივიჩნიეთ ამგვარი განცხადების გამოქვეყნება, რათა თითოეულ დაინტერესებულ პირს მიეცეს დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის საშუალება", — ნათქვამი იყო საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერდნენ: რეზო ამაშუკელი, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე; მარიამ ლორთქიფანიძე, თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი; გივი თუმანიშვილი, რუსთაველის საზოგადოების თსუ განყოფილების წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი; მიხეილ ღოლობერიძე, სპი-ის წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; იულონ გაგოშიძე, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; ნანა ნემსაძე, თსუ ეკოლოგიის კათედრის დოცენტი; ნუგზარ ზაზანაშვილი, ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტეს ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი; ზურაბ ჟვანია, თსუ ექსპერიმენტული და თეორიული ბიოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; პაატა ამონაშვილი, თსუ სოციოლოგიის კათედრის ასპირანტი; ზაზა ქორქაშვილი, თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, გიგი თევზაძე, თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, მამუკა შენგელია, თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.[4]

ხელისუფლებამ სცადა ინიციატივა აქაც თავის ხელში აეღო. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო „ახალგაზრდა კომუნისტი" გამოვიდა ინიციატივით

4. გაზ. „თბილისი", 1988 წ. 11 მაისი.

ბუნების დაცვის ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნის შესახებ. „დღეს უკვე შეუძლებელია დავრჩეთ გულგრილნი ისეთი პრობლემებისადმი, როგორიც არის ჩვენი პლანეტის, კერძოდ კი მისი ეკოლოგიური სისტემის აწყმო და მომავალი. ყველასთვის ნათელია, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია გაგრძელდეს ჩვენი უხეში, მომხმარებლური, ზოგჯერ კი ბარბაროსობამდე მისული დამოკიდებულება ბუნებისადმი", — ნათქვამი იყო მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერდნენ ახალგაზრდა მეცნიერები: ნინო ფორაქიშვილი, მერაბ ადეიშვილი, გოგი ვაშაყმაძე, ზურაბ გუმბერიძე, ვაჟა გუჯაბიძე, მერაბ კაკულია, ზაზა ნიშნიანიძე, სოსო სალუქვაძე, პაატა სურგულაძე, გია ცაგარელი. ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან იქმნებოდა ბუნების დაცვის ახალგაზრდული გაერთიანება. გაზეთი აქვეყნებდა ასოციაციის დებულების პროექტსაც.[5]

რუსთაველის საზოგადოების გარემოს დაცვის ავტონომიური სექცია კი აქტიურად შეუდგა მუშაობას. საზოგადოების პრეზიდიუმის პირველივე სხდომაზე აკაკი ბაქრაძემ ყურადღება ეკოლოგიურ პრობლემებზე გაამახვილა. „საზოგადოებაში მოდის წერილები, — თქვა მან, — რომლებშიც გამოთქმულია წუხილი ქვეყანაში არსებული ეკოლოგიური ვითარების გამო. გამოყოფენ ძირითადად სამ პრობლემას: ქ. თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობა, შავი ზღვის აუზის დაბინძურება, კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა. ბოლო დროს ამ პრობლემებს მინაძის წყალსაცავის მშენებლობაც მიემატა.

სამწუხაროა, რომ ჩვენს მეცნიერებს ამ საკითხებზე დასაბუთებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხი არ მოეპოვებათ. მოგახსენებთ, რომ კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა შეჩერდა იმის გამო, რომ შესწავლილი არ არის არაგვის ხეობის ეკოლოგიური მდგომარეობა, რომ ადვილი შესაძლებელია თბილისი უწყლოდ დარჩეს. აქ

5. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1988 წ. 7 მაისი.

გაჩნდა სასმელი წყლის თრიალეთიდან შემოყვანის იდეა. ამ იდეას მომხრენიც ჰყავს და მოწინააღმდეგენიც. არსებობს აზრი, რომ თრიალეთის წყალი თბილისს არ ეყოფა."[6]

უკვე 1988 წლის 4 ივლისს, ეკოლოგიური ასოციაციის ინიციატივით მოეწყო თბილისის წყალმომარაგების პროექტის საჯარო განხილვა. პროექტი ალგეთის ხეობიდან არტეზიული წყლების თბილისში შემოყვანის გზით დედაქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. ეს მატერიალური რესურსების ფუჭი ხარჯვა იყო. თბილისს სჭირდებოდა არა დამატებითი წყლის ნაკადი, არამედ ერთიანად ამორტიზებული წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია. საქართველოს დედაქალაქი მოქმედი წყალსაცავებიდან საკმარისზე გაცილებით მეტ წყალს იღებდა. წყლის დეფიციტი არა მოწოდებული წყლის სიმცირის, არამედ მოძველებული და მწყობრიდან გამოსული წყალგაყვანილობის შედეგი იყო.

ახალი პროექტის განხორციელება კი ალგეთის ხეობას აუნაზღაურებელ ეკოლოგიურ ზიანს მიაყენებდა.

ეკოლოგიური ასოციაციის მხრიდან პროექტს ოპონირებას უწევდა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ღოღობერიძე. განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ იულონ გაგოშიძე და ნანა ნემსაძე.

ეკოლოგიური ასოციაციის წევრებმა შეძლეს დაესაბუთებინათ აღნიშნული პროექტის მიზანშეუწონლობა. პროექტი უარყოფილ იქნა.

ასოციაციის აქტიურობის მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსი გარემოსდაცვითი საქმიანობის უფრო ფართოდ გაშლის საშუალებას არ იძლეოდა. მისი მუშაობა შეუმჩნეველი რჩებოდა ევროპელი მწვანეებისთვისაც. 1988 წლის აგვისტოში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „მწვანეთა" წარმომადგენელი პარლამენტში — ალფერდ ჰორნი. თბილისში მას შეხვედრები ჰქონდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მან ინტერვიუ მისცა გაზეთ „თბილისსაც". არც შეხვე-

6. გაზ. „თბილისი", 1988 წ. 21 მაისი.

დრებში და არც ინტერვიუში ქართველი მწვანეები ჯერ კიდევ არ ფიგურირებენ.[7]

1988 წლის სექტემბრიდან ეკოლოგიურმა ასოციაციამ დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობის საწინააღმდეგო კამპანია. თავდაპირველად იყო მცდელობა, რომ შეჩერებულიყო კასკადის მშენებლობა (მესტიაჰესი - ტობარჰესი) და ჩატარებულიყო აღდგენითი სამუშაოები. თუმცა, პირველი გამსვლელი სხდომის შემდეგ (22-25 სექტემბერი) ცნობილი გახდა მშენებლობისადმი ხაიშის მოსახლეობის უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ. ასოციაციამ გადაწყვიტა მოეთხოვა ხუდონჰესის მშენებლობის საერთოდ შეწყვეტა.

1988 წლის ოქტომბერში ეკოლოგიური ასოციაცია კიდევ ერთხელ, ამჯერად შემოქმედებითი ინტილიგენციისა და კომკავშირის ცკ-ის წარმომადგენლებთან ერთად ეწვია ხუდონჰესის მშენებლობას. ნოემბრიდან, ხუდონჰესის საწინააღმდეგო კამპანიაში ჩაერთო სტუდენტობაც. სვანეთის მოსახლეობასთან შეხვედრების გამართვის შემდეგ, 26 ნოემბერს, მოეწყო ხუდონჰესის პროექტის საჯარო განხილვა.

1989 წლის 26 იანვარს ეკოლოგიის ასოციაციის წევრები მიიღო საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ჯუმბერ პატიაშვილმა. შეხვედრაზე ეკოლოგებმა მთელი სიმწვავით დააყენეს გარემოსდაცვითი პრობლემები, მათ შორის ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერების საკითხიც;

1989 წლის 4 მარტს თბილისში გაიმართა ეკოლოგიური პრობლემებისადმი მიძღვნილი პირველი სანქცირებული მიტინგი. იგი მიჰყავდა ზურაბ ჟვანიას. სიტყვით გამოვიდნენ ლევან ალექსიძე, გივი თუმანიშვილი, ნაირა გელაშვილი, მერაბ კოსტავა და სხვები. მიტინგის მონაწილეებმა პრინციპულად იმსჯელეს ბიუროკრატიზმისა და ტექნოკრატიზმის „წყალობით" დაზარალებული გარემოს — „გულში დაჭრილი ბუნების" სატკივარზე, გადაჭრით გაილაშქრეს

7. გაზ. „თბილისი", 1988 წ. 22 აგვისტო.

ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგაც და მოითხოვეს მისი დაუყოვნებლივ შეჩერება.[8]

1989 წლის 12 მაისს ეკოლოგიური ასოციაციის პირველ კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ასოციაციის დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნის შესახებ. განისაზღვრა ახალი ორგანიზაციის სახელწოდებაც: „საქართველოს მწვანეები".

1989 წლის გაზაფხულზე ქართველი გარემოსდამცველების ყურადღების საგანი იყო თბილისის შემოგარენში ფართოდ გაშლილი კოლექტიური მებაღეობის მანკიერი პრაქტიკაც. ამ მოვლენამ იმდენად მახინჯი ხასიათი მიიღო, რომ საფრთხე შეუქმნა დედაქალაქის მწვანე საფარს. საქართველოს მწვანეებმა შექმნეს სპეციალური კომისია, რომელმაც შეისწავლა თბილისის მიმდებარე რაიონებში კოლექტიური მებაღეობების არსებული პრაქტიკის მიზანშეწონილობა და მიუღებლად მიიჩნია იგი. მებაღეობის მახინჯი ფორმების წინააღმდეგ ბრძოლას შეუერთდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები, არქიტექტორთა კავშირი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს დამოუკიდებლობლობის პარტია, სახალხო ფრონტი. საქართველოს მინისტრთა საბჭო იძულებული გახდა 1989 წლის 29 აგვისტოს მიეღო დადგენილება მებაღეობის არსებული პრაქტიკის შეჩერების შესახებ. ამის მიუხედავად, თბილისის შემოგარენში მიწის ნაკვეთების გაცემა და უკანონო მშენებლობები მაინც გრძელდებოდა. მწვანეებმა კვლავ მიმართეს მთავრობას შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით. 1990 წლის 22 მაისს გამოქვეყნდა მინისტრთა საბჭოს ხელახალი დადგენილება, რომელმაც თბილისის შემოგარენში მიწის ნაკვეთების გაცემის უკონტროლო პრაქტიკა საბოლოოდ შეწყვიტა.

1989 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე ქართველი მწვანეები აგრძელებდნენ ხუდონჰესის მშენებლობის საწინააღმდეგო კამპანიას. სვანეთის მოსახლეობის ნაწილმა მთავრობის უყურადღებობას საპროტესტო შიმშილობით

---

8. გაზ. „კომუნისტი", 1989 წ. 5 მარტი

უპასუხა. სამთავრობო დელეგაცია იძულებული იყო ჩასულიყო სვანეთში და მოშიმშილეებისთვის ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერება აღეთქვა. ამის მიუხედავად მთავრობა კიდევ კარგა ხანს აფერხებდა შესაბამისი დადგენილების მიღებას. 5 ივნისს, გარემოს დაცვის დღეს, ქ. ჯვარში ჩატარდა დიდი ეკოლოგიური მიტინგი, რომელზეც საქართველოს ხელისუფლება მწვავედ იქნა გაკრიტიკებული ხუდონჰესის მშენებლობის საკითხში დაკავებული პოზიციის გამო.

საბოლოოდ, მინისტრთა საბჭომ ხუდონჰესის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება 1990 წლის თებერვალში მიიღო.

ახლა, წლების გადასახედიდან, ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერებისთვის ქართველ მწვანეთა ამ პრინციპული ბრძოლის ერთმნიშვნელოვანი შეფასება ძნელდება. მით უმეტეს, რომ დამოუკიდებელი საქართველო კვლავ აპირებს ამ მშენებლობის განახლებას. ლოგიკურად ისმის კითხვა: ხომ არ სჯობდა ხუდონჰესი აშენებულიყო საბჭოთა კავშირის დროს საკავშირო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით? ასეთ შემთხვევაში, დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ჩვენ გაცილებით ნაკლებ სიძნელეებს წავაწყდებოდით ელექტროენერგიით მოსახლეობის მომარაგებაში, და რაც მთავარია, ენერგოკრიზისის გამო მასობრივად აღარ გაიჩეხებოდა ხე-ტყე.

ამ კითხვას რომ პასუხობდა ქართველ მწვანეთა დღევანდელი ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე 2008 წლის ნოემბერში ამბობდა: „ახალი ჰიდროსადგურის მშენებლობა სამჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ძველის გადაიარაღება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჰუდონჰესის მშენებლობას პრინციპულ წინააღმდეგობას ვუწევთ. ის, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ, იყო ეროვნული მოძრაობის ნაწილი და მასში „მწვანეებთან" ერთად ეროვნილი მოძრაობის ფაქტობრივად ყველა ლიდერი იყო ჩართული."[9]

1989 წლის ივნისიდან საქართველოს მწვანეები საერთაშორისო ასპარეზზე გადიან. ქართველ მწვანეთა ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ და „კავკასიური სახლის დამაარსებელმა

9. ჟურნ. „ოჯახის მკურნალი", 6-19 ნოემბერი, 2008 წ.

ნაირა გელაშვილმა დაიწყეს მოძრაობა — „კავკასია ჩვენი საერთო სახლია". პრესაში გამოქვეყნდა ნაირა გელაშვილის ესსე — „ეკოლოგია, ტექნოკრატია, პოეზია." ეს იყო საბჭოთა ცენზურისგან გათავისუფლებულ საქართველოში ახალი, ევროპული აზროვნების და ღირებულებების შემოტანის ერთ-ერთი ყველაზე ხმამაღალი განცხადება. ბევრმა სწორედ ამ ესსეს წაკითხვის შემდეგ გააცნობიერა ჩვენი პლანეტის წინაშე მდგარი ეკოლოგიური საფრთხეების მასშტაბები და რეალურობა.

1990 წლის თებერვალში შვედეთში, ქ. სტოკჰოლმში, ხოლო შემდეგ, 3-5 ივლისს, საფრანგეთში, ქ. სტრასბურგში ქართველმა მწვანეებმა დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღეს ევროპარლამენტიის მწვანეთა ფრაქციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში. სტრასბურგის შეხვედრაზე ქართველ მწვანეებს წარმოადგენდნენ პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრი მიხეილ ჭკუასელი და საქართველოს მწვანეთა საერთაშორისო კოორდინატორი ნატო კირვალიძე. შეხვედრის ქართველმა მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში ხაზი გაუსვეს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კოლეგიალური თანამშრომლობის აუცილებლობას. ერთიანი ევროპა უნდა ეფუძნებოდეს თითოეული ერისა და სახელმწიფოს რეგიონალურ ინტერესებთან ინტეგრირებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, განაცხადეს მათ. შეხვედრის მონაწილენი განსაკუთრებით დაინტერესდნენ საერთო კავკასიური სახლის იდეითა და საქართველოს მწვანეების მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობით. საქართველოს მწვანეებმა ოფიციალური განცხადებით მიმართეს ევროპარლამენტის მწვანეთა ფრაქციას: „დღეს საქართველო თავისუფლების არმქონე, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქვეყანაა. ჩვენ სწორედ ახლა ვიღებთ ისეთ კანონებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც საფუძველს ამზადებენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ამ პროცესს დააჩქარებს ისიც, რომ წელს, 28 ოქტომბერს, საქართველოში ჩატარდება არჩევნები, რომელიც 70 წლის

შემდეგ კვლავ მრავალპარტიული და დემოკრატიული იქნება. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, თუ დაგეგმილ არჩევნებზე ევროპარლამენტი წარმოგზავნის თავის ოფიციალურ წარმომადგენლებს დამკვირვებლის სტატუსით,"[10]— ნათქვამი იყო მიმართვაში. ქართველ მწვანეთა მიმართვას გამოეხმაურნენ ევროპარლამენტისა და ევროპის ეროვნული პარლამენტების წევრები, ლიტვის წარმომადგენლები, ფრანგი ჟურნალისტები და სხვები. გადაწყდა, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე ევროპარლამენტი თავის დამკვირვებლებს გამოაგზავნიდა.

1990 წლის თებერვალში შეიქმნა საქართველოს მწვანეთა კავკასიური სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ნაირა გელაშვილი, თამარ უჯუხუ და მიხეილ ბეროშვილი. კავკასიელ ხალხებთან კონტაქტების დამყარებისა და გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ გაიმართა სამი რეგიონალური სემინარი. პირველი — 1990 წლის აპრილში — ნალჩიკ-ჩერკესკში, მეორე — 1990 წლის 22 მაისს — მაიკოპში, მესამე — 1990 წლის ივნისს — ჩეჩნეთ-ინგუშეთში. სემინარების მიზანი იყო კავკასიელი ხალხებისათვის კავკასიური საერთო სახლის იდეის გაცნობა. იდეამ ყველგან დიდი მოწონება დაიმსახურა. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა სომხეთსა და აზერბაიჯანში, რის შედეგადაც 25—29 ივნისს, თბილისში ჩატარდა საერთო კავკასიური პირველი სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის (ყარაჩაელები, ნოღაელები, აბაზები, ჩერქეზები), ადიღეის, დაღესტნის (ავარები, ტაბასარანტოები, ყულმიყები, ლეკები, ლაკები), ჩეჩნეთის, ინგუშეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ ოსეთის და საქართველოს დელეგაციები, სულ 80-ზე მეტი კაცი. დაისახა კონკრეტული ამოცანები და მათი გადაჭრის რეალური გზები. 1990 წლის აგვისტოს ბოლოს არხისში ჩატარდა მეორე კავკასიური სემინარი. 1990 წლის 6 ოქტომბერს მესამე სემინარი გაიმართა გროზნოში.

---

10. ევროპარლამენტი და ქართველი მწვანეები, გაზ. „დედამინა", 1990 წ. 10 აგვისტო, 1.

1990 წლის დეკემბერს მეოთხე კავკასიურ სემინარს ბაქომ უმასპინძლა.

კავკასიელთა ერთიანობისა და ძმობის ამაღელვებელ დემონსტრაციას წარმოადგენდა ქართველთა ეროვნული ტრაგედიის, 9 აპრილის წლისთავზე, 1990 წლის 9 აპრილს ბაქოელი მეგობრების ჩამოსვლა თბილისში. აი, როგორ აღწერს ამას გაზ. „დედამიწა": „შემოვიდა მთლიანად სამგლოვიარო გვირგვინებითა და შავი ქსოვილით დაფარული მატარებელი დამოუკიდებელი აზერბაიჯანისა და საქართველოს დროშებს რომ მოაფრიალებდა ... და მთელი ბაქანი უცბად წითლად შეიღება ... ყველა ფანჯრიდან და კარიდან მიხაკები ცვიოდა ... ძირს მიხაკების ზღვა დადგა. მთელი მატარებელი სამძიმარზე ჩამოსული ხალხით აღმოჩნდა სავსე. გადმოდიოდნენ ვაგონებიდან და მოჰქონდათ და მოჰქონდათ დროშები, სამგლოვიარო გვირგვინები, აზერბაიჯანულ-ქართულ წარწერებიანი ტრანსპარანტები და კიდევ რაღაც მოგრძო ყუთები ... იმ ყუთებშიც მიხაკები იყო თურმე ... და მერე იქ ახლანდელი თავისუფლების მოედნიდან დაწყებული მთავრობის სასახლემდე მიხაკების წითელი ფიანდაზი გაიფინა. მთელს რუსთაველის პროსპექტზე იდგნენ ჩვენი აზერბაიჯანელი მეგობრები, იმპერიის ჯარის მიერ გამართული 20 იანვრის ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტით სულიერად განადგურებული, სასოწარკვეთილი ადამიანები, ქართველებს მიხაკებს ურიგებდნენ და აგრე გამოხატავდნენ თავიანთ სამძიმარს, თანადგომას, ტკივილსა და უილაჯობას ... "[11]

აზერბაიჯანელთა დელეგაციას ქართველ მწვანეთა დიდი მეგობარი, მთელს აზერბაიჯანში ცნობილი ენათმეცნიერი, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება აიდინ მამედოვი ხელმძღვანელობდა. ის მხურვალედ უჭერდა მხარს კავკასიელთა ერთიანობის იდეას და ქართველ მწვანეებთან ერთად ენერგიულად იბრძოდა კავკასიის საერთო სახლის იდეის პრაქტიკული რეალიზაციისთვის.

---

11. სამძიმრიდან სამძიმრამდე, გაზ. „დედამიწა", 1991 წ. აპრილი.

ერთი წლის შემდეგ, 1991 წლის აპრილში, აიდინ მამედოვი ქართველებისთვის ესოდენ ნიშანდობლივ ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

1991 წლის აპრილში უნდა ჩატარებულიყო საერთო კავკასიური კონგრესიც, თუმცა, რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ეს იდეა ვერ განხორციელდა.

კავკასიური სექციის ეგიდით მოეწყო ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მწვანეების საერთო ექსპედიცია მდ. მტკვარზე.

ქართველ მწვანეთა შეუნელებელი ყურადღების ობიექტს 1988-1989 წლებში წარმოადგენდა ტრანსკავკასიური საუღელტეხილო რკინიგზის პროექტიც, რომლის პრაქტიკულ რეალიზაცია უახლოეს ხანებში იყო დაგეგმილი. 1988 წლის 20 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კონფეფრენცდარბაზში გაიმართა აღნიშნული პროექტის მშენებლობის საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს სხდომა, რომელსაც საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

პროექტის მისამართით გამოთქმულ შენიშვნათა შორის ყველაზე პრინციპულად და მნიშვნელოვნად ეკოლოგიური ხასიათის შენიშვნები იქნა მიჩნეული. ქართველმა ეკოლოგებმა დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა დაბა ბარისახოს სამხრეთით და მდინარე ფშავის არაგვის ხეობის გასწვრივ მომაკვდინებელ საფრთხეს შეუქმნის საქართველოს დედაქალაქის სასმელი წყლით მომარაგებას (თბილისი სასმელი წყლით, სწორედ, არაგვის ხეობიდან მარაგდება).

განხილვის შედეგების გათვალისწინებით საქართველოს მინისტრთა საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება კავკასიონის საუღელტეხილო სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის კონსერვაციის შესახებ.

ქართველ მწვანეთა ეს გამარჯვება იმდენად რეზონანსული აღმოჩნდა, რომ მას გაზეთი „პრავდაც" კი გამოეხმაურა.[12]

1989 წლის შემოდგომაზე ქართველ მწვანეთა აქტიური ზეწოლის შედეგად შეჩერდა გაზსადენის მშენებლობა არაგვის ხეობაში. ტრანსგაზი იძულებული გახდა გამოეყო 30 მილიონი მანეთი აღდგენითი სამუშაოებისათვის. შეიქმნა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის სამეცნიერო-საწარმოო ფირმა "მამული", რომელმაც ჩაატარა აღდგენითი სამუშაოები არაგვის ხეობაში, თუმცა დაპირებული თანხა ვერ მიიღო.

ქვეყნის წინაშე მდგარი ეკოლოგიური პრობლემების სიმრავლე და სირთულე გარემოსდაცვითი ორგანიზაციის გაზრდილ სტატუსს, მის მეტ თავისუფლებას მოითხოვდა. ეკოლოგიური პრობლემების შესწავლას მეცნიერული ბაზაც სჭირდებოდა.

1989 წლის 9-10 დეკემბერს, თბილისში გაიმართა საქართველოს მწვანეების I (დამფუძნებელი) კონგრესი, რომელზეც განისაზღვრა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მიზნები და ამოცანები. კონგრესს ესწრებოდნენ საზღვარგარეთელი სტუმრები. კონგრესმა მიიღო მწვანეთა მოძრაობის წესდება (რეგისტრაციაში გატარდა 1990 წლის 19 თებერვალს).

მოძრაობის თანათავჯდომარეებად კონგრესმა აირჩია ნანა ნემსაძე, მარიკა დარჩია და რეზო ხუნწარია, აღმასრულებელ მდივნად — ზურაბ ჟვანია, ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტად — გივი თუმანიშვილი.

ეს თარიღი უნდა ჩაითვალოს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის დაარსების თარიღად.

1990 წლის 12 მარტს გამართულ სხდომაზე საქართველოს მწვანეებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს მწვანეთა პარტიის დაარსების შესახებ. პარტიის პოლიტიკური კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს

---

12 გ. ლებანიძე, „საჯაროობის გაკვეთილები", გაზ. „პრავდა", 1989 წ. 3 იანვარი.

შოთა ადამია, ლევან გველესიანი, გიორგი ბარამიძე, მიხეილ ჭკუასელი, ირაკლი ჩუბინიშვილი, მერაბ ალექსიძე, ზურაბ ჟვანია. პარტიის სპიკერად არჩეული იქნა ზურაბ ჟვანია (პარტია რეგისტრაციაში გატარდა 1992 წლის 24 აპრილს);

1990 წლის 22 აპრილს საქართველოში მწვანეების მიერ პირველად აღინიშნა დედამიწის დღე, რომელიც შემდეგ ტრადიციად იქცა. ამ დღეს დაასუფთავეს მდინარე ვერეს ხეობის ნაწილი, მუშთაიდის ბაღში მოეწყო ბავშვთა აქცია და საპროტესტო მსვლელობა (აირწინაღებით) მუშთაიდის ბაღიდან რუსთაველის გამზირამდე. იმავე წლის ზაფხულში, მწვანეთა სატყეო კომისიამ შემოიარა ბახმაროს, ბაკურიანის, ბორჯომის, წაღვერის, საირმეს, ხაშურის, ქარელის, ჯვარის, ახმეტის, მესტიის, კასპის, ოზურგეთის, ამბროლაურის და ონის სატყეო მეურნეობები, რის შედეგადაც შეიქმნა საქართველოს მწვანეთა სატყეო კოდექსის პროექტი;

1990 წლის ზაფხულში, შეიქმნა მწვანეთა მოძრაობასთან არსებული სამეცნიერო-საექსპერტო ცენტრი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ლისის ტბისა და მისი შემოგარენის ეკოლოგიური მდგომარეობა. მწვანეთა რაიონული ორგანიზაციების თხოვნით ამას მოჰყვა აბაშის, სენაკის, ახალციხის, ახალგორის და ლანჩხუთის რაიონებში ინერტული მასალების კარიერების ექსპერტიზა თბილისის ინსტრუმენტალური ქარხნის ეკოლოგიური პასპორტის შედგენა და სხვა სამუშაოები;

1990 წლის 10 აგვისტოს გამოვიდა მწვანეთა პარტიის გაზეთ "დედამიწის" პირველი ნომერი. „ჩვენი მთავარი მიზანია, ვაქციოთ საქართველო ეკოლოგიურ სახელმწიფოდ ... ეკონომიკის განვითარების მთავარი პრინციპი უნდა იყოს „ეკონომიკურია ის, რაც ეკოლოგიურია", — ნათქვამი იყო გაზეთის პრეამბულაში. გაზეთი ამოცანად ისახავდა „მწვანეთა მსოფლმხედველობის, მწვანეთა მსოფლგანცდის, მწვანეთა ზნეობის, მწვანეთა ცხოვრების წესის" საზოგადოების ყოველდღიურობაში დამკვიდრებას.

ვინ არიან მწვანეები? რისთვის იბრძვიან ისინი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემით იწყებოდა მწვანეთა პარტიის ახალგაზრდა სპიკერის, ზურაბ ჟვანიას წერილი „მწვანე ალტერნატივა". „ისტორიის კუთვნილება გახდა ეროვნული გამოღვიძების ხანა, როდესაც ჩვენ გაგვაერთიანა ერთმა ლოზუნგმა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს!" დავინახეთ, თუ რაოდენ მოგვწყურებია ყველას დამოუკიდებლობაც, თავისუფლებაც და დემოკრატიაც. მაგრამ დავინახეთ ისიც, თუ რაოდენ განსხვავებულ შინაარსს ვდებთ ამ ცნებებში, რამდენად განსხვავებულად ვხედავთ მიზნის მიღწევის გზებს. ამდენად, დადგა გარკვეული გამიჯვნის აუცილებლობა, როდესაც უნდა გაიმიჯნოს და გამოიკვეთოს ცალკეული იდეები და იდეათა სისტემები, ყალბი ლოზუნგი და სიცოცხლისუნარიანი აზრი, ჭეშმარიტი პოლიტიკა და პოლიტიკური ავანტიურიზმი. ამგვარი გამიჯვნა, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, შიშს ბადებს ჩვენს საზოგადოებაში, რომლის გარკვეულ ნაწილსაც ეს ეროვნულ ძალთა გათიშვად მიაჩნია. დაუსრულებლად ისმის მოწოდებანი კონსოლიდაციისაკენ, გაერთიანებისაკენ. ჩვენ გვავიწყდება, რომ პოლიტიკური საზოგადოებრივი პროგრესი შეუძლებელია, თუ არ მოხდა მისი ძირითადი წარმმართველების — პოლიტიკური ორგანიზაციების, პარტიების გამოკვეთა. რეალური გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველას გვეცოდინება — ვინ სად ვდგავართ, რა გზით მივდივართ. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესის თითოეულმა მონაწილემ — პარტიამ თუ ცალკეულმა პიროვნებამ — უნდა აიღოს სრული პასუხისმგებლობა როგორც თავის დღევანდელ ქმედებაზე, ისე იმ შედეგებზე, რასაც ეს ქმედებანი გამოიწვევს მომავალში. ეს არის მთავარი პირობა, რათა ეროვნული მოძრაობა დაიწმინდოს, როგორც უნაყოფო, ხშირ შემთხვევაში, დამღუპველი იდეებისგან, ისე იმ ადამიანებისგან, რომლებიც ამგვარ იდეებს ქადაგებენ,"[13] — აღნიშნული იყო სტატიაში.

---

13. ზ. ჟვანია, მწვანე ალტერნატივა, გაზ. „დედამიწა", 1990 წ. 10 აგვისტო, 1.

გაზეთ „დედამიწის" მეორე ნომერშივე გამოქვეყნდა საქართველოს მწვანეთა ეკონომიკური დოქტრინის თეზისები, რომლის ავტორი იყო მწვანეთა მოძრაობის ეკონომიკური ბიუროს ხელმძღვანელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დავით ადეიშვილი[14]. თეზისებში წამოყენებული იყო მწვანე ეკონომიკურ ზონად საქართველოს გამოცხადების იდეა. თავისი ეკონომიკური პლატფორმით მწვანეებმა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში თავიდანვე ცენტრისტულ პარტიად დაიმკვიდრეს თავი.

1990 წლის 9 მარტს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც, ფაქტიურად აღიარა, რომ 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში ჯარების შემოყვანა და მისი მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით — ფაქტობრივ ანექსიას. ამან არსებითად შეცვალა პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში, მთლიანად გამოაცალა სამართლებრივი საფუძველი მმართველობის რეალურად არსებულ სტრუქტურებს და გააღრმავა არსებული პოლიტიკური კრიზისი.

საქართველოს მწვანეთა პარტიამ, რესპუბლიკურ-ფედერალურ პარტიასთან, ეროვნულ-ლიბერალურ კავშირთან და დას—თან (დემოკრატიული არჩევნები საქართველოში) ერთად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ერთობლივ განცხადებაში აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაციები აუცილებლად მიიჩნევდნენ: „1. გაუქმდეს 1989 წლის 18 ნოემბერს მიღებული საარჩევნო კანონები, ხოლო 25 მარტსა და 17 ივნისისთვის დანიშნული არჩევნები არ ჩატარდეს; 2. საქართველოში დაფუძნდეს მმართველობის მრავალპარტიული სისტემა, რომელიც იმოქმედებს გარდამავალ პერიოდში, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე; 3. საქართველოში არ-

14. მწვანე ეკონომიკური დოქტრინისათვის, გაზ. „დედამინა", 1990 წ. 30 სექტემბერი, 2-3.

სებული პოლიტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლობითი მონაწილეობით შეიქმნას მთავარი საარჩევნო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოს არჩევას; 4. საქართველოს ფაქტიურად არსებულმა ხელისუფლებამ საკანონმდებლო აქტით დაადასტუროს მთავარი საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში, აგრეთვე გააუქმოს ყველა ის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნისტური პარტიის მონოპოლიას ხელისუფლებაზე და მის ნებისმიერ პრივილეგიას."[15]

მარტისთვის დანიშნული არჩევნები ჩაიშალა. ხელისუფლება იძულებული გახდა 1990 წლის 28 ოქტომბრისთვის მრავალპარტიული არჩევნები დაენიშნა. რადიკალთა ნაწილმა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ახალ არჩევნებში, მათი მეორე ნაწილი კი კვლავ ბოიკოტის ტაქტიკის ერთგული დარჩა. გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა დატოვეს ეროვნული ფორუმი.

ბოიკოტის მომხრე რადიკალები ეროვნული დაუმორჩილებლობის განდისეულ იდეას ქადაგებდნენ. მათი აზრით, მარტის ჩაშლილი არჩევნების მსგავსად, ოქტომბრის არჩევნებიც საბჭოური იყო და მასში მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლების კანონიერების აღიარებას ნიშნავდა. რადიკალთა ეს ნაწილი თვლიდა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობისკენ მიმავალი ერთადერთი გზა საქართველოს მიერ კოლონიური სტატუსის მიღება, შემდეგ კი დაუმორჩილებლობის ტაქტიკით დეკოლონიზაციისთვის ბრძოლა იყო. რადიკალები ვერ ხედავდნენ იმ უზარმაზარ განსხვავებას, რომელიც ინდოეთისა და საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობებს შორის არსებობდა. ეროვნული დაუმორჩილებლობის ტაქტიკა ინდოეთის პი-

15. საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, „ახალგაზრდა ივერიელი", 1990 წ. 22 მარტი.

რობებში მეტად ეფექტური იყო, რადგან 600 მილიონიანი ქვეყნის ბოიკოტი აზანზარებდა 50 მილიონიან ინგლისს. ბუნებრივია, რომ იგივე ეფექტი ვერ მოჰყვებოდა 5 მილიონიანი რესპუბლიკის დაუმორჩილებლობას 250 მილიონიანი ქვეყნის მიმართ. მათ ვერ გაეცნობიერებინათ, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, საკავშირო კონსტიტუციის მუხლი კავშირიდან თავისუფალი გასვლის შესახებ საშუალებას აძლევდა ამ რესპუბლიკებს სამართლებრივი გზით ებრძოლათ დამოუკიდებლობისთვის. ისინი ანგარიშს არ უწევდნენ არც იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირს ღრღნიდა და ანგრევდა შინაგანი წინააღმდეგობანი.

1989 წლის 18 ოქტომბერს ფრიად საეჭვო ვითარებაში ავარია განიცადა ავტომანქანამ, რომელშიც თამარ ჩხეიძე, მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე ისხდნენ. ადგილზე დაიღუპა მერაბ კოსტავა. მოგვიანებით, კიდევ უფრო საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი ზურაბ ჭავჭავაძეც. ამ ორი ნათელი პიროვნების დაღუპვა აუნაზღაურებელი ზარალი იყო ეროვნული მოძრაობისთვის. მათი სახით რადიკალებმა დაკარგეს მძლავრი ზნეობრივი მუხტი, რის შემდეგაც მათ რიგებში კიდევ უფრო იმძლავრა პირადმა ამბიციებმა და ინტრიგამ.

ქართველმა მწვანეებმა აქტიურად დაიწყეს მზადება მომავალი არჩევნებისთვის. ამ მიზნით ისინი საარჩევნო ბლოკ „თავისუფლებაში", რომელშიც ზემოთ დასახელებული ოთხი პოლიტიკური ორგანიზაციის გარდა კიდევ ორი სუბიექტი — ეროვნული თანხმობის ასოციაცია და ახალგაზრდული ქრისტიან-დემოკრატიული ასოციაცია გაერთიანდნენ. ეს იყო ცენტრისტული პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანება, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის ინტელექტუალურად ღრმად დასაბუთებული პროგრამა გააჩნდა. ცენტრისტული პარტიების აზრით საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას არა დაუმორჩილებლობის გზა, არამედ ბალტიის რესპუბლიკების ტაქტიკა უნდა აერჩია. მაგრამ 1989 წლის 9 აპრი-

ლის შემდეგ ქართველი ხალ ,ს სიმპათიები რადიკალური პოლიტიკური ორგანიზაციებისკენ იყო მიმართული. ქართული ელექტორატისთვის მაშინ არსებობდა მხოლოდ ორი ძალა — ხელისუფლება და ოპოზიცია. ხელისუფლებისადმი მკვეთრად დაპირისპირებულ ოპოზიციურ ლიდერად კი ის მხოლოდ ზვიად გამსახურდიას აღიქვამდა. სწორედ ამიტომ არჩევნებში დიდი უპირატესობით ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილმა ბლოკმა — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო"-მ გაიმარჯვა.

„ეს არ იყო ჩვეულებრივი არჩევნები, როცა ხალხს ხმა უნდა მიეცა მისთვის ყველაზე მისაღები პარტიისთვის ... 28 ოქტომბერს ხალხმა აირჩია არა რომელიმე პარტია, არამედ დამოუკიდებლობა",[16] — აღნიშნავდა ამის შესახებ „დედამიწისთვის" მიცემულ ინტერვიუში ზურაბ ჟვანია. მწვანეთა სპიკერი მიესალმებოდა ეროვნული ხელისუფლების ჩამოყალიბებას და აღნიშნავდა, რომ „ოპოზიციონერობა თვითმიზანი არ არის" და რომ მწვანეები მზად არიან ეროვნულ ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ.

არჩევნებში დამარცხების მიუხედავად პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბებიდან ძალზე მოკლე დროში ქართველმა მწვანეებმა შეძლეს საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ინტელექტუალურ ძალად თავის დამკვიდრება. მათ აჩვენეს, რომ შესწევთ ახლებური აზროვნების უნარი, რომ მზად არიან წინ აღუდგნენ ქვეყნის ეკოლოგიურ კატასტროფას.

---

16. ოპოზიციონერობა თვითმიზანი არ არის, გაზ. „დედამიწა", 1990 წ. 23 ნოემბერი.

თავი II

აღმავლობა

ქმედით პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბების ეტაპი მწვანეებმა მოკლე ხანში — სამ წელიწადზე მცირე დროში განვლეს. ორგანიზაციული გაფორმების პერიოდმა ნათლად ცხადყო ამ პოლიტიკური ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობა. ტრანსკავკასიური მაგისტრალი, ხუდონ-ჰესი, პესტიციდებისა და ნიტრატების, ტყის ჭრისა და ქვის კარიერების საწინააღმდეგო კამპანია, ბრძოლა თბილისის შემოგარენის განადგურების წინააღმდეგ ... ისევე, როგორც მთელი ეროვნული მოძრაობის საქმიანობა, მწვანეთა მოღვაწეობაც, ამ წლებში, ძირითადად საპროტესტო ხასიათს ატარებდა. თუმცა, თავიანთი მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე მწვანეები უარყოფილი პროექტების ნაცვლად ალტერნატიული გზებისა და საშუალებების გამონახვასაც ცდილობდნენ. მიმდინარეობდა წყალბადის ენერგეტიკისა და ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის, ტყისა და რეკრეაციული კომპლექსის განვითარების კონცეფციების დამუშავება, მათი ძალისხმევით შეიქმნა და ამუშავდა ეროზირებული ნიადაგების აღდგენის საწარმო და ა. შ. მწვანეებს აბრალებდნენ ლიბერალობას, რადიკალობას, სოციალისტობას, ნაციონალისტობას ეს პარტია ნამდვილად არ ჰგავდა სხვა პარტიებს. ის ვერ ეტეოდა ტრადიციულ ჩარჩოებში. „ჩვენი საქმეა შევქმნათ ის საზოგადოება, სადაც თითოეულ მოქალაქეს ... ექნება ჯანსაღი, სუფთა და უსაფრთხო გარემო, სადაც შეთანხმებული იქნება ამჟამად მოღვაწე და მომავალი თაობების ინტერესები და მოთხოვნილებანი ... სადაც მოქალაქე კი არ იარსებებს სახელმწიფოსთვის, არამედ სახელმწიფო — მოქალაქისთვის, სადაც ფასი ექნება თითოეული ადამიანის სიცოცხლეს და ყველას ექნება საკუთარ შესაძლებლობათა გამოვლენის საშუალება. ჩვენ გვინდა შევქმნათ მდგრადი,

სამოქალაქო, ჰუმანური და სამართლიანი საზოგადოება",[17] — წერდა მწვანეთა-- გაზეთი „დედამიწა".

მწვანეთა მიერ განვლილი გზა, მათი მოღვაწეობის პირველი ეტაპი, შეაჯამა 1991 წლის 2-3 მარტს გამართულმა მწვანეთა II კონგრესმა. კონგრესზე დამტკიცდა მწვანეთა პარტიისა და მოძრაობის ერთობლივი მოქმედების დებულება (ხელშეკრულება) და მიღებულ იქნა საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს მწვანეთა ეკონომიკურ პლატფორმას. არჩეული იქნა მწვანეთა ცენტრალური საბჭო 9 კაცის შემადგენლობით: ზურაბ ჟვანია, ნანა ნემსაძე, მარიკა დარჩია, რეზო ხუნწარია, გრიგოლ თუმანიშვილი, კახა ჩიტაია, მალხაზ ბიწაძე, ირაკლი ჩუბინიშვილი, გიორგი ბარამიძე. შეიცვალა მწვანეთა პარტიის სტრუქტურაც. საქართველოს მწვანეთა უმაღლეს ორგანოდ კონგრესებს შორის მიჩნეულ იქნა მწვანეთა დარბაზი.

ქართველ მწვანეთა აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1991 წლის 22-24 მარტს იტალიაში, ქ. ვენეციაში ჩატარებულ ევროპელი მწვანეების საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, სადაც ქართველი მწვანეები მეთვალყურის სტატუსით იყვნენ მიწვეულნი, დაისვა საკითხი ევრომწვანეების გაერთიანებაში საქართველოს მწვანეთა პარტიის სრულუფლებიან წევრად მიღების შესახებ. გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული. საქართველოს მწვანეთა პარტია ევროპის მწვანეთა ფედერაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

აღმოსავლეთ ევროპიდან ამ დრომდე ევროპის მწვანეთა ფედერაციაში მხოლოდ ესტონეთი იყო გაერთიანებული. ეს არა მხოლოდ ქართველ მწვანეთა მოღვაწეობის აღიარებას, არამედ, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის კიდევ ერთ ოფიციალურ დადასტურებასაც ნიშნავდა.

---

17. სხვათაშორის, გაზ. „დედამიწა", 1991, 25 იანვარი.

მწვანეთა პარტიის ინიციატივით 1991 წლის 21-28 აპრილს საქართველოში ჩატარდა დედამიწის კვირეული. ქვეყნის მასშტაბით მოეწყო ნერგების დარგვის კამპანია, გაიმართა ლექცია-სემინარები ეკოლოგიურ პრობლემებზე, 22 აპრილს, თბილისში, ქოშის გორაზე, საფუძველი ჩაეყარა თანხმობის ტყეს, რომელსაც 1992 წლის 22 აპრილს, კიდევ 5000 ძირი ნერგი მიემატა. კვირეული დამთავრდა 27-28 აპრილს, ფოთის აქციით "გადავარჩინოთ შავი ზღვა". შავი ზღვის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ შავიზღვისპირეთის ქვეყნების, თურქეთისა და უკრაინის მწვანეთა პარტიების, ბულგარეთის „ეკოგლასნოსტის" წარმომადგენლები, აგრეთვე, ცნობილი მეცნიერები და პოლიტიკოსები, შეიქმნა საინფორმაციო ცენტრი — SOS — შავი ზღვა, რომელსაც შავიზღვისპირა ქვეყნების ეკოლოგიური საქმიანობის კოორდინაცია დაევალა.

კონფერენციას მიესალმა საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. „საქართველო სამომავლოდაც მზად არის უმასპინძლოს ნებისმიერი დონის საერთაშორისო შეხვედრას, რომლის მიზანი იქნება შავი ზღვის პრობლემების მოგვარება,"[18]— ნათქვამი იყო მისალმებაში.

1991 წლის აპრილში გაზ. „დედამიწის" მე-4 ნომერში გივი თუმანიშვილის ავტორობით გამოქვეყნდა "მოსაზრებები მწვანეთა ეკოლოგიური კონცეფციის გამო". სტატიაში გაანალიზებული იყო საქართველოს ეკოლოგიური პრობლემების მთელი სპექტრი, მათ შორის ეკოლოგიური განათლების კუთხით, დასახული იყო მათი გადაწყვეტის გზები. აღნიშნული სტატია, საფუძვლად დაედო მწვანეთა პარტიის ეკოლოგიურ პლატფორმას.

1991 წლის სექტემბერში ბიჭვინვაში გაიმართა კონფერენცია თემაზე "მშვიდობა და თანამშრომლობა შავიზღვისპირეთის რეგიონში", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მწვანეთა წარმომადგენლებმა.

---

18. გაზ. „დედამიწა", 1991 წ. ივლისი, 7.

გარემოსდაცვითი საქმიანობის პარალელურად საქართველოს მწვანეთა პარტია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც სულ უფრო და უფრო ფეთქებადსაშიში ხდებოდა. ეროვნული ხელისუფლების მხრივ ოპოზიციასთან თანამშრომლობის სურვილის არქონა და გონივრულ კომპრომისებზე წასვლის სრული უუნარობა ქვეყანაში მეტისმეტად ძაბავდა ვითარებას. ცხინვალელი სეპარატისტების მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად თვითნებური გამოცხადების პასუხად, 1990 წლის 11 სექტემბერს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო ავტონომიური ოლქის გაუქმების გადაწყვეტილება. საქართველოს პოლიტიკურ წრეებში, მათ შორის უზენაეს საბჭოშიც, ცხადია, ესმოდათ, რომ ოსი სეპარატისტების ეს ნაბიჯი რუსეთის პროვოკაციას წარმოადგენდა. ამის მიუხედავად ხელისუფლება ხალისით წამოეგო ამ პროვოკაციაზე. მოსკოვიდან სეპარატისტთა მხარდაჭერამაც არ დააყოვნა. საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა ცხინვალის რეგიონიდან ქართული სამართალდამცავი ორგანოების ქვედანაყოფების დაუყოვნებლივი გამოყვანა მოითხოვა.

უზენაესი საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება მომენტისთვის შეუფერებლად და, ამდენად, არაგონივრულად მიიჩნიეს რიგმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, მათ შორის, ბლოკმა „თავისუფლებამაც", რომელშიც მწვანეებიც შედიოდნენ. უზენაესი საბჭო აჰყვა ემოციებს და ოლქის გაუქმების გადაწყვეტილება მეტად არახელსაყრელ ვითარებაში მიიღო, რითაც დათანხმდა მოვლენების განვითარების იმპერიული ძალების მიერ ნაკარნახევ ლოგიკას. ცხადია, ქართულ პოლიტიკურ წრეებში დავას იწვევდა არა ოლქის გაუქმების გადაწყვეტილობის სამართლიანობის, არამედ მოცემულ მომენტში მისი გაუქმების მიზანშეწონილობის საკითხი. ამიტომაც საქართველოს მწვანეებმა 1991 წლის 10 იანვრის მიმართვით ენერგიულად გააპროტესტეს გორბაჩოვის ბრძანება ცხინვალის რეგიონიდან ქართული პოლიციის ქვედანაყოფების გამოყვანის შესახებ და რეგიონში

დესტაბილიზაციის შექმნისკენ, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევსკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნიეს იგი. მიმართვა დაეგზავნათ სსრ კავშირში აკრედიტებულ საელჩოებს, ნორვეგიის ნობელის პრემიების კომიტეტს, ევროპის მწვანეთა პარტიებს, სსრ კავშირის პრეზიდენტს.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი დანიშნა. ქართველი ხალხის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი არავითარ ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ამ აქტით ხელისუფლებას სურდა ქართველი ხალხის განწყობილების სამართლებრივი დადასტურება.

რეფერენდუმი დიდი აღმავლობით ჩატარდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანად დაადასტურა ქართველი ხალხის მისწრაფება თავისუფლებისკენ. დამოუკიდებლობას ხმა მისცა საქართველოს მოსახლეობის 97 პროცენტმა.

მთლიანობაში რეფერენდუმის შედეგები ხალხის განწყობილებას გამოხატავდა. დაეჭვებას იწვევდა მხოლოდ ქვეყნის არაქართველი მოსახლეობის ასეთი ერთსულოვანი პოზიტიური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლისადმი.

საქმე ისაა, რომ საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას (1991 წლის 5 მარტი) ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „ჩვენი რეფერენდუმი უშუალოდ არის დაკავშირებული მიწის საკუთრების, მოქალაქეობის საკითხთთან. მან უნდა განსაზღვროს, ვინ შეიძლება იყოს საქართველოს კანონიერი მოქალაქე. რეფერენდუმი გამოავლენს არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეებს, არამედ იმათაც, ვინც საქართველოს მოქალაქეობის ღირსია. ვთქვათ, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ხმა არ მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, განა სწორი იქნება კაცს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არ სურს, საქართველოს მოქალაქეობა მივართვათ და საკუთრებაში გადავცეთ ქართული მიწა?"

რეფერენდუმის წინ ასეთი განცხადება ეროვნულ უმცირესობებზე ზეწოლის აშკარა ფაქტს წარმოადგენდა.

რესპუბლიკის ხელმძღვანელის პოსტზე გამსახურდია კვლავ დისიდენტად, კვლავ „მრგვალი მაგიდის" ლიდერად რჩებოდა. თავის პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლას ის მეტისმეტად ხისტი მეთოდებით წარმართავდა, რაც შეუძლებელს ხდიდა ეროვნული იდეის გარშემო ქართული პოლიტიკური სპექტრის შემოკრებას. მას გაუჭირდა გაცნობიერება, რომ საქართველო არ არის მხოლოდ შენი მომხრეები, საქართველო — ეს დაპირისპირებულთა მთლიანობაა. ამის თაობაზე გამსახურდიას ხატოვნად, დიდი ტაქტით მოძღვრავდა ისტორიკოსი ლოვარდ ტუხაშვილი: „როდესაც გამაერთიანებელი ლიდერი პოლიტიკური მმართველობის საჭეს აიღებს, ის ხდება პასუხისმგებელი საკუთარი იდეის მოწინააღმდეგეთა წინაშეც. საქართველო მხოლოდ „მრგვალი მაგიდა" არ არის. საქართველო მთლიანობაა, დაპირისპირებულთა მთლიანობა. შესაძლოა, ბატონი ზვიად გამსახურდია იყოს უმკაცრესი, ვთქვათ, კომუნისტური პარტიის მიმართ, როგორც პიროვნება, მაგრამ ვითარცა რესპუბლიკის ხელმძღვანელი, უბრალოდ, ვალდებულია იზრუნოს თუნდაც მისთვის ყველაზე მიუღებელი პოლიტიკური მოძრაობის დაცვისთვის, თუ ეს მოძრაობა კონსტიტუციური კანონიერების სფეროში რჩება,"[19] — წერდა ის. თავის ამ მოსაზრებას ტუხაშვილი ქიზიყელი გლეხის — პაატა ბაღაშვილისა და ერეკლე მეფის შესახებ შემორჩენილი ლამაზი ლეგენდით ამაგრებდა:

ლეგენდის თანახმად, ბავშვობაში პატარა კახი პაატა ბაღაშვილს ჭიდაობაში დაუმარცხებია. ერეკლე დამუქრებია თავის მეტოქეს — მეფე რომ გავხდები, პირველი რასაც გავაკეთებ — შენთვის თავის წაგდებინება იქნებაო. ერეკლეს გამეფების შემდეგ პაატა კარგა ხანს იმალებოდა თურმე. ბოლოს მეფესთან მაინც გამოცხადებულა საჩივრით. ერეკლეს თავისი ბავშვობის დროინდელი მეტოქე ვერ უცვნია და მისთვის მოსვლის მიზეზი უკითხავს. „ერეკლე მეფეს

19. გაზ „საქართველოს რესპუბლიკა", 14 მარტი, 1991 წ.

ვუჩივი, მას ჩემი მოკვლა სურსო," — უთქვამს პაატას. „ის თუ იცი, ახლა ვის წინაშე დგეხარო?"— კვლავ უკითხავს ერეკლეს. „როგორ არა, ჩემი ბატონის წინაშე ვდგავარ, მე სხვა დამცველი და ქომაგი არა მყავს, ჩემი პატრონი შენა ხარ და შენ გევალება უსამართლობისგან ჩემი დაცვაო" – მიუგია გლეხს და ერეკლესთვის თავისი ბავშვობისდროინდელი მუქარა შეუხსენებია. ერეკლეს გულიანად გაცინებია ჭკვიანი გლეხის ამ გონებამახვილობაზე, უხვად დაუსაჩუქრებია იგი და შინ გაუსტუმრებია.

სამწუხაროდ, ეს და სხვა მსგავსი შეგონებანი ადრესატზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა. თავის პოლიტიკურ ოპონენტებს გამსახურდია კვლავაც მტრად აღიქვამდა და მათთან კონფრონტაციას განაგრძობდა.

1991 წლის ივლისში კინოს სახლში გამართულ შეხვედრაზე ზომიერმა ოპოზიციურმა ძალებმა შექმნეს „დემოკრატიული ცენტრი", რომელშიც გაერთიანდნენ: ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, თავისუფალ დემოკრატთა კავშირი, რესპუბლიკური პარტია, „დასი", სახალხო ფრონტი და მწვანეთა პარტია. ცენტრისტული ოპოზიცია გმობდა ხელისუფლებასა და რადიკალურ ოპოზიციას შორის კონფრონტაციას და ურთიერთობის პოლიტიკური ოპონირების ჩარჩოებში წარმართვისკენ მოუწოდებდა ორივე მხარეს.

მაგრამ 1991 წლის აგვისტოდან დაპირისპირებამ თვით „მრგვალი მაგიდის" შიგნით იჩინა თავი. 17 აგვისტოს გამსახურდიასთან სერიოზული უთანხმოების გამო თანამდებობა დატოვა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ. „თუ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რესპუბლიკას დღევანდელი კურსით წაიყვანს, ვშიშობ, მივიღებთ ალბანეთის „ქართულ ვარიანტს", მსოფლიოსაგან იზოლირებულნი საკუთარ ნაჭუჭში მოვიხარშებით, ანუ დემოკრატიული საზოგადოების აშენების დაწყებას გვარიანად

დავაგვიანებთ",[20] — აღნიშვავდა გაზეთ „დრონი"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში გადამდგარი პრემიერი.

19 აგვისტოს მოსკოვში განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება. ხელისუფლება თავის ხელში აიღო საბჭოთა ხელმძღვანელობის ყველაზე რეაქციულმა ნაწილმა, რომელმაც ტოტალიტარული მმართველობის აღდგენა ძალისმიერი მეთოდებით სცადა.

პუტჩისტებს თავიდანვე მკვეთრად დაუპირისპირდა მთელი დემოკრატიული მსოფლიო. ასეთივე ნეგატიური დამოკიდებულება პუტჩის მიმართ გამოხატეს საბჭოთა კავშირის ცალკეული რესპუბლიკების სათავეში დემოკრატიული გზით მოსულმა ლიდერებმაც. გამსახურდიამ გადაწყვიტა პირდაპირ არ დაეგმო პუტჩი და მოვლენების განვითარებას დალოდებოდა. 20 აგვისტოს მან გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც ეროვნულ გვარდიას მიენიჭა განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი, გაუქმდა ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა. გვარდიის ხელმძღვანელი ხდებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

პრეზიდენტის ჩანაფიქრით, ამ გადაწყვეტილებას, ერთი მხრივ, უნდა დაეშოშმინებინა პუტჩისტები, მეორე მხრივ კი, რეალური ძალაუფლება ჩამოეშორებინა გვარდიის სარდალ თენგიზ კიტოვანისთვის.

ეს გონივრული კომპრომისი იყო, თუმცა, სწორედ ეს გადაწყვეტილება აღმოჩნდა გამსახურდიასთვის საბედისწერო. კიტოვანი, რომელსაც განსაკუთრებით არ მოეწონა მილიციისთვის გვარდიის დაქვემდებარება, არ დაემორჩილა პრეზიდენტის ბრძანებას. მან თბილისიდან გაიყვანა თავისი ერთგული გვარდიის ნაწილები, თან წაიღო სამხედრო ტექნიკა, ტყვია-წამალი და რკონის ტყეში დაბანაკდა.

ცხადი იყო, რომ ხელისუფლებაში მწვავე პოლიტიკური კრიზისი მწიფდებოდა.

პუტჩის დამარცხების შემდეგ, 26 აგვისტოს, პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება გვარდიისთვის განსაკუთრებ-

20. გაზ. „დრონი", 30 აგვისტო, 1991 წ.

ული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსის მოხსნის შესახებ.[21] რკონში გახიზნულ გვარდიელებს მიმართა უზენაესმა საბჭომაც. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. დაპირისპირება სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ თბილისში, კინოს სახლთან თავისი ტრადიციული ორშაბათის საინფორმაციო მიტინგების პრაქტიკის განახლების შესახებ განაცხადა. საინფორმაციო საშუალებებით გამოცხადდა მიტინგის დაწყების დროც — 2 სექტემბერი, 17 საათი.

ხელისუფლებამ გადაწყვიტა არ დაეშვა მიტინგის ჩატარება და თუნდაც ძალის გამოყენებით დაეშალა იგი. ხელკეტებით შეიარაღებული ქართული „ომონი" შეეცადა დაეშალა მომიტინგენი. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. მომიტინგეებმა ქვები დაუშინეს მომხდურებს. გაისმა სროლის ხმაც. ფეხში დაიჭრა ერთი მომიტინგე. აი, როგორ აღწერენ მიტინგის დარბევას თვითმხილველნი: ლევან ალექსიძე, უპარტიო: „მიტინგი ჯერ არც იყო დაწყებული, როდესაც კინოს სახლის კიბეებზე მდგარ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებს შეერივნენ ჭრელ პერანგებში გამოწყობილი ოპერმუშაკები. მათ ხელმძღვანელობდა ჩინიანი მილიციელი, რომელიც ბევრჯერ მინახავს კომუნისტების დროს მიტინგებზე. ტრიბუნაზე დაიწყო შეხლა-შემოხლა. ... ამის შემდეგ გამოჩნდნენ „ომონის" ამუნიციაში გამოწყობილნი მუზარადებით, ჯავშანჟილეტებითა და ხელკეტებით ... დაიწყო სტვენა, შეძახილები და ბოლოს ჩხუბიც. ხალხმა ჯარისკაცებს ქვები დაუშინა. სწორედ ამ დროს გაისმა პირველი სროლები. ამას ნამდვილად არ მოველოდით. დავიბენით და ისევ უკან დავიხიეთ ..." მალხაზ ბუთხუზი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი: „სროლის შემდეგ გილზების შეგროვება გადავწყვიტე, რათა მენახა, საბრძოლო ვაზნები ჰქონდათ „ომონელებს" თუ არა. ამ დროს ორი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მილიციელი დამადგა, რას აკეთებო. ქუჩას ვასუფთავებ-

21. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 27 აგვისტო, 1991 წ.

მეთქი — ვუპასუხე და სასტიკი ცემა დამიწყეს. გამოიყენეს ხელკეტები, მირტყამდნენ ფეხებსაც. შემომესმა, როგორ უთხრა ერთმა მეორეს — კაფეში შევათრიოთ და იქ გავათაოთო. მეტის გაძლება აღარ შემეძლო და ვიყვირე — ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი ვარ, თავი გამანებეთ-მეთქი. გამიშვეს."[22]

საქართველოს დემოკრატიულმა ძალებმა გადაჭრით დაგმეს მშვიდობიანი მიტინგის დარბევა. „დემოკრატიული ცენტრის" პარტიები ერთობლივ განცხადებაში მიიჩნევდნენ, რომ შექმნილ ვითარებაში აუცილებელია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა.

მწვანეთა პარტიამ გაავრცელა მიმართვა საქართველოს მთავრობის, ოპოზიციისა და ქართველი ხალხისადმი, რომელშიც გამოთქმული იყო ღრმა შეშფოთება საქართველოში შექმნილი ვითარების გამო. „საქართველო დღეს დგას სამოქალაქო ომის რეალური საფრთხის წინაშე სისხლისღვრის თავიდან აცილება დღეს გადაუდებელი და უმნიშვნელოვანესი საქმეა. ყველა სხვა პრობლემა, რამდენადაც მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს იგი, ... სამომავლოდ უნდა გადაიდოს.

დღეს შექმნილ ვითარებაზე თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა ... გონიერება და თავშეკავება, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას მართებს," — ნათქვამი იყო მიმართვაში.

ძმათა შორის მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად მწვანეთა პარტიას საჭიროდ მიაჩნდა: „1. ... რუსთაველზე დაბანაკებული პრეზიდენტის შეიარაღებული მხარდამჭერები და ტელევიზიასთან მდგომი ეროვნული გვარდია დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნან დედაქალაქიდან, რისი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იქნებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტის შესაბამისი მიმართვა, მისი მოწოდება საქართველოს მოსახლეობისადმი მშვიდობისა და განიარღებისაკენ. 2. უახლოეს მომავალში მოწვეულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია

22. გაზ. „საქართველო", 17 სექტემბერი, 1991 წ.

პირდაპირი ტრანსლიაციით, რომელზეც გამოსვლის შესაძლებლობა მიეცემა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს და რომელიც განიხილავს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს. სესიამ უნდა განიხილოს აგრეთვე, საკითხები ეროვნული გვარდიის სტატუსის შესახებ, თბილისში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და სხვა მტკივნეული პრობლემები. თითოეული საკითხის განხილვაში აუცილებლად მიგვაჩნია დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა. 3. დღეისთვის შექმნილი დაძაბული ვითარების სტაბილიზაციის მთავარ წინაპირობად მივიჩნევთ საქართველოს რესპუბლიკის პრესის შესახებ კანონის განუხრელ განხორციელებას, რაც საშუალებას მისცემს დაპირისპირებულ მხარეებს განაგრძონ პოლიტიკური აქტიურობა ყველასათვის მისაღებ მშვიდობიან ფორმებში. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ქართველთა შორის გაჩაღდა ომი, მასში არ შეიძლება იყოს გამარჯვებული."[23]

მწვანეთა პარტიის, სხვა ზომიერი პოლიტიკური ძალების მიერ ვითარების სტაბილიზაციის მიზნით ხელისუფლებისთვის შეთავაზებული წინადადებები გონივრული კომპრომისის საფუძველს შეიცავდა. ამის მიუხედავად ხელისუფლება ჯიუტად ადგა კონფრონტაციის გაღრმავების გზას. "მრგვალი მაგიდის" გაზეთ "თავისუფალი საქართველო-"ს მიერ მწვანეთა ეს ინიციატივა შეფასდა, როგორც "მცდელობა კონსტიტუციური წყობილების დამხობისა".[24]

1991 წლის 7—8 სექტემბერს გაიმართა საქართველოს, ლიტვის, ლატვიის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის მწვანეების პოლიტიკურ—საკონსულტაციო შეხვედრა, რომელზეც განიხილეს სსრკ—ში არსებული პოლიტიკური სიტუაცია. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რუსი დემოკრატებისადმი, აგრეთვე ერთობლივი განცხადება ბირთვული განიარაღების შესახებ.

1991 წლის 11 სექტემბერს მწვანეების ინციატივით სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში, საპარლამენტო ფრაქ-

23. გაზ. „დედამიწა", 26 სექტემბერი, 1991 წ.

24. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 6 სექტემბერი 1991 წ.

ციის "დემოკრატიული ცენტრის" ირგვლივ გაერთიანებული ორგანიზაციების მონაწილეობით ჩატარდა მიტინგი, რომელსაც შეუერთდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები და სტუდენტები. მომიტინგეები პრესის თავისუფლებას, პრეზიდენტის გადადგომას და ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვდნენ. მიტინგის შემდეგ მწვანეების ინიციატივით დაიწყო მჯდომარე აქცია იგივე მოთხოვნებით, რომელთაც 16 სექტემბერს, ედპ-ს თავჯდომარის გ. ჭანტურიას და სხვების დაპატიმრების შემდეგ პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნაც დაემატა.

12 სექტემბერს ჟურნალისტთა ერთმა ჯგუფმა სახელმწიფო ტელევიზიის წინ დაიწყო საპროტესტო აქცია, ერთადერთი მოთხოვნით: აღსრულდეს 1991 წლის 10 სექტემბრის კანონი "პრესის შესახებ". აქციას შეუერთდნენ მწვანეებიც.

16 სექტემბერს რესპუბლიკის მოედანზე ჩატარდა რადიკალური ოპოზიციისა და ინტილიგენციის გაერთიანებული მიტინგი, რომელშიც 60-70 ათასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მიტინგმა ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობაში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა საპროტესტო განწყობილება.

იმავე ღამით აეროპორტში დააპატიმრეს გია ჭანტურია, ირინა სარიშვილი და ვახტანგ ტალახაძე. ამისთვის ხელისუფლება არ მოერიდა უკან დაებრუნებინა საწვავით სავსე ახლად აფრენილი თვითმფრინავი და საფრთხე შეექმნა მგზავრებისთვის. ციხეში აღმოჩნდა გოგა ხაინდრავაც.

20 სექტემბერს, საღამოს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭო 2 სექტემბრის ინციდენტს განიხილავდა, ზვიად გამსახურდიამ სესიაზე გააკეთა განცხადება, თითქოს რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი მომიტინგენი მთავრობის სახლის ასაღებად და ციხეებიდან პატიმართა გასათავისუფლებლად მოემართებოდა. მან სესიის შეწყვეტა და მომიტინგეთა შესაჩერებლად დეპუტატების ქუჩაში გასვლა მოითხოვა.

დეპუტატები რესპუბლიკის მოედნისკენ გაემართნენ, სადაც მათ მშვიდობიანი მიტინგი იხილეს. გაირკვა, რომ მომიტინგენი არსად წასულან და არც წასვლას აპირებდნენ. ცხადი გახდა გამსახურდიას მოწოდების ნამდვილი მიზანი. ამ შეგნებული სიცრუით პრეზიდენტმა მიაღწია მისთვის ესოდენ არასასურველი სესიის განუსაზღვრელი დროით გადადებას. სესიას კი 2 სექტემბრის ინციდენტის შემსწავლელი კომისია უნდა შეექმნა

14-15 სექტემბერს გაიმართა მწვანეთა III საგანგებო კონგრესი, რომელიც არსებულ ხელისუფლებასთან საქართველოს მწვანეების დამოკიდებულებას მიეძღვნა. 1990 წლის ოქტომბრიდან, ანუ ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლის დღიდან, საქართველოს მწვანეები ცდილობდნენ საქმიანი ურთიერთობა ჰქონოდათ ხელისუფლებასთან. „„ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ: 28 ოქტომბერი აღვიქვით, როგორც ნიშანი იმისა, რომ საქართველომ გააკეთა სხვა არჩევანი და ჩვენ, როგორც მოქმედი პოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მოვალენი ვართ მოვეხმაროთ იმ ხელისუფლებას, რომლის არჩევანიც ინება ქართველმა ხალხმა. ... ამ მიმართულებით არ დაგვიშურებია არც ენერგია, არც ცოდნა, არც მოთმინება ... ძალიან ხშირად გვიხდებოდა თავმოყვარეობაზეც უარის თქმა, რათა ჩვენი ცოდნა, გამოცდილება, საგარეო ურთიერთობანი გამოგვეყენებინა საქართველოსთვის. მაგრამ უზენაეს საბჭოს ჩვენი არაფერი „დაჭირდა."[25]

ხელისუფლება ჯიუტად არ ითვალისწინებდა ქართველ მწვანეთა არცერთ მოსაზრებას არა თუ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ, არამედ ეკოლოგიურ პრობლემებზეც კი. სწორედ ამის გამო აღმოჩნდნენ მწვანეები ოპოზიციაში.

კონგრესი დაძაბულად მიმდინარეობდა, მწვანეთა ერთი ნაწილი მაინც ხელისუფლებასთან თანამშრომლობის კურსის გაგრძელებას უჭერდა მხარს, მეორე ნაწილი აცხადებდა, რომ პარტიამ ხელისუფლებასთან კომპრომისის მიღწ-

25. გაზ. „დედამიწა", 26 სექტემბერი, 1991 წ.

ევის რესურსი მთლიანად ამოწურა და, რომ ხელისუფლების ანტიდემოკრატიული, ავტორიტარული კურსი მასთან შემდგომ თანამშრომლობას გამორიცხავდა.

კონგრესმა დაგმო თბილისში 2 სექტემბერს მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევის ფაქტი და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

.21 სექტემბერს, ღამის სამ საათზე, პრეზიდენტის მომხრე 5 ათასამდე კაცი თავს დაესხა რუსთაველის პროსპექტზე მჯდომარე აქციის მონაწილეებს. იმ ღამით სხვადასხვა ხარისხის სხეულის დაზიანება მიიღო 70-ზე მეტმა კაცმა. ერთმანეთზე დაგეშილი ქართველების გონს მოყვანის მიზნით აქციის დარბევის დროს თავი დაიწვა ახალგაზრდა ექიმმა გია აბესაძემ.

გამსახურდიას მომხრეებმა ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიების ბარიკადებისგან გაწმინდეს რუსთაველის პროსპექტი.

საქართველოს დემოკრატიული ძალები, ქართველი ინტელიგენცია სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდნენ მოვლენების ასეთი განვითარების გამო. გაზ. „დედამიწის" 1991 წლის ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში — „გზის გასაყართან" — საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, მწვანეთა პარტიის სპიკერი ზურაბ ჟვანია წერდა: „ჩვენი ხელისუფლება რომ ოდნავ მაინც გახსნილიყო სავსებით სამართლიანი კრიტიკისთვის, არ აღექვა იგი ესოდენ მტკივნეულად, ოპოზიციას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ ექნებოდა მოსახლეობის მეტ-ნაკლებად სერიოზული ნაწილის მხარდაჭერის იმედი. ... დღეს საქართველო გზის გასაყართან დგას. საუკუნეები მოვდიოდით ჩვენ ამ გზის გასაყართან, რომ სამუდამოდ შეგვებიჯებინა იმ შარაგზაზე, რომელზეც თავისუფალი ერები მიაბიჯებენ., დავხსნოდით ავბედით ბილიკებს. ჩვენმა ისტორიამ ყველა გაკვეთილი მოგვცა, რისი მოცემაც შეეძლო. ამ გაკვეთილთა ფასია ასეულ ათასობით ჩვენს წინაპართა სიცოცხლე. ნუთუ ამ ყოველივემ ტყუილად ჩაიარა

და ვერ შევძლებთ დასკვნის გამოტანას. დღევანდელი შეცდომის ფასი ძალიან ძვირი დაგვიჯდება."

3 ოქტომბერს, დემოკრატიული საზოგადოების აზრის გათვალისწინებით, დაძაბულობის განმუხტვის მიზნით გვარდიამ დატოვა ტელევიზიის შენობის მიმდებარე ტერიტორია და თბილისის ზღვაზე დაბანაკდა. იმავე დღეს ხელისუფლების ერთგულმა სამხედრო ნაწილებმა ალყა შემოარტყეს ეროვნული გვარდიის დისლოკაციის ახალ ადგილს, 4 ოქტომბერს კი იერიში მიიტანეს გვარდიელებზე. სამთავრობო ნაწილებმა გამოიყენეს ვერტმფრენი, რომლიდანაც ცეცხლი გაუხსნეს გვარდიელებს. დაიღუპა ერთი და დაიჭრა რამდენიმე მებრძოლი.

ხელისუფლება ცდილობდა შემოვლითი გზებით შეეზღუდა პრესის თავისუფლება. გაზ. „მოლოდიოჟ გრუზიი" მან „ქაღალდის დეფიციტის" საბაბით გააუქმა, ასეთივე ყურით მოთრეული საბაბით შეაჩერა „ახალგაზრდა ივერიელის" გამოსვლაც. მას შემდეგ კი, რაც ამ გაზეთის კოლექტივმა შეძლო აღედგინა თავი და დამოუკიდებელი გაზეთის სტატუსი მოიპოვა, ხელისუფლებამ „ახალგაზრდა ივერიელი" მინისტრთა კაბინეტს დაუქვემდებარა, რედაქტორი კი მოხსნა თანამდებობიდან.

საქტელერადიო დეპარტამენტის შრომითი კოლექტივის სურვილის საწინააღმდეგოდ, გამსახურდიას დაჟინებული მოთხოვნით, აღნიშნული უწყების ხელმძღვანელად დაინიშნა თ. კვანტალიანი, რომელმაც ხელისუფლების მორჩილ მსახურებად აქცია მასობრივი მაუწყებლობის ეს მძლავრი კერები.

გამსახურდია აცხადებდა, რომ უნივერსიტეტის ოპოზიციონერ ლექტორთა ჯგუფი ცდილობდა სტუდენტებში „კანონიერი ქურდის" კულტის დანერგვას და „მოსკოვის ჯაშუშებს" უწოდებდა ამ ლექტორებს. „მათი მიზანია ჩვენი ახალგაზრდები" კრიმინალებად და ნარკომანებად აქციონ, ასეთები ხომ ნაკლებად საშიშნი იქნებიან მოსკოვისთვის",[26] — ამტკიცებდა იგი. 4 ნოემბერს, ინტელიგენციასთან შეხ-

26. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 19 აპრილი, 1991 წ.

ველრაზე, პრეზიდენტი იქამდე მივიდა, რომ თენგიზ სიგუას, ნოდარ ნათაძესა და ელდერ შენგელაიას მთელი სერიოზულობით დასდო ბრალი მოპარული მანქანების ნაწილებით ვაჭრობაში.

ხელისუფლების ასეთი ქმედებები ქვეყანას სრული პოლიტიკური იზოლაციის საფრთხის წინაშე აყენებდნენ. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი რიჩარდ პაიფსი, თბილისში ყოფნის დროს, შეეცადა დაემოძღვრა საქართველოს ლიდერი: დემოკრატიას აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც. პოლიტიკური მოღვაწისთვის ეს არის დემონსტრაციები ქუჩებში და ჟურნალისტები, რომლებსაც, შესაძლოა ოფიციოზისგან განსხვავებული აზრი ჰქონდეთ. თქვენი პრეზიდენტი უნდა შეეგუოს ამას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკელების თვალში შეიძლება გამართლდეს მოსკოვის ჭორები, — აღნიშნავდა იგი. მაგრამ გამსახურდიას და მის გარემოცვას არაფრის გაგონება არ სურდათ.

3 დეკემბერს მოპიკეტე ქალებმა უზენაესი საბჭოს სესიაზე არ დაუშვეს ვ. ადამია და გ. ხავთასი. პროტესტის ნიშნად 37 დეპუტატმა დატოვა სხდომა. ნოდარ ნათაძე ამ ფაქტის გამო წერდა: „მე მგონი ამ კრიტიკულ სიტუაციას დღევანდელ მსოფლიოში ადგილი არსად მოეპოვება. სირცხვილია და სირცხვილის გარდა ვერაფერს მოიტანს. ყველაზე უფრო იმის მეშინია, ჩვენვე არ დავკარგოთ ჩვენი თავის პატივისცემა ..."[27]

სულ უფრო მზარდი პოლიტიკური კრიზისის შეიარაღებულ შეტაკებაში გადაზრდის რეალური საფრთხის პირობებში მთელი რიგი პოლიტიკური ორგანიზაციები, ცალკეული პიროვნებები, იმ დღეებში პრესით, რადიო-ტელევიზიით თავიანთ გამოსვლებში აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებებს სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მიზნით.

რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულ დავით ბერძენიშვილის, ზურაბ ჟვანიასა და ივლიანე ხაინდრავას ერთობლივ წერილში ნათქვამი იყო, რომ კანონიერ თუ უკანონო, სამხედრო თუ გასამხედროებული ფორმირებების

27. გაზ. „საქათველო", 5 დეკემბერი, 1991 წ.

არსებობას რესპუბლიკაში და მათ ურთიერთდაპირისპირებას „თავისი გაუაზრებელი მოქმედებით ხელს უწყობს თვით ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება." ავტორების აზრით, საჭირო იყო აღნიშნული ფორმირებების ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნა. „ასეთ ცენტრს კი ხელისუფლება მარტო ვერ შექმნის (ან, შეიძლება შექმნას დიდი სისხლის ფასად), რადგან ნდობადაკარგულია ამ ფორმირებათა მნიშვნელოვანი ნაწილის თვალში".[28]

წერილში წამოყენებული იყო ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნის წინადადება.

პოლიტიკური კრიზისიდან თავის დაღწევის თავისებური გეგმები წამოაყენეს„ ქარტია — 91" — მა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, სახალხო ფრონტმა და სხვ.

შექმნილი ფეთქებადსაშიში ვითარების განმუხტვაზე ზრუნვით იყო გამსჭვალული ცნობილი მწერლების — ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ ფანჯიკიძის, გურამ გეგეშიძისა და სხვათა გამოსვლები რესპუბლიკურ პრესაში.

ორივე მხარისთვის მისაღებ კომპრომისს შეიცავდა ნოდარ ნათაძის გეგმა. ამ გეგმის თანახმად უზენაეს საბჭოს სპეციალური დადგენილებით განსაკუთრებული ლეგიონის სტატუსი უნდა მიენიჭებინა კიტოვანის შეიარაღებული ფორმირებისთვის და გაეგზავნა იგი საქართველოს საზღვრების დასაცავად. კიტოვანს კი, თავის მხრივ, უნდა მიეღო ლოიალობის დეკლარაცია (ნათაძეს იგი ორ ვარიანტად ჰქონდა წარმოდგენილი), რომელშიც საქვეყნოდ იქნებოდა გაცხადებული საქართველოს ხელისუფლებისადმი ერთგულება.[29]

კიტოვანმა თანხმობა განაცხადა აღნიშნული გეგმის მიღებაზე. თავდაპირველად ნათაძის გეგმას დაეთანხმა გამსახურდიაც, მაგრამ მალე უკან წაიღო თავისი სიტყვები და სატელეფონო საუბარში კიტოვანს განუცხადა, რომ ის „ისევე დაშლიდა კიტოვანის გვარდიას, როგორც დაშალა და დაანგრია რუსეთის იმპერია."

---

28. გაზ, „დრონი", 6 დეკემბერი, 1991 წ.

29. გაზ. „საქართველო", 19 ნოემბერი, 1991 წ.

ჩაიშალა სამოქალაქო ომის თავიდან აცილების კიდევ ერთი, ამჯერად უკვე უკანასკნელი ცდა. ორივე მხარე გამალებით ემზადებოდა ომისთვის. ზუგდიდის ბატალიონის ბაზაზე გამსახურდია აყალიბებდა მძლავრ სამხედრო შენაერთს, იმარაგებდა ტყვია-წამალს, სამხედრო ტექნიკას. სწორედ ამ მიზნით, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პლატფორმებიდან მისი მითითებით მეკობრულად მოხსნეს 10 ტანკი და მინისტრთა საბჭოს გარაჟში გადამალეს.[30]

აშკარა იყო, რომ ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა ოპოზიციისთვის გადამწყვეტი დარტყმა შუა ზამთარში მიეყენებინა. მისი ვარაუდით, სწორედ ამ დროისთვის იქნებოდა კიტოვანის გვარდიაში მებრძოლთა მინიმალური რაოდენობა.

კიტოვანი და სიგუა დილემის წინაშე აღმოჩნდნენ: მათ ან უნდა დაეშალათ გვარდია და საქართველოს გასცლოდნენ, ან მიეღოთ გამოწვევა და ხელისუფლებასთან სამკვდრო-სასიცოცხლი ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ.

პირველ შემთხვევაში შეილახებოდა გვარდიის ხელმძღვანელთა პატივმოყვარეობა, სამაგიეროდ, ქვეყანა თავიდან აიცილებდა სამოქალაქო ომს; მეორე შემთხვევაში სასწორზე იდებოდა არა მხოლოდ გვარდიელთა, არამედ ათობითა და ასობით უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე, და რაც მთავარია — ქვეყნის მომავალი.

სამწუხაროდ, გვარდიის ხელმძღვანელობამ არჩევანი მეორის სასარგებლოდ გააკეთა. ამბიციას და პატივმოყვარეობას კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ) შეეწირა საქვეყნო ინტერესი.

21 დეკემბერს პირველი საშუალო სკოლის წინ გამართულ მიტინგზე თენგიზ სიგუამ განაცხადა, რომ ხელისუფლების უგუნური პოლიტიკა ოპოზიციას უფლებას აძლევდა ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, იარაღის გამოყენებით იბრძოლოს მის წინააღმდეგ.

---

30. იტოვანის გვარდიელებმა აღნიშნული ტანკები მეორე დღესვე გამოიყვანეს მწყობრიდან.

ცხადი გახდა, რომ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე საათებიღა იყო დარჩენილი.

22 დეკემბერს, დილის 8 საათზე მთავრობის სასახლესთან პირველი გასროლის ხმა გაისმა. ორივე ფეხში დაიჭრა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე რომან გვენცაძე. დაახლოებით საათნახევარის შემდეგ თბილისის ზღვიდან ჩამოსულმა კიტოვანის გვარდიელებმა დაიწყეს იერიში მთავრობის სასახლეზე.

საქართველოში არსებული მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა.

ამაო გამოდგა ზომიერი პოლიტიკური ძალების ყველა ცდა — მშვიდობიან კალაპოტში წარემართათ პოლიტიკური პროცესი. მოვლენების ამ საბედისწერო განვითარებაში ხელისუფლების უგუნურ პოლიტიკასთან ერთად თავისი ნეგატიური როლი შეასრულა რადიკალური ოპოზიციის, ზოგიერთი სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერთა პიროვნულმა სიძულვილმა პრეზიდენტის პერსონისადმი.

მთავრობის სახლში გამაგრებულ პრეზიდენტს იცავდა ზუგდიდის ბატალიონი და მოხალისეთა რაზმები. მას მხარს უჭერდა „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციების უმრავლესობა. მოპირდაპირე მხარეს აღმოჩნდა ეროვნული გვარდია თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით და ამბოხებულთა მიერ ციხიდან დახსნილი ჯაბა იოსელიანი თავისი „მხედრიონით". შეიარაღებული ოპოზიციის მთავარი იდეოლოგი იყო თენგიზ სიგუა.

შუაზე იყო გახლეჩილი საზოგადოებრივი აზრიც. მოსახლეობის უმრავლესობა გმობდა კანონიერ ხელისუფლებაზე შეიარაღებულ თავდასხმას და მორალურად თანაუგრძნობდა ამ უკანასკნელს. თუმცა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, პრეზიდენტის მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც, თბილისის ცენტრში გაჩაღებული ძმათამკვლელი ბრძოლების შორიდან მაყურებლის პოზიციით დაკმაყოფილდა.

ბრძოლა გააფთრებულ ხასიათს ატარებდა და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ორივე მხარე

იყენებდა მძიმე ტექნიკას — ტანკებსა და ჯავშნიან მანქანებს. ოპოზიციამ ქვემეხების ცეცხლი დაუშინა მთავრობის სასახლეს. ცეცხლში ჩაიფერფლა რუსთაველის გამზირის ისტორიული შენობები; პირველი საშუალო სკოლა, სასტუმრო „თბილისი", მხატვრის სახლი და სხვ. დაიწვა მრავალი საცხოვრებელი სახლიც. მხოლოდ მეხანძრეთა, პირველ რიგში კი, თეატრის მსახიობთა პირადი თავგანწირვის წყალობით გადაურჩა დაწვას რუსთაველის თეატრის შენობა.

ფუნიკულიორის სატელევიზიო კოშკის დამცველი რაზმის ოპოზიციის მხარეზე გადასვლის შემდეგ გამარჯვების სასწორი, საბოლოოდ, ამ უკანასკნელის მხარეს გადაიხარა. 1992 წლის 6 იანვარს, გამთენიისას, თავისი მხარდამჭერი მცირე შეიარაღებული რაზმით გამსახურდიამ დატოვა მთავრობის სასახლე და გეზი სომხეთისკენ აიღო, საიდანაც მალე ჩეჩნეთში გადავიდა.

ამრიგად, სამხედრო გადატრიალების შედეგად საქართველოში ძალაუფლება სამხედრო საბჭოს (ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა) ხელში გადავიდა.

თბილისის ომმა ასობით ადამიანი იმსხვერპლა. ერთ-ერთი პირველი დაიღუპა მწვანეთა პარტიის წევრი სოსო გელიაშვილიც.

„ჩვენ გაგვიჭირდება სახელი მოვუძებნოთ ამ ომში დაღუპულ ადამიანებს. ... ამ ომში მტერი არ ყოფილა. ორივე მხარეს ჩვენი სისხლი დაიღვარა. და თუმცა, საქართველოს მწვანეებს არასოდეს გვქონია იარაღი, თუმცა საქართველოს მწვანეები მუდამ სამშვიდობო ინიციატივით გამოვდიოდით, უზენაესი საბჭოს შენობიდან გამოსროლილმა ერთ-ერთმა პირველმა ტყვიამ უიარაღოდ, სამშვიდობოდ მდგარი ჩვენი ძმა დაცხრილა.",[31] — წერდა გაზეთი „დედამიწა" ამ ფაქტთან დაკავშირებით.

გაზეთ „დედამიწის" რედაქცია შეფასებას აძლევდა თბილისის ცენტრში განვითარებულ მოვლენებსაც: „ტრაგედიაში, რომელიც თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დატრიალდა, ყველას ერთნაირად მიგვიძღვის ბრალი —

31. გაზ. „დედამიწა", 14 იანვარი, 1991 წ.

დიდსაც და პატარასაც, უფლებიანსაც და უუფლებოსაც, ამ ომში უშუალოდ ჩაბმულსაც და მისთვის შორიდან მაცქერალსაც ... ამიტომ პასუხიც ყველამ უნდა ვაგოთ, რადგან ძმათამკვლელ ომში მართალი არ არსებობს, მას არა ჰყავს გამარჯვებულები და მით უფრო — გმირები! ნუ გამოვიგონებთ მათ!"[32]

დევნილი პრეზიდენტი და მისი მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები ძალაუფლებისთვის ბრძოლას განაგრძობდნენ. ქვეყანა ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის რეალური საფრთხის წინაშე დადგა. ამით მოხერხებულად სარგებლობდნენ აფხაზი და ოსი სეპარატისტები და რუსეთის ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით და წაქეზებით აუტანელ პირობებს უქმნიდნენ თავიანთი რეგიონების ქართულ მოსახლეობას.

ცხადი იყო, რომ სამხედრო საბჭო თავს ვერ ართმევდა მის წინაშე მდგომ ურთულეს პრობლემებს.

ქვეყნის კრიზისისდან გამოყვანის გზად ქართულმა ინტელიგენციამ მოსკოვიდან ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანა მიიჩნია. ამ იდეას სამხედრო საბჭოში აქტიურად დაუჭირა მხარი ჯაბა იოსელიანმა. 7 მარტს ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა. სამხედრო საბჭომ უფლებამოსილება სახელმწიფო საბჭოს გადააბარა. ამ უკანასკნელში, ჯაბა იოსელიანის, თენგიზ კიტოვანის, თენგიზ სიგუასა და ედუარდ შევარდნაძის გარდა, შევიდნენ პოლიტიკური პარტიების, ინტელიგენციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. ამის მიუხედავად, ეს ორგანო მაინც არალეგიტიმურად რჩებოდა, რაც ძალზე ართულებდა მრავალი გადაუდებელი პრობლემის მოგვარებას.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს.

სახელმწიფო საბჭოში საქართველოს მწვანეთა პარტიას წარმოადგენდა პარტიის სპიკერი ზ. ჟვანია. საბჭოსთან ფუნქციონირებდა ეკოლოგიური კომისია, რომელიც საქა-

32. იქვე.

რთველოს მწვანეებით იყო დაკომპლექტებული (თავჯდომარე — ზ. ჟვანია, მოადგილე — გ. გაჩეჩილაძე).

შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის არჩევნების რაც შეიძლება სწრაფად ჩატარება. არჩევნების ჩატარების თარიღად 1992 წლის 11 ოქტომბერი გამოცხადდა. ქართველი მწვანეები აქტიურად შეუდგნენ არჩევნებისთვის მზადებას.

უაღრესად მძიმე პოლიტიკურ ატმოსფეროშიც კი ქართველი მწვანეები არ წყვეტდნენ გარემოსდაცვით საქმიანობას. 1992 წლის 17-18 მარტს სოფიაში (ბულგარეთი) ჩატარდა საერთაშორისო შეხვედრა '"SOS BLACK SEA", რომელზეც შეიქმნა საერთაშორისო კოალიცია — „გადავარჩინოთ შავი ზღვა". ახლადშექმნილი ორგანიზაციის პრეზიდენტად ზურაბ ნოღაიდელი აირჩიეს, რაც ქართველ მწვანეთა საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდის კიდევ ერთ მკაფიო დადასტურებას წარმოადგენდა.

1992 წლის 17-18 აპრილს ქართველ მწვანეთა მოწვევით თბილისში იმყოფებოდნენ ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის თანათავჯდომარეები — ფინეთის პარლამენტის წევრი ჰეიდი ჰაუტალა და იტალიის მწვანეთა პარტიის წევრი პაოლო ბერგამასკი. მწვანეთა ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე სტუმრებმა აღნიშნეს, რომ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს (და, საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპის) მწვანეთა ორგანიზაციების გაერთიანებამ და თანამშრომლობამ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან. სასიამოვნოა, რომ საქართველოში ძალზე ძლიერია მწვანეთა რეგიონალური ორგანიზაციები. საქართველოს მწვანეები ძალზე აქტიურად მონაწილეობენ ევროპის მწვანეთა საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში და დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ ევროპაში.

ევროპელი მწვანეების ლიდერებმა განაცხადეს, რომ საქართველოს მწვანეთა პარტია აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს, ამიტომ დუბლინში (ინგლისი) დაგეგმილ ევრომ-

წვანეთა მორიგ შეხვედრაზე საკორდინაციო საბჭოს სამდივნოში შეიყვანენ ახალ წევრს აღმოსავლეთ ევროპიდან და ეს საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერი ზურაბ ჟვანია იქნება.[33]

პირობა შესრულდა. **1992 წლის 14 ივლის დუბლინში გამართულ ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის საკოორდინაციო შეხვედრაზე, დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის მწვანეთა პარტიების წარდგენით, საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერი ზურაბ ჟვანია ფედერაციის თანათავმჯდომარედ აირჩიეს.**

ამასობაში კი სულ უფრო იძაბებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში. აფხაზმა სეპარატისტებმა თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება აფხაზეთიდან ეროვნული გვარდიის ნაწილების გამოყვანის შესახებ (გია ყარყარაშვილის წინამძღოლობით ეროვნული გვარდიის ნაწილებმა გადაკვეთეს აფხაზეთის მთელი ტერიტორია და ფსოუზე ქართული დროშა აღმართეს) და კანონიერების ელემანტარული ნორმების უხეში დარღვევებით გააგრძელეს ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებების ქართული სამართლებრივი სივრციდან გაყვანის კარგა ხნის წინ დაწყებული პრაქტიკა. აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა უკვე ღიად იმუქრებოდა — ჩვენ თქვენ გაიძულებთ, რომ პირველებმა გვესროლოთო. ქართველთა გაფრთხილებაზე, რომ რუსეთთან შეერთების შემთხვევაში აფხაზ ხალხს ფიზიკური გადაშენების საფრთხე დაემუქრებოდა, სეპარატისტები პასუხობდნენ — „გვირჩევნია ოკეანემ დაგვახრჩოს, ვიდრე ჭაობმაო". სისტემატური ხასიათი მიიღო ადამიანების გატაცებამ და აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთიდან მომავალი სარკინიგზო ტვირთების ძარცვამ, რის შედეგადაც საქართველოს ზარალმა ფულად გამოხატულებაში 11 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

მდგომარეობას ართულებდა დევნილი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას მომხრეთა აქტიურობა დასავლეთ

---

33. გაზ. „დედამიწა", 22 აპრილი, 1992 წ.

საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის ნაწილსაც ისინი აკონტროლებდნენ კიდეც.

1992 წლის 14 აგვისტოს, საქართველოს სახელმწიფო საბჭომ სარკინიგზო მაგისტრალის დაცვის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში ქართული სამხედრო შენაერთების შეყვანის შესახებ. ეს გადაწყვეტილება სიტყვიერად შეთანხმებული იყო არძინბასთან. ამის მიუხედავად აფხაზებმა ქართულ ნაწილებს ცეცხლი გაუხსნეს.

სახელმწიფო მეთაურის კატეგორიული მითითების საწინააღმდეგოდ, თენგიზ კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ ჯარი სოხუმში შეიყვანეს. ქვეყანა ძმათამკვლელი ომის ხანძარში გაეხვია.

ქართული სახელმწიფო კიდევ ერთხელ დაჰყვა მოვლენების განვითარების რუსულ ლოგიკას.

1992 წლის 20 აგვისტოდან მწვანეთა ოფისში ამოქმედდა აფხაზეთის დახმარების შტაბი, რომლის თხოვნით მოსახლეობას მწვანეთა ოფისში აფხაზეთის ომით დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობისა და მებრძოლებისთვის წამლები, კვების პროდუქტები და ტანსაცმელი მოჰქონდა. აქციას მთელი საქართველო აქტიურად გამოეხმაურა. რამდენიმე ტონა ტვირთი აფხაზეთში გადაიგზავნა.

აფხაზეთში ომის დაწყებამდე, 1992 წლის 18-19 ივლისს, თბილისში გაიმართა მწვანეთა რიგგარეშე IV კონგრესი, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა მწვანეთა პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმა. „საქართველოს მწვანეები ჩვენი საპარლამენტო საქმიანობის მთავარ მიზნად ვისახავთ რეფორმის პერიოდში საარსებო გარემოს დაცვას განადგურებისგან, თავისუფალ საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების ხელშეწყობას და ამ პროცესში სოციალური სამართლიანობის პრინციპების მაქსიმალურ დაცვას, ბრძოლას ძალადობასა და უკანონობასთამ, კორუფციასთან და ბიუროკრატიული აპარატის თავნებობასთან. ჩვენი საპარლამენტო პოლიტიკის ქვაკუთხედი საქა-

რთველოში სამართლებრივი სახელმწიფოს სტრუქტურების ჩამოყალიბება იქნება ...",[34] — ნათქვამი იყო დოკუმენტში.

საქართველოს პარლამენტის არჩევნები ქართველ მწვანეთა სერიოზული წარმატებით აღინიშნა. მწვანეებმა პარლამენტში 11 წევრი გაიყვანეს (ზ. ჟვანია, გ. თუმანიშვილი, გ. გაჩეჩილაძე, რ. ლორთქიფანიძე, რ. ადამია, პ. მამრაძე, დ. ბაშალეიშვილი, გ. ბარამიძე, ლ. მამალაძე, ზ. ნოღაიდელი, გ გვაზავა), რამაც შესაძლებელი გახადა მწვანეთა დამოუკიდებელი ფრაქციის შექმნა. მოგვიანებით ფრაქციის შემადგენლობა გაფართოვდა და უკვე 1994 წლისთვის ფრაქციაში 14 პარლამენტარი იყო გაწევრიანებული.

პარლამენტში აღმოჩნდა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა, რომელმაც კი ედუარდ შევარდნაძესთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. მცირერიცხოვანმა და არცთუ მაღალრეიტინგულმა პარტიებმა პარლამენტში ორ-ორი დეპუტატი გაიყვანეს. სავარაუდოა, რომ ეს მმართველი ძალის საარჩევნო მანიპულაციების შედეგი იყო. ხელისუფლებას სურდა პოლიტიკურ ძალთა ფართო სპექტრის პარლამენტში შეყვანით პოლიტიკური დაპირისპირებების ეპიცენტრი ქუჩიდან პარლამენტის შენობაში გადმოეტანა. ეს სწორი პოლიტიკური გათვლა იყო, რამაც, გარკვეულწილად, გაამართლა კიდეც. თუმცა, იგივე ფაქტი მოწმობდა, რომ ქართული არჩევნები სამართლიანობისგან ჯერ კიდევ შორს იდგა.

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 1992 წლის დეკემბერში, გარდაიცვალა მწვანეთა მოძრაობის თვალსჩინო მოღვაწე, მწვანეთა მოძრაობის თანათავჯდომარე და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი, ცენტრალური საბჭოს წევრი ბატონი რევაზ ხუნწარია. მას დიდი წვლილი მიუძღოდა მწვანეთა აგროეკოლოგიური კონცეფციისა და ენერგეტიკის განვითარების პრინციპულად ახალი პროგრამის დამუშავებაში. რევაზ ხუნწარიას გარდაცვალება მწვანეთა ორგანიზაციისთვის აუნაზღაურებელ დანაკლისს წარმოადგენდა.

---

34. გაზ. „დედამიწა", 23 სექტემბერი, 1992 წ.

1993 წელს მწვანეთა პარტიის საქმიანობა ძირითადად საპარლამენტო მოღვაწეობით შემოიფარგლებოდა. პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია მთლიანად მწვანეებით იყო დაკომპლექტებული (კომისიის თავჯდომარე ზ. ნოღაიდელი, მოადგილე რ. ლორთქიფანიძე, კომისიის მდივანი ლ. მამალაძე, ქვეკომიტეტების თავჯდომარეები გ. გაჩეჩილაძე და გ. თუმანიშვილი). სხვა კომისიებშიც მწვანეებმა მნიშვნელოვანი პოსტები დაიკავეს: საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავჯდომარის მოადგილის თანამდებობა ზურაბ ჟვანიამ დაიკავა, ხოლო თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავჯდომარის მოადგილედ რევაზ ადამია იქნა არჩეული. 1994 წელს ზურაბ ჟვანიას მოთხოვნით გიორგი გაჩეჩილაძე გადაყვანილ იქნა დარგობრივი ეკონომიკის კომისიაში, ენერგეტიკის ქვეკომისიის თავჯდომარედ. ამ პერიოდში, მწვანეთა წინადადებების საფუძველზე, პარლამენტმა მიიღო შემდეგი დადგენილებები და კანონები:

- დადგენილება "საქართველოში ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების შესახებ". დადგენილების რეალიზაცია დიდი ხნის განმავლობაში ფერხდებოდა მინისტრთა კაბინეტის ფარული წინააღმდეგობის გამო (ამ დადგენილებამ საფუძველი ჩაუყარა ბუნებრივი რესურსების — ტყისა და მცენარეული საფარის, წყლის, წიაღისა და ცხოველთა სამყაროს რეგულირების სრულიად ახალ პრინციპებს. ბუნებრივი რესურსების ლიცენზირება დაევალა გარემოს დაცვის სამინისტროს);
- კანონი საკოლმეურნეო ტყეების შესახებ, რომლის მიხედვითაც უპატრონოდ მიტოვებული საკოლმეურნეო ტყეები სამართავად უნდა გადაცემოდა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს.
- კანონი "საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ," რომელმაც აკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე

ტოქსიკური და რადიაქტიული ნარჩენების ნებისმიერი სახით შემოტანა და ტრანზიტი. კანონმა ქმედითი როლი შეასრულა ამ ნივთიერებების სანყობად და სამარხად ქვეყნის გადაქცევის თავიდან აცილებაში, მანვე დიდი პრობლემები შეუქმნა სომხეთის ატომური ელექტროსადგურის რადიაქტიული ნარჩენების საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში განთავსებას.

• კანონი "მცენარეთა დაცვის შესახებ", რომელმაც დაარეგულირა შხამქიმიკატების გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

ამავე პერიოდში აღმასრულებელ ხელისუფლებაში მწვანეებმა მნიშვნელოვანი პოსტები დაიკავეს. გარემოს დაცვის მინისტრი გახდა მწვანეთა პარტიის წევრი შოთა ადამია, ხოლო მისი მოადგილე — ასევე მწვანეთა პარტიის წევრი ნინო ჩხობაძე.

1993 წლის 24 თებერვალს გაზეთ „დედამიწა"-ში გამოქვეყნდა მწვანეთა სოციალური პოლიტიკის თეზისები. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებული იყო ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის არარსებობაზე, იმაზე, რომ უმუშევრობა ქვეყნის უპირველეს სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევის აუცილებელ პირობად მწვანეები საჭიროდ მიიჩნევდნენ უახლოეს მომავალში პარლამენტის მიერ შემდეგი კანონთა პაკეტის მიღებას, რომელიც სოციალური პოლიტიკის პროგრამის იურიდიული ბაზა და მისი მოქმედების მთავარი მექანიზმი იქნებოდა:

„კანონი ხელფასის — შრომითი ანაზღაურების შესახებ; კანონი სახელმწიფო შემწეობის შესახებ; კანონი სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის შესახებ; კანონი დასაქმების შესახებ საჭიროებს გადამუშავებას და სხვა საკანონმდებლო აქტები."[35]

1993 წლის 6—7 მარტს მწვანეებისა და თბილისის მერიის ინიციატივით შეიქმნა ქალაქის დასუფთავების შტაბი

35. გაზ. „დედამიწა", 24 თებერვალი, 1993 წ.

(შტაბის ხელმძღვანელი შალვა ოგბაიძე), რომელმაც დაასუფთავა ქალაქის ყველაზე დაბინძურებული უბნები. აქციაში უამრავმა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა.

1993 წლის 16 მარტის რუსეთის საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო სამხედრო ძალების სოხუმზე შეტევის დაწყებასთან დაკავშირებით 1993 წლის 24 მარტს მწვანეებმა მიმართვა გაუგზავნეს ევროპარლამენტის მწვანეთა ფრაქციას, ევრომწვანეების გაერთიანებას და ქეთევან ბატონიშვილს. „ამ დრომდე სამხედრო კონფლიქტში რუსეთის ჯარის მონაწილეობა შენიღბული იყო საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ აფხაზი სეპარატისტების ამბოხით. აგრეთვე ბოლო თვეების განმავლობაში სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობა იბომბებოდა რუსეთის საჰაერო ძალების, სუ-25 და სუ-27 ტიპის თვითმფრინავების და არტილერიის მიერ, ახლა კი ნათელია, რომ კონფლიქტი გადაიქცა რუსეთის აშკარა აგრესიად საქართველოს რესპუბლიკის მიმართ, რომლის მიზანია დაარღვიოს დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა,"[36] — ნათქვამი იყო მიმართვაში. მწვანეები მიმართვის ადრესატებს მოუწოდებდნენ სოლიდარობა გამოუცხადებინათ საქართველოსთვის ამ ტრაგიკულ დროს.

1993 წლის 22 აპრილს დედამიწის დღის აღსანიშნავად ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მწვანეების ინიციატივით გაიმართა საღამო—აქცია დევიზით "გადავარჩინოთ მომავალი". რომელშიც მინაწილეობა მიიღეს ესტრადის ცნობილმა წარმომადგენლებმა, ნაჩვენები იყო ეკოლოგიური ფილმები;

1993 წლის 14 ივლისს გამოქვეყნდა მწვანეების კონცეფცია შავი ზღვის რეგიონის სოციალ—ეკონომიკური განვითარების შესახებ (ავტორი მწვანეთა ჰიდრო-ეკოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი დავით ნიკოლაიშვილი), რომელშიც ჩამოყალიბებული იყო რეგიონის სწრაფი ეკონომიკურ—ეკოლოგიური განვითარების სრულიად ახალი ხედვა. შავი ზღვის რეგიონის გეოგრაფიული და გეო-

36. გაზ. „დედამიწა", 24 მარტი, 1993 წ., 6

პოლიტიკური მდგომარეობის, ბუნებრივი პირობებისა და ეკოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით კონცეფციაში საუბარი იყო სახალხო მეურნეობის საზღვაო დარგების იმ ძირითად ნაწილზე, რომელთა განვითარება ყველაზე უფრო რეალურად და მიზანსეწონილად იყო მიჩნეული.[37]

ქართველმა მწვანეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 22-23 ივნისს თურქეთში, ქალაქ სამსუნში გამართულ შავი ზღვის აუზის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციების, ხოლო 24-25 ივნისს სტამბულში შემდგარ პროგრამა „გარემოს მართვისა და შავი ზღვის დაცვა" ექსპერტების შეხვედრაშიც. თურქეთში დაწყებული დისკუსია ბულგარეთში გაგრძელდა. საბოლოოდ, ქალაქ ვარნაში შეხვედრის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც რეგიონის ქვეყნებს შორის შავი ზღვის აუზის ეკოლოგიური დაცვის დარგობრივი დაყოფა მოხდა. საქართველოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ცენტრის ფუნქცია დაეკისრა.

1993 წლის 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი. ასიათასობით ქართველი კოდორის ხეობით ტოვებდა აფხაზეთს. უკან იხევდნენ აფხაზეთში მებრძოლი საქართველოს პარლამენტის დეპუტატებიც მწვანეთა პარტიიდან — გია გვაზავა, გიორგი ბარამიძე, დავით ბაშალეიშვილი, მწვანეთა პარტიის აღმასრულებელი მდივანი შალვა ობგაიძე, მწვანეთა მოძრაობის წევრი ირაკლი ბითაძე და სხვები. შექმნილ უმძიმეს ვითარებას რომ აანალიზებდა, მწვანეთა სპიკერი ზურაბ ჟვანია წერდა: „ ... იმ უბედურების დიდი ნაწილი, რაც დღეს გვჭირს ქართველებს, გამოწვეულია სწორედ იმით, რომ საქართველოში პოლიტიკოსები ძალიან ხშირად გაურბიან გარკვეულ თემებზე საუბარს, ასეთ დამოკიდებულებაში მე ვხედავ რეციდივს იმგვარი ე. წ. ეროვნული მოძრაობისა, რომელიც წლების განმავლობაში იფარგლებოდა მხოლოდ ძეგლების ჩამოგდებით გარკვეულ მომენტში ჩვენს პოლიტიკურ განვითარებაში იმძლავრა სწორედ ამ ძეგლებთან მებრძოლმა ნაწილმა საპირისპიროდ იმ მიმდი-

37. გაზ. „დედამინა", 14 ივლისი, 1993 წ., 12

ნარეობისა, რომელიც პირველ პლანზე აყენებდა ეკონომიკური სუვერენიტეტის, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის საჭიროებას დროა საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს პრაგმატული პოლიტიკის პრინციპები".[38]

5 ოქტომბერს საქართველოს მწვანეთა შტაბ-ბინაში გაიმართა პრეს-კონფერენცია ევრომწვანეთა გაერთიანების ერთ-ერთ ფუძემდებელთან, შვეციის მწვანეთა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრთან პერ გარტონთან. ევრომწვანეთა ლიდერმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი საქართველოს მწვანეთა პარტია არ იფარგლება გარემოსდაცვითი საქმიანობით და ზრუნავს ქვეყნის ზოგადპოლიტიკურ პრობლემებზეც. მან მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს მწვანეთა პოლიტიკური კურსის მიმართ და განმარტა, რომ მართალია, მწვანეთა მოძრაობა თავისი არსით პაციფისტურია, ეს არ ეწინააღმდეგება ქართველ მწვანეთა სურვილს — საქართველოს ყავდეს ძლიერი ცენტრალიზებული ჯარი. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს კანონიერი მონოპოლია ძალადობაზე, — აღნიშნა მან.[39]

38. გაზ. „დედამიწა", 6 ოქტომბერი, 1993 წ. 15.

39. გაზ, „დედამიწა", 6 ოქტომბერი, 1993 წ. 15.

თავი III

მწვანეთა ორგანიზაციის ნგრევა და ბრძოლა მისი ხელახალი რეანიმაციისთვის 1993-1998 წწ.

მწვანეთა ძლიერი პარტიული ორგანიზაციის ნგრევა დაიწყო 1993 წლის ნოემბრიდან, ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის" შექმნის დღიდან. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ჩანაფიქრით, ახალი ორგანიზაცია მისი პოლიტიკური დასაყრდენი უნდა გამხდარიყო. ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში მწვანეებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მოქალაქეთა კავშირის პირველ ყრილობაზე (1994 წლის 18-20 მარტი) გენერალურ მდივნად არჩეული იქნა ზურაბ ჟვანია. მწვანეთა სპიკერის მაგალითს მწვანეთა ხელმძღვანელი ბირთვის მნიშვნელოვანმა ნაწილმაც მიჰბაძა. მწვანეთა რიგები მოგვიანებით დატოვეს და მოქალაქეთა კავშირში გადავიდნენ გიორგი ბარამიძე, ზურაბ ნოღაიდელი, რევაზ ადამია, ხათუნა გოგორიშვილი და სხვები. ამან დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მწვანეებს, მთლიანად დაინგრა მწვანეთა პარტიის სტრუქტურა, დაიფანტა მისი ძალები.

როგორ აფასებდნენ ამ ფაქტს უკვე ყოფილი მწვანეები?

ზურაბ ჟვანია: „გარკვეული პრობლემები მწვანეთა პარტიას, რა თქმა უნდა, შეექმნა იმის გამო, რომ მისი ყველაზე აქტიური ბირთვი გაერთიანდა მოქალაქეთა კავშირში. არანაირი სურვილი არა გვაქვს ჩამოვცილდეთ მწვანეთა საქმიანობას. პირიქით, დროთა განმავლობაში უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ მოძრაობის ახალ ეტაპზე განვითარებას და აღორძინებას. მწვანეთა პარტიაში დარჩა ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნება, რომლებსაც შეუძლიათ მის გაძლიერებაზე ზრუნვა. ... პრობლემები არის, მაგრამ არა ისეთი სასიცოცხლო ხასიათისა, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს მწვანეების ყოფნა-არყოფ-

ნას საქართველოში." გიორგი ბარამიძე: „მწვანეთა პარტია მნიშვნელოვნად დასუსტდა, მაგრამ ეს არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ იგი განადგურდება. მოქალაქეთა კავშირი კი გარკვეული იდეოლოგიური თანხვედრის გამო, მწვანეებთან ითანამშრომლებს ..."[40]

1994 წლის თებერვალში, მწვანეთა ცენტრალური საბჭოს სხდომაზე, ცენტრალური საბჭოს თავჯდომარის მოვალეობის შესრულება, ზურაბ ჟვანიას წარდგინებით, ნანა ნემსაძეს, ხოლო მწვანეთა პარტიის სპიკერის მოვალეობის დროებით შესრულება — ალექსანდრე რუსეცკის დაეკისრა.

1995 წლის 15 მაისს ჩატარდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობისა და მწვანეთა პარტიის გაერთიანებული V კონგრესი. იგი დაძაბულად, ცხარე დებატების თანხლებით მიმდინარეობდა. მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და უხუცესმა წევრმა, გივი თუმანიშვილმა მწვავედ გააკრიტიკა მოქალაქეთა კავშირში გადაბარგებული მწვანეები და მცდარად მიიჩნია ეს ნაბიჯი. თუმანიშვილის პოზიციას დელეგატთა ერთი ნაწილიც შეუერთდა. ზურაბ ჟვანიამ პროტესტის ნიშნად დატოვა კონგრესი. ნანა ნემსაძის, გიორგი გაჩეჩილაძისა და სხვა დელეგატების კონსტრუქციული, შემრიგებლური პოზიციის წყალობით მოხერხდა კომპრომისის მიღწევა. კონგრესმა აირჩია მწვანეთა ახალი საბჭო ნანა ნემსაძის, ირაკლი ხომერიკის, გივი გიგინეიშვილის, ალექსანდრე რუსეცკის, ვახტანგ ზარქუას, ხათუნა გოგორიშვილის, გია გვაზავას, როზა ლორთქიფანიძის, ზურაბ ნოღაიდელის, გიორგი გაჩეჩილაძის, გოგა ჭყონიას, ეთერი მაისაშვილის, მალხაზ ბიწაძის, რუსუდან სიმონიძის, ნინო ჩხობაძის, ნატო კირვალიძის შემადგენლობით. მწვანეთა მოძრაობის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნანა ნემსაძე, მწვანეთა პარტიის სპიკერად — გიორგი გაჩეჩილაძე. გიორგი გაჩეჩილაძის წინადადებით ზურაბ ჟვანია არჩეულ იქნა მწვანეთა ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარედ. ალექსანდრე რუსეცკიმ, ვახტანგ

---

40. გაზ. „დედამიწა", 11 მაისი 1994 წ. 7.

ზარქუამ, ხათუნა გოგორიშვილმა და ზურაბ ნოღაიდელმა რამდენიმე თვის შემდეგ დატოვეს ცენტრალური საბჭო.

1995 წლის სექტემბერში მწვანეთა მოძრაობის რიგები პროტესტის ნიშნად დატოვა გივი თუმანიშვილმა. მისი აზრით, მატერიალური საშუალებების ძიებაში მწვანეებმა გადააჭარბეს და კომერციულ ინტერესებს მოძრაობის ინტერესებიც გადააყოლეს. მწვანეთა ხელმძღვანელი ბირთვის მოქალაქეთა კავშირში გადასვლამ და „ორ სკამზე ჯდომამ" მწვანეთა ორგანიზაციას საკუთარი სახის დაკარგვის საფრთხე შეუქმნა.

მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი უხუცესი წევრი გივი თუმანიშვილი თავისი დიდი ინტელექტის, შეუვალი პრინციპულობის, მაღალი ზნეობისა და პატიოსნების გამო მწვანეთა მოძრაობაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი წასვლა დიდი დანაკარგი იყო მწვანეებისთვის. ამიტომ პარტიის ხელმძღვანელობას ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ზრუნვა ბატონი გივის მოძრაობაში დაბრუნებისთვის. 1997 წლის იანვარში გიორგი გაჩეჩილაძის თხოვნით გივი თუმანიშვილი მწვანეთა მოძრაობას დაუბრუნდა.

1995 წლის 15 ნოემბრისთვის საქართველოში საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა. დემორალიზებული მწვანეთა პარტიისთვის არჩევნებში საკუთარი სახელით მონაწილეობა სარისკო იყო. ზურაბ ჟვანიასთან შეთანხმებით მწვანეებმა უარი თქვეს დამოუკიდებლად არჩევნებში მონაწილეობაზე და მოქალაქეთა კავშირის სიით პარლამენტში ორი დეპუტატი — გიორგი გაჩეჩილაძე და გივი გიგინეიშვილი გაიყვანეს.

ზურაბ ჟვანია პარლამენტის პირველივე სხდომაზე პარლამენტის თავჯდომარედ იქნა არჩეული. შეთანხმების თანახმად პარლამენტში უნდა შექმნილიყო "მწვანეთა ფრაქცია" გიორგი გაჩეჩილაძის თავჯდომარეობით და გარემოს დაცვის კომიტეტი, რომლის თავჯდომარე იქნებოდა მწვანეთა პარტიის წარმომადგენელი. "მწვანეთა ფრაქციის"

შექმნა ვერ მოხერხდა, კომიტეტის თავჯდომარედ კი გივი გიგინეიშვილი დაინიშნა.

უაღრესად არახელსაყრელი პოლიტიკური კონიუნქტურის მიუხედავად ქართველი მწვანეები აქტიურად განაგრძობდნენ გარემოსდაცვით საქმიანობას. ჯერ კიდევ 1993 წლის 24 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში გიორგი გაჩეჩილაძის ავტორობით გამოქვეყნდა საქართველოში გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია ეს კონცეფცია საფუძვლად დაედო 1995 - 1999 წლებში მწვანეთა მიერ ჩატარებულ რეფორმას გარემოსდაცვით სფეროში.

1994 წლის 30 იანვარს ვენაში (ავსტრია) ევრომწვანეთა ფედერაციის სხდომა მთლიანად მიეძღვნა საქართველოს საკითხს, კერძოდ აგრესიული სეპარატიზმის გამოვლინებებს საქართველოში. ფედერაციამ თხოვნით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, რათა უზრუნველყოს ტექნიკური მხარე მორიგი სხდომის თბილისში ჩატარებისათვის.

1994 წლის 6 ოქტომბერს ოფიციალურად გაფორმდა საქართველოს მწვანეების მიერ დაფუძნებული ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია — ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა". რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ნანა ნემსაძე. "ელკანას" შექმნის მიზანი იყო საქართველოში სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი, ბიოლოგიური გლეხური მეურნეობების განვითარება, რომელიც ქვეყანაში ჩამოაყალიბებდა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების ტრადიციას. "ელკანა" 1996 წლიდან ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის (FOAM) წევრია ("ელკანა" მწვანეებს გამოეყო 1998 წელს და დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა). დღეისათვის "ელკანა" ერთერთი ყველაზე ძლიერი და წარმატებული ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც აერთიანებს 150—ზე მეტ გლეხურ (ფერმერულ), 5 საეპარქიო და 3 სამონასტრო მეურნეობას. სისტემატრიულად აწყობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების გამოფენა—გაყიდვებს.

1994 წლის 30 ოქტომბერს საბერძნეთში, ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის სხდომაზე, მწვანეთა საერთაშორისო კოორდინატორი ნატო კირვალიძე ზურაბ ჟვანიას ნაცვლად აირჩიეს ევრომწვანეთა კომიტეტის წევრად. მას დაევალა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მწვანეთა პარტიების კოორდინირება.

1994 წლის 22 აპრილს მუშთაიდის ბაღში მწვანეებისა და მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრული ორგანიზაციების მიერ ჩატარდა სადღესასწაულო აქცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ესტრადისა და ცირკის პოპულარული მსახიობები. მოეწყო კონკურსი ხატვაში "დედამიწას ჭირდება მეგობრები", უფასოდ მუშაობდნენ ატრაქციონები.

1994 წლის 23—26 ივნისს მწვანეების ინციატვით, ქობულეთში გაიმართა შავი ზღვის პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ეროვნული კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს მწვანეები, საქართველოს ახალგაზრდული ეკომოძრაობა, მდგრადი განვითარების საქართველოს ცენტრი, „ნოეს კიდობანი", რომის კლუბი, ლანდშაფტური მემკვიდრეობის საზოგადოება, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია. დასკვნით რეზოლუციაში გამოთქმული იყო შეშფოთება შავი ზღვის აუზის დაბინძურების გამო. კონფერენციის მონაწილენი სთხოვდნენ შავი ზღვის აუზის რეგიონის მთავრობებს შეესრულებინათ ყველა საერთაშორისო კონვენცია, რეზოლუცია და შეთანხმება, რომელიც უკიდურესად დაბინძურებული შავი ზღვის დაცვას ეხებოდა.[41]

1994 წელს ავსტრიასა და ლიხტენშტაინში რეგისტრირებულ იურიდიულ პირთა კარგად ორგანიზებული ჯგუფი "პრემექს ანსტალტი" შეეცადა საქართველოსათვის თავს მოეხვია შავი ზღვის სანაპირო ზოლში (აჭარა, ფოთი) მაღალტოქსიკური, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების გადამამუშავებელი შვიდი ქარხნის (თითოეული - მწარმოებლობით 100000 ტონა წელიწადში) მშენებლობის

41. `გაზ „დედამიწა", ივლისი, 1994 წ. 10.

პროექტი. ამასთან, პროექტი არ ითვალისწინებდა საკუთრივ ქარხნების მშენებლობის ზუსტ ვადებს - თავდაპირველად გათვალისწინებული იყო ნარჩენების იმპორტი და მათი ღია ცის ქვეშ დასაწყობება. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დავალებით აღნიშნული პროექტი განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ უწყებებს, რომლებმაც გასცეს კიდეც დადებითი დასკვნები. მხოლოდ მწვანეთა ენერგიული ჩარევის შემდეგ გაირკვა, რომ პროექტის ავტორები განეკუთვნებოდნენ "ნარჩენებით უკანონოდ მოვაჭრეთა" კატეგორიას, რომლებიც იმავე პერიოდში ანალოგიური პროექტის ბალტიისპირეთისა და ცენტრალური ევროპის რამდენიმე ქვეყნისთვის თავს მოხვევასაც ცდილობდნენ. გაირკვა ისიც, რომ მათ საქმიანობას გულდასმით სწავლობდნენ "ინტერპოლი" და დასავლეთ ევროპის სამართალდამცავი ორგანოებიც. ამის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე.

ქართველ მწვანეთა ორგანიზაციული დასუსტება მათ ავტორიტეტზეც აისახა. მწვანეთა საქმიანობის შესახებ საქართველოში სულ უფრო და უფრო ნაკლებ ადამიანს ჰქონდა წარმოდგენა.

1995 წლის ბოლოდან მწვანეთა პარტიის ხელმძღვანელობა ენერგიულ მუშაობას შეუდგა პარტიის დანგრეული ორგანიზაციული სტრუქტურების აღდგენისთვის. დაიწყო მისი მთლიანი სტრუქტურული რეორგანიზაცია. აღსდგა ძველი და ჩამოყალიბდა ახალი რეგიონალური, რაიონული და საქალაქო ორგანიზაციები.

1996 წლის იანვარში ჩეჩნეთის რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა. იჩქერიის საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით საქართველოდან თუნდაც ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის მონაწილეობა ჩვენი ქვეყნისთვის ჩრდილო კავკასიაში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების დაფიქსირებასაც ნიშნავდა. მაგრამ რუსეთ—საქართველოს დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობებისა და ჩეჩნეთში უაღრესად მწვავე კრიმინოგენული ვითარების გამო (ჩეჩნეთში თითქმის ყოველ-

დღე ხდებოდა ტერორისტული აქტები, ადამიანთა გატაცებები და სხვ.) გროზნოში გამგზავრება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. საქრთველოში არ აღმოჩნდა არცერთი პარტია, გარდა მწვანეთა პარტიისა, რომელიც არ შეშინდა და სიძნელეების მიუხედავად პირნათლად შეასრულა ქვეყნისთვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მისია. 1996 წლის 26 იანვარს მწვანეთა პარტიის დელეგაცია გიორგი გაჩეჩილაძისა და იოსებ ქარცივაძის შემადგენლობით ჩავიდა ქალაქ გროზნოში და დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში.

1996 წლის 30 მარტს ქართველმა მწვანეებმა სომხეთის ატომურ სადგურზე რადიაციის გაჟონვასთან დაკავშირებით გაავრცელეს განცხადება, რითაც განახლდა მწვანეების ბრძოლა ამ საშიშ ობიექტის წინააღმდეგ. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ატომური სადგურები უდიდეს საშიშროებას უქმნიან მოსახლეობას. ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქებამ, რომელიც საქართველოდან 2500 კმ-თაა დაშორებული. საქართველოში დააბინძურა ჰაერი, ნიადაგი, კვების პროდუქტები. ამის გამო ეპიდემიის ხასიათი მიიღო ჩიყვის დაავადებამ და გაიზარდა ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევები. სომხეთის ატომური სადგური განლაგებულია აქტიურ სეისმურ ზონაში, არ გააჩნია უსაფრთხოების შესაბამისი სისტემა, თბილისიდან დაშორებულია მხოლოდ 180 კილომეტრით. პირველად გამოქვეყნდა მწვანეთა ექსპერტების მიერ შექმნილი საპროგნოზო რუკა, რომელიც უჩვენებდა კავკასიაში ამ სადგურის აფეთქების შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებს. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ სომხეთის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შემთხვევაში 8 საათის შემდეგ აუცილებელი გახდება თბილისის მოსახლეობის ევაკუაცია. მწვანეებმა კატეგორიულად მოითხოვეს ამ სადგურის მუშაობის შეჩერება.[42]

რამდენიმე თვის შემდეგ, 1996 წლის 30 ოქტომბერს, ქართველი მწვანეები კვლავ დაუბრუნდნენ სომხეთის ატომური ელექტროსადგურის პრობლემას. ამჯერად თავი-

42. გაზ. „ალია", 26-27 მარტი, 1996 წ. 36

ანთ განცხადებაში მათ ამხილეს რუსეთისა და სომხეთის ერთობლივი ფარული გეგმა, რომლის მიხედვით სომხეთის ტერიტორიაზე ძველი ატომური ელსადგურის მახლობლად რუსეთი, საფრანგეთის ხელშეწყობით კიდევ ერთი — 1000 მგვტ. სიმძლავრის ახალი ატომური სადგურის მშენებლობას აპირებდა. ქართველ მწვანეთა განცხადება კიდევ ერთხელ ამახვილებდა ყურადღებას იმ საშიშროებაზე, რომელსაც ატომური სადგურები უქმნიდნენ კავკასიას, აქვე საუბარი იყო იმაზეც, რომ ამ ახალ ატომურ ელექტროსადგურს ყოველწლიურად ექნება 30-40 ტონა რადიაქტიული ნარჩენი, რომლისაგან 40-50 ატომური ბომბის დამზადება იქნება შესაძლებელი. ქართველი მწვანეები გამოთქვამდნენ დასაბუთებულ შიშს იმის გამო, რომ რუსეთი სომხეთში ამზადებდა პლაცდარმს, რომლიდანაც ირანს მიეწოდება ნედლეული ბირთვული იარაღისთვის.

განცხადება გავრცელდა საერთაშორისო დონეზე, რამაც სომხეთის ხელისუფლების მძაფრი რეაქცია გამოიწვია, კერძოდ სომხეთის ელჩმა საქართველში ლეონ ხაჩატურიანმა "სიმშვიდისაკენ მოუწოდა" გიორგი გაჩეჩილაძეს.[43] თუმცა, შემდგომ სომხეთის ხელისუფლებამ აშშ-ის ექსპერტების წინაშე აღიარა სომხეთის ატომური სადგურის უსაფრთხოების არასაკმარისი დონე და განაცხადა, რომ ახალი სადგური აღარ აშენდება, ხოლო ძველი სადგურის სრული ლიკვიდაცია დამთავრდება 2004 წლამდე. აშშ-ს ხელისუფლებამ სომხეთს აღუთქვა მატერიალური და ფინანსურები დახმარება ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების ამუშავებისთვის.[44]

"ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" მწვანეების მიერ შემუშავებული კანონით საქართველოს ტერიტორიაზე აიკრძალა ატომური სადგურების მშენებლობა, რადიოაქტიური ნარჩენების იმპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი.

---

43. გაზ. „შვიდი დღე", 21-27 ივლისი, 1996 წ.

44. გაზ. „რეზონანსი", 19 ნოემბერი, 1997 წ.

1996 წლის 26 ივლისს გიორგი გაჩეჩილაძემ მწვანეთა ოფისში გამართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მწვანეთა პარტიის მონაწილეობის პრობლემებს. საქმე ის იყო, რომ ცენტრალურმა სააეჩევნო კომისიამ მწვანეთა პარტიას, ყოველგვარი მოტივირების გარეშე, უარი უთხრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე (ცსკ-ს ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა სხდომის 12 მონაწილიდან 6-მა). მწვანეთა პარტიამ ცსკ—ს ეს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

1996 წლის 30 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მწვანეთა პარტიის სარჩელი მთლიანად დააკმაყოფილა.[45]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1996 წლის 22 სექტემბრის არჩევნებში საქართველოს მწვანეთა პარტიამ დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა. აჭარაში არსებული უმძიმესი პოლიტიკური ატმოსფეროს მიუხედავად, მწვანეთა პარტიამ მაინც მოახერხა ყველა ოლქში დეპუტატობის კანდიდატების წარდგენა, მაგრამ არჩევნების ტოტალური გაყალბების გამო დეპუტატის გაყვანა ვერ მოხერხდა. (იგივე ბედი ეწიათ სხვა პარტიებსაც, გარდა ბლოკი "აღორძინება — მოქალაქეთა კავშირისა" და კომუნისტური პარტიისა).

1997 წლის 11 იანვარს მწვანეთა ოფისში გიორგი გაჩეჩილაძემ და გივი თუმანიშვილმა გამართეს საქართველოს რადიაციული უსაფრთხოების პრობლემებისადმი, კერძოდ, მცხეთის რეაქტორის პერსპექტივებისა და მასში არსებული გამდიდრებული ურანის შემდგომი ბედისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. გაჩეჩილაძემ და თუმანიშვილმა კატეგორიულად მოითხოვეს ამ საშიში ბირთვული მასალის საქართველოდან გატანა და რეაქტორის პროფილის შეცვლა. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები და მცხეთის რეაქტორის ხელმძღვანელე-

45. გაზ. „ალია", 3-4 აგვისტო 1996 წ.




მწვანეთა პარტიის ძველი და ახალი
ლიდერების ერთობლივი გასვლა კახეთში.



ქართველ მწვანეთა მეორე თაობა მუშთაიდის ოფისში




მწვანეთა პარტიის ერთ-ერთი
დამფუძნებელი და მისი აღიარებული
ლიდერი, **ზურაბ ჟვანია.**



მწვნეთა პარტიის უხუცესი წევრი და მისი ერთ-ერთი
დამფუძნებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი,
გივი თუმანიშვილი.



მწვანეთა მოძრაობის თვალსჩინო მოღვაწე, მწვანეთა მოძრაობის თანათავჯდომარე და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი, **რევაზ ხუნწარია.**



მწვანეთა პარტიის უძველესი წევრი და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი პროფესორი,
გივი გიგინეიშვილი



მწვანეთა პარტიის დღევანდელი ლიდერი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გიორგი გაჩეჩილაძე



საერთაშორისო კონფერენცია თბილისში 2008წ.



შეხვედრა ამომრჩევლებთან და ფიცის დადება მეტეხთან
7.05.2010

ბი (შ. აბრამიძე), რომლებიც დაეთანხმნენ მწვანეების მოთხოვნებს (მცხეთის რეაქტორიდან ბირთვული მასალები გატანილი იქნა 1999 წელს ამერიკელების მიერ). ეს იყო მწვანეთა პირველი პრესკონფერენცია მათ რიგებში გივი თუმანშვილის დაბრუნების შემდეგ. მწვანეთა მოძრაობის უხუცესი წევრისა და მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის დაბრუნებით ორგანიზაციამ დაიბრუნა თავისი პირვანდელი სახე.

1997 წლის 23 იანვარს გაიმართა საქართველოს მწვანეების ოფიციალური შეხვედრა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული სამინისტროსა და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეხვედრის ძირითადი მიზანი საქართველოს ენერგეტიკის მდგომარეობის, მისი განვითარების პერსპექტივებისა და ენერგეტიკოსებისა და მწვანეების მომავალი ურთიერთობის გარკვევა იყო. აკადემიკოსმა ც. მირცხულავამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, ეკოლოგიური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, საქართველოში ჰიდროენერგეტიკის განვითარებას ალტერნატივა არ გააჩნია. მწვანეთა წარმომადგენლებმა — გიორგი გაჩეჩილაძემ, გივი თუმანიშვილმა და სხვებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სამინისტროსა და სამეცნიერო საზოგადოების ეს პოზიცია მთლიანად ემთხვევა მათ პოზიციას და თავის მხრივ, დააყენეს საკითხი საქართველოს ენერგეტიკის განვითარების კონცეფციის შემუშავების აუცილებლობის შესახებ. სხდომამ მიიღო რეზოლუცია რომელშიც ნათქვამია, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მუშაობა საქართველოს ენერგეტიკის განვითარების კონცეფციაზე, აგრეთვე, ახალი რეალობებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად ხუდონჰესის მშენებლობის არსებული პროექტის გადამუშავებაზე. ახალმა პროექტმა სრულად უნდა ასახოს ის მოთხოვნები, რომლებიც ტრადიციულად ჰქონდათ მწვანეებს ამ ობიექტის მიმართ.

პარტიის ორგანიზაციული განმტკიცების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1997 წლის 31 იანვრიდან 1 მარტამდე განხორციელებულ პარტიის წევრთა ხელახალ რეგისტრაციას, რომლის საფუძველზეც მოხდა პარტიის შემადგენლობის ზუსტი აღრიცხვა. ბოლო მოეღო ორპარტიულობას. "მოქალაქეთა კავშირის" წევრები ამოირიცხნენ მწვანეთა პარტიის შემადგენლობიდან, რაც არა მხოლოდ მწვანეთა რიგებში, არამედ მთლიანად ქართულ საზოგადოებაშიც იწვევდა გაუგებრობას და გაღიზიანებას. ორგანიზაცია შეივსო პროფესიონალი ახალი კადრებით.

1997 წლის 12 თებერვალს მწვანეთა ოფისში გაიმართა პრესკონფერენცია (ნ. ნემსაძე, მ. ჯორჯაძე, მ. გიგაური), რომელიც მიეძღვნა 1996 წლის ივნისს, ამერიკული ფირმა "აი-სი-დი-აის" მიერ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ხელშეწყობით (გაათავისუფლა საკარანტინო შემოწმებისგან) კონცერნ "მონსანტოს" მიერ წარმოებული გენეტიკური ინჟინერიით მიღებული 600 ტონა კარტოფილის თესლის შემოტანის ფაქტს. პრესკონფერენციაზე მოხმობილმა ფაქტებმა დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ აღნიშნული პროდუქტი საშიშროებას უქმნის როგორც საქართველოს ბიომრავალფეროვნებას, ასევე მოსახლეობასაც. მწვანეებმა ხელისუფლებას მოთხოვეს ამ თესლის საქართველოდან დაუყონებლივ გატანა ან განადგურება. საქართველოს მწვანეებმა "გრინფისთან" ერთად ჩაატარეს გამოძიება, რომელშიც აღწერეს "მონსანტოსა" და საქართველოს ხელისუფლების გარიგებათა მთელი პროცესი. მწვანეების მოთხოვნით, 24 აპრილს პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების და აგრალურმა კომიტეტებმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამართეს ერთობლივი სხდომა, რომლის მუშაობაშიც მწვანეები, მეცნიერებათა აკადემიის წევრები, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და "მონსანტოს" წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ცხარე დებატების შემდეგ გადაწყდა აღნიშნული თესლის საქართველოში დათესვის შეჩერება.

საქართველოს მწვანეების "მონსანტოზე" გამარჯვება საერთაშორისო დონეზე იქნა აღიარებული, როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციის დამარცხების უიშვიათესი შემთხვევა. ამის შესახებ აღინიშნა "გრინფისის" 1998 წლის წლიურ ანგარიშშიც.

1997 წლის 4 მარტს მწვანეთა პარტიამ გაავრცელა განცხადება, რითაც მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნით „იმელის" შენობაში მიმდინარე საპარ;ლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" შიმშილის აქციას. ამ განცხადებით მწვანეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი პოზიცია — საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს სამხედრო ბაზების განლაგებისა და კონფლიქტის ზონებში რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნის მიუღებლობის შესახებ. განცხადება დაეგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებს.

მწვანეთა შემდგომი აქციები მიმართული იყო კორუფციის, კულტურის ძეგლებად აღიარებულ პარკებსა და ბაღებში უკანონო მშენებლობების, მწვანე საფარის გაჩანაგურების წინააღმდეგ. მწვანეთა პარტიის ასეთი პრინციპული ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი საქმიანობა, მათი აქტიური პოლიტიკური პოზიცია საქართველოში კორუმპირებული მოხელეების, ჩვენი ბუნების ხარჯზე გამდიდრების მოსურნე ბევრი ადამიანის გაღიზიანებას იწვევდა. ამის შედეგი იყო მწვანეებზე ზეწოლის გაძლიერება, მათ მიმართ გაჩაღებული ცილისმწამებლური კამპანია და თავდასხმები.

1997 წლის 29 აპრილს, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე, მწვანეთა ოფისში გაურკვეველ ვითარებაში გაჩნდა ხანძარი, დაზიანდა ოფისის სახურავი და ავეჯი. ცხადია, პოლიციამ ვერ დაადგინა ხანძრის გამომწვევი მიზეზები.

მწვანეთა პარტიის მიმართ ცილისმწამებლური განცხადებებით განსაკუთრებით გამოირჩა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე. მან მწვანეებს ბრალი რუსეთის სპეცსამსახურებთ-

ან კავშირში დასდო. "მწვანეთა იმ ჯგუფის წევრთა ბიოგრაფიები, რომელნიც წინა პარლამენტში გახლდნენ, ერთმანეთს არ კვეთს, (?) ესე იგი შეიძლება ითქვას, ისინი თვითონ არ შეკრებილან, ცხოვრების გზაზე ერთმანეთი არ უპოვნიათ. ეს გუნდი შეკრიბეს, ჩააბარეს ზ. ჟვანიას და უთხრეს: Ребята, давайте работать вместе»[46],— წერდა ის.

მწვანეთა წინააღმდეგ ცილისწამების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ყოფილი ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანიც.

1997 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტის კინოდარბაზში მწვანეთა სპიკერმა გიორგი გაჩეჩილაძემ გამართა პრესკონფერენცია, რომელიც ბოლო ხანებში მწვანეების წინააღმდეგ პრესაში ატეხილ ცილისწამებრივ კომპანიას მიეძღვნა. ყოველგვარ საღ აზრს მოკლებულ ამ ცილისწამებას ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ არა აღვირახსნილი კამპანიის სისტემატური ხასიათი და მისი ინიციატორების მყვირალა სახელები, — განაცხადა გაჩეჩილაძემ პრესკონფერენციაზე. მარგიანის პასუხად, როცა მან მწვანეებს "Помидорчикеби» უწოდა, «რომელთაგანაც, თუ დამწიფდნენ, შეიძლება კარგი ტომატი გამოვიდესო", გაჩეჩილაძემ განაცხადა: „»მწვანეები არა, მაგრამ ავთანდილ მარგიანს, თავისი «მოღვაწეობიდან» გამომდინარე, ნამდვილად მოუწევს სახელმწიფო ქილაში დაკონსერვება»-ო.

პრესკონფერენციაზე მწვანეებმა დაასაბუთეს, რომ მათ წინააღმდეგ გაჩაღებული აღვირახსნილი კამპანიის მიზანს მწვანეთა დისკრედიტაცია და საზოგადოებაში მათი მზარდი რეიტინგის დაცემა წარმოადგენდა. მწვანეებმა ნათაძის წინააღმდეგ ცილისწამების მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრაც დააპირეს, თუმცა, მოგვიანებით, ნათაძის ასაკისა და ქვეყნის წინაშე მისი დამსახურების გამო, გადაიფიქრეს.

ქართველმა მწვანეებმა პირველებმა ატეხეს განგაში არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიისა და თურქეთისა და ირანისთვისაც უდიდესი საშიშროების შემცველი ისეთი ობიექტის არსებობისა და ფუნქციონირების

46. გაზ. „საქართველო", 26 ივნისი-1 ივლისი, 1997 წ.

გამო, როგორიცაა აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, სოფელ ეშერასთან განლაგებული რუსეთის საიდუმლო სეისმოლოგიური ლაბორატორია. 1997 წლის 20 აგვისტოს მწვანეთა ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ მიწისძვრის ხელოვნურად გამოწვევა, «ტექტონიკური იარაღის» (დამანგრეველი მიწისძვრების ხელოვნური პროვოცირება), მძლავრი მიწისქვეშა აფეთქებებით, ატომური იარაღის მქონე ქვეყნებისათვის უკვე პრობლემას არ წარმოადგენს. ტექტონიკური იარაღის გამოყენება შეუძლებელია მაღალმგრძნობიარე ტექნიკით აღჭურვილი, მიწის ქვეშ არსებული სპეციალური სეისმოლოგიური ლაბორატორიის გარეშე, რომლითაც ფიქსირდება რეგიონში დედამიწის ქერქის დაძაბულობის მდგომარეობა, რის საფძველზეც შესაძლებელია მაღალი სიზუსტის პროგნოზის გაკეთება ტექტონიკური იარაღის გამოყენების მიზანშეწონილობის და ყველაზე დამანგრეველი მიწისძვრის გამოწვევისათვის ოპტიმალური დროის შერჩევის მიზნით.

მწვანეებმა მოითხოვეს: შეიქმნას საერთაშორისო კომისია აფხაზეთში რუსეთის საიდუმლო ლაბორატორიის საერთაშორისო ექსპერტიზის ჩასატარებლად, ამგვარი დანიშნულების ობიექტის, თანაც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობის მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით და ამის შესახებ ოფიციალურად მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, «გაერო»-ს, «ეუთო»-ს, ჩრდილოეთ ატლანტიკურ კავშირს, საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს.

ქართველ მწვანეთა მიმართვა მსოფლიო პრესის სერიოზული ყურადღების საგნად იქცა. ამ თემის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი წლების განმავლობაში არ შეწყვეტილა. მწვანეებს ინფორმაციისათვის მიმართეს აზერბაიჯანისა და თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმაც.

1997 წლის აგვისტოშივე ქართველმა მწვანეებმა საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის თავჯდომარის წინაშე საქართველოში "ეკოლოგიური ინფორმაციის ანალიზისა და საერთაშორისო დამოუკიდებელი ეკოლოგიური

ექსპერტიზის რეგიონალური ცენტრის" დაარსების საკითხი წამოჭრეს. ამ იდეის განხორციელება, მისი ავტორის, გიორგი გაჩეჩილაძის აზრით, ძალზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ბერკეტს მისცემდა ქვეყანას. საერთაშორისო ეკოლოგიური ექსპერტიზა, თავისი შინაარსით, საერთაშორისო ეკოლოგიური სასამართლოა, რომლის პრეცენდენტი, ჯერჯერობით არ არსებობს. ასეთი ცენტრი მოწოდებული იქნებოდა განეხილა და გადაეწყვიტა ეკოლოგიური მოტივით სახელმწიფოთა შორის არსებული ისეთი კონფლიქტები, როგორიცაა რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი ბოსფორის სრუტის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რუმინეთ-ბულგარეთის უთანხმოება ბულგარეთის ატომური სადგურების გამო, საქართველო-სომხეთის და საქართველო—თურქეთის უთანხმოებები (სომხეთის ატომური სადგური და მდ. ჭოროხის წყალსაცავები) და ა. შ. მსგავსი კონფლიქტების გადაწყვეტაში აქტიური მედიატორის როლის შესრულება ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში წარმოაჩენდა, როგორც დემოკრატიული, ჰუმანური და მდგრადი განვითარების პრინციპების ერთგულ სახელმწიფოს. გაჩეჩილაძემ ეს საკითხი დასვა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასსამბლეის მერვე სესიაზეც, ევროსაბჭოსა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ანსამბლეების ერთობლივ კონფერენციაზეც (1996 წლის 12 დეკემბერი, თბილისი), „შავი ზღვის გარემოს დაცვა" (სტამბული 10-12 ივლისი, 1996წ.), რაც აისახა კიდეც კონფერენციის დეკლარაციაში. საკითხი განხილული იქნა ასსამბლეის ეკონომიკურ, სავაჭრო, ტექნოლოგიურ და გარემოს დაცვის კომიტეტის სხდომაზე ერევანში. რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ აუცილებელია ანსამბლეის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების თანხმობა ამ საკითხის შემდგომი განხილვისთვის.

ქართველ მწვანეთა ამ ინიციატივამ დასახელებული ფორუმების სრული მხარდაჭერა ჰპოვა. ამის მიუხედავად საქართველოს ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა მწვანეთა იდეის პრაქტიკული რეალიზაციისთვის.

ქართველმა მწვანეებმა განგაში ატეხეს თურქეთის მიერ მდ. ჭოროხის აუზში 11 კაშხალიანი წყალსაცავის მშენებლობის გამოც. საქმე ის იყო, რომ აჭარის მთელი სანაპირო ზოლი და კახაბერის დაბლობი შექმნილია მდინარე ჭოროხის მიერ ჩამოტანილი მყარი ნატანით (ქვა, ღორღი, ქვიშა და სხვა). ამ დაბლობზე მდებარეობს აჭარის დედაქალაქიც. აღნიშნული პროექტის განხორციელება კი გამოიწვევდა მდ. ჭოროხის მყარი ნატანის ჩადინების შეწყვეტას შავ ზღვაში და აჭარის სანაპიროზე განლაგებული პლიაჟების (ბათუმი, ქობულეთი, ურეკი და სხვა) კატასტროფის წინაშე დაყენებას. მხოლოდ ბათუმი-ქობულეთის მონაკვეთზე გაირეცხებოდა 1400 ჰა პლაჟებიანი ნაპირი და ზღვა წელიწადში 100-150 მეტრ ხმელეთს მიიტაცებდა. განმეორდებოდა ის ეკოლოგიური უბედურება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფოთში — ზღვის მიერ აქ მიტაცებულია ქალაქის ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია. მწვანეებმა მოითხოვეს ხელისუფლებისაგან გადამჭრელი ზომების მიღება აჭარის სანაპირო ზოლის გადასარჩენად.

მწვანეთა ამ ბრძოლამ შედეგი ნაწილობრივ გამოიღო — თურქეთის ხელისუფლება შეეცადა წყალსაცავის მშენებლობისას მათი შენიშვნები გაეთვალისწინებინა. თუმცა მწვანეების პროგნოზი გამართლდა და დღეისთვის აჭარის სანაპირო ზოლში კატასტრფიული მდგომრეობაა შექმნილი. ქ. ბათუმის მიმდებარე სოფლები ანგისა და ადლია ზღვაში იძირება!

1997 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტში მწვანეების ინიციატივით გაიმართა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის სხდომა. ამ სხდომამ დასაბამი მისცა პრინციპულ ბრძოლას საქართველოდან აზერბაიჯანში მიწისქვეშა წყლების უკანონო გადინების წინააღმდეგ. სხდომას ესწრებოდნენ პარლამენტის და მთავრობის წევრები, აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში. სხდომაზე აღინიშნა, რომ 1995 წელს დეპუტატ გურამ უსტიაშვილის მიერ გამოაშკარავებული იქნა, რომ საქართველოდან აზერბაიჯანში, გარდაბნის, შიხლიარხის, დალის

მთის წყალსაცავის სარწყავი სისტემებისა და სართიჭალის მიწისქვეშა წყლების სათავე ნაგებობის საშუალებით მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციებით, კანონმდებლობის სრული დარღვევით, გაედინება წელიწადში 150 მილიონი კუბური მეტრი სასმელი და სარწყავი წყალი. წყლის ღირებულების გადახდაზე აზერბაიჯანი უარს აცხადებს, რის გამოც საქართველოს ბიუჯეტი ყოველწლიურად განიცდის მილიონობით ლარის ზარალს და გარდაბნისა და დედოფლისწყაროს რაიონები განიცდიან წყლის უკიდურეს დეფიციტს. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება — საქართველოს მთავრობამ ერთი თვის ვადაში გააფორმოს ხელშეკრულება აზერბაიჯანთან წყლის მიწოდების პირობებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში განხილულ იქნას საკითხი წყლის აზერბაიჯანისთვის მიწოდების საბოლოო შეწყვეტების შესახებ და უმოკლეს ვადებში ქ. რუსთავის მერიასთან ერთად უზრუნველყოს რუსთავსთვის სასმელი წყლის მიწოდება სართიჭალის საბადოდან, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს შესაბამისი თანხები შემაერთებელი მილსადენის აგებისათვის.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტს გადაეგზავნა, რომელმაც, თავის მხრივ, შექმნა სახელმწიფო კომისია საკითხის დამატებითი შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით. საბოლოოდ, მიღწეულ იქნა შეთანხმება არხების საექსპლოატაციო თანხის აზერბაიჯანული მხარის მიერ დაფარვის შესახებ. თუმცა სასმელი წყლის თაობაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. ამიტომ გიორგი გაჩეჩილაძის კატეგორიული მოთხოვნით, შეწყდა სართიჭალიდან წყლის მიწოდება აზერბაიჯანში. შემუშავდა ქ. რუსთავის სართიჭალის მიწისქვეშა წყლებით წყალმომარაგების პროექტი და 2001 წლის ბიუჯეტში გამოიყო 250000 ლარი შემაერთებელი მილსადენის მშენებლობისთვის. პროექტის რეალიზაციამ მნიშვნელოვანწილად გადაჭრა ქ. რუსთავისა და გარდაბნის წყლით მომარაგების პრობლემა.

ქართველ მწვანეთა აქტიური საკანონმდებლო საქმიანობის შედეგად საქართველოს კონსტიტუციაში, ადამია-

ნის ძირითადი უფლებების 37-ე მუხლში, შეტანილი იქნა ეკოლოგიური ხასიათის ისეთი პარაგრაფები, როგორიცაა: **$3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი, ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს; $4. ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას; $5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს მდგომარეობის შესახებ;**

ეს იყო კონსტიტუციაში ეკოლოგიური პრიორიტეტების დაფიქსირების პირველი პრეცენდენტი მსოფლიო მასშტაბით.

ამავე წლებში ქართველმა მწვანეებმა შეიმუშავეს და პარლამენტს მიაღებინეს შემდეგი კანონები:

- **"წიაღის შესახებ" (ავტორი — პარლამენტის კომიტეტი) — კანონმა დაარეგულირა და სისტემაში მოიყვანა წიაღის დაცვისა და მართვის სახელმწიფო სისტემა, დააკანონა წიაღის დაცვისა და სარგებლობის სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების თანაბარ—უფლებრივობა და პასუხისგებლობა, მათი საკუთრების ფორმის განურჩევლად;**
- **"გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" (ავტორი — პარლამენტის კომიტეტი) —კანონმა დაარეგულირა საქართველოში საქმიანობის განსახორციელებლად გარემოსდაცვითი ნება—რთვის გაცემის, ნებართვის გაცემისას სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ასევე, ნებართვის**

გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივი საფუძვლები. განსაზღვრა საქმიანობის კატეგორიათა ჩამონათვალი, რომელიც გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექვემდებარება სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას. იცავს საქმიანობის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობას, ბუნებრივ გარემოს, ასევე კულტურულ და მატერიალურ ფასეულობებს;

• "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" (ავტორი —საქართველოს მთავრობა)—კანონმა განსაზღვრა, რომ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის აუცილებელი პირობა სამეწარმეო, სამეურნეო ან სხვა საქმიანობის, განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელების, ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანების და სექტორული განვითარების გეგმების, წყლის, ტყის, მიწის, წიაღის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელების, ასევე არსებული საწარმოების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციისა და ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განახლებაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად;

• "დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ" (ავტორი — პარლამენტის კომიტეტი) — კანონმა განსაზღვრა დაცული ტერიტორიების საერთაშორისო კლასიფიკაცია, განსაზღვრა ამ ტერიტორიებზე სამეურნეო საქმინობის წესები. შექმნა საფუძველი საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით საქართველოში ორი ეროვნული პარკის — ბორჯომ—ხარაგაულის და კოლხეთის პარკების ჩამოყალიბებისთვის

(დაგეგმილია კიდევ 4-ის პარკის ჩამოყალიბება). ეროვნული პარკების შექმნამ ძლიერი ბიძგი მისცა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას. ის წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას მოსახლეობის დასაქმებისა და ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონის სწრაფი განვითარებისთვისაც;

• "კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ" (ავტორი — პარლამენტის კომიტეტი) — კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში რიგით II ეროვნული პარკის შექმნას. რომლის ფართობია 44313 ჰა, საიდანაც 15742 ჰა ზღვის აკვატორიაა;

• "გარემოს დაცვის შესახებ" (ავტორი — საქართველოს მთავრობა) — ამ კანონმა საფუძველი ჩაუყარა გარემოსა და ადამიანის უსაფრთხოების სახელმწიფო რეგულირების ახალ პრინციპებს: "რისკის შემცირების პრინციპი"; "მდგრადობის პრინციპი"''; "პრიორიტეტულობის პრინციპი" "ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპი"; პრინციპი — "დამბინძურებელი იხდის"; "ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი"; '"ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი"; "რეციკლირების პრინციპი"; "რესტიტუციის პრინციპი"; "გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპი"; "გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრინციპი"; "საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი";

• "ცხოველთა სამყაროს შესახებ" (ავტორი — პარლამენტის კომიტეტი) — კანონი უზრუნველყოფს ცხოველთა სამყაროს, მისი საბინადრო გარემოს დაცვას და აღდგენას, სახეობრივი მრავალფეროვნების და გენეტიკური რესურსების შენარჩუნებას, გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა დაცვას და აღწარმოებას, გარეული ცსოველებით სარგებლობის სახელმწიფო

რეგულირებას. კანონმა დაუშვა კერძო და გააუქმა სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობები;

• "წყლის შესახებ" (ავტორი — პარლამენტის კომიტეტი) — კანონი უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფოპოლიტიკისგატარებასწყლისდაცვისა და გამოყენების სფეროში, წყლის ობიექტების, მათ შორის საქართველოს შავი ზღვის აკვადორიის დაცვას და წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, სუფთა სასმელ წყალზე მოსახლეობის მოთხოვნილების პირველ რიგში დაკმაყოფილებას, წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისადაწყლითსაერთაშორისო ვაჭრობის სტიმულირებას;

• "ტყის ნედლეულის საქართველოდან ექსპორტის აკრძალვის შესახებ" (ავტორი — პარლამენტის კომიტეტი) — კანონმა აკრძალა საქართველოდან ტყის ნედლეულის (მორების და შეშის) ექსპორტი. კანონი არ შევიდა ძალაში, რადგან საქართველოს პრეზიდენტმა დაადო ვეტო;

• "ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" (ავტორი — პარლამენტის კომიტეტი) — კანონმა დაამკვიდრა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ახალი პრინციპები საქართველოში —ბირთვულიენერგიის,ბირთვულიდარადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის; აიკრძალა ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვულ ასაფეთქებელ მოწყობილობათა ექსპორტ-იმპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი, აგრეთვე მათი წარმოება, კვლევა, გამოცდა და ფლობა; აიკრძალა 5 მეგავატზე მეტი სიმძლავრის ბირთვული ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაცია; აიკრძალა რადიაქტიური

ნარჩენების იმპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი; აიკრძალა რადიაქტიური ნარჩენების შემოტანა მათი შენახვის, გადამუშავების, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზნით. ამ კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს "უბირთვო ზონად" გამოცხადებას, რაც მოსახლეობისა და მომავალი თაობების უსაფრთხო, ეკოლოგიურად ჯანსაღ გარემოში არსებობის საფუძველს წარმოადგენს.;

• "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" (ავტორი — პარლამენტის კომიტეტი) — კანონმა დაარეგულირა საშიში ქიმიური ნივთიერებების შექმნის, გამოცდისა და სახელმწიფო ექსპერტიზის, სტანდარტიზაციის, აღრიცხვის და რეგისტრაციის, წარმოების, შეფუთვის, ნიშანდებისა, და ეტიკეტირების, ტრანსპორტირების, მოხმარების, ექსპორტისა და იმპორტის, გადამუშავების, გაუვნებელყოფის, განთავსების შეზღუდვის, აკრძალვისა და გამოყენებიდან ამოღების საკითხები. კრძალავს საშიში ქიმიური ნიყთიერებების უსისტემო და უნებართვო გამოყენებას;

• "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" (ავტორი — მთავრობა) კანონი ორიენტირებულია გარემოს დაცვის სფეროში ევროკავშირის მიერ მიღებულ დებულებებზე, მასში ჩამოყალიბებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის, მისი ხარისხობრივი გაუმჯობესების რეგულირების ახალი პრინციპები;

• დადგენილება "პარკებში, ბაღებში და გამწვანების ზოლებში მშენებლობების აკრძალვის შესახებ" (ავტორი — პარლამენტის კომიტეტი) — კანონით აიკრძალა საქართველოს, და განსაკუთრებით, ქ. თბილისის პარკებში და ბაღებში, (მათ შორის კულტურის ძეგლებად აღიარებულებშიც) მშენებლობები და წვანე

ნარგაობის განადგურება;

• "ტყის კოდექსი" (ავტორი — პარლამენტის კომიტეტი) — ამ კანონის მიხედვით საქართველოს ტყის ფონდის მესაკუთრე სახელმწიფოს გარდა, შეიძლება იყოს საპატრიარქო. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს მიენიჭათ ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის უფლება, შეივცვალა ტყის მართვის სისტემა, ტყის დაცვის სისტემა მთლიანად მოვიდა შესაბამისობაში საერთაშორისო მოთხოვნებთან.

ყველა ეს კანონი გამაგრებული იყო შესაბამისი (მნიშვნელოვნად გამკაცრებული) ცვლილებებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში შეტანილი ცვლილებებით. ამასთან ერთად, მწვანეების კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე ცალკე თავებად იქნა გამოყოფილი გარემოს დაცვითი საკითხები, ისეთ საკანონმდებლო აქტებში როგორიცაა: "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი", "საქართველოს საგადასახადო კოდექსი" და "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი"

სამწუხაროდ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ბევრი ამ კნონოთაგანი ან გაუქმეს ან დაამახინჯეს, რამაც საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოება მნიშვნელოვნად დააზარალა.

თავი IV

საქართველოს მწვანეები საინფორმაციო ბლოკადაში, ბრძოლა მწვანეთა ორგანიზაციის გადარჩენისთვის 1998-2003 წწ.

ქართველი მწვანეების გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საქმიანობა საქართველოში ბევრს აღიზიანებდა. „განახალებული" მწვანეების პრინციპული პოზიციით აშკარად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას მოქალაქეთა კავშირში გადაბარგებული „ძველი" მწვანეებიც. 1998 წლის თებერვლის დასაწყისში, პარლამენტის საგაზაფხულო სესიის სხდომაზე, ტრადიციულ წლიურ მოხსენებაში საქართველოს პრეზიდენტმა შეაჯამა 1997 წლის შედეგები, მაგრამ საერთოდ არაფერი სთქვა საქართეელოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. მოხსენების დამთავრების შემდეგ პრეზიდენტს სხვებთან ერთად მწვანეთა პარტიის თავჯდომარემ გიორგი გაჩეჩილაძემაც გაუგზავნა შეკითხვა: "მსოფლოში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა ყველა მაღალი რანგის პოლიტიკოსის ყურადღების ცენტრშია და მათი სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის იმკვიდრებს ადგილს, თქვენ, როგორც საერთაშორისო დონეზე აღიარებული პოლიტიკოსი, იზიარებთ თუ არა ამ პრიორიტეტებს და თუ იზიარებთ, დღეს თქვენს მოხსენებაში რატომ ერთი სიტყვაც არ ითქვა ამის შესახებ?". შესვენების შემდეგ, როცა პრეზიდენტი ისევ პარლამენტის ტრიბუნას დაუბრუნდა შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, მან ყველას გასაკვირად განაცხადა: "მე უამრავი შეკითხვა მივიღე, რომელთაც შესწავლა სჭირდება და ამიტომ მათზე მერე გაგცემთ პასუხს, მაგრამ ერთ შეკითხვას აუცილებლად დღესვე უნდა გავცე პასუხი, მართალია ვერ გავიგე ვინ მომწერა ეს წრილი (არა და, წერილი ხელმოწერილი იყო) ძველმა მწვანეებმა თუ ახალმა, ნამდვილმა მწვანეებმა მათ პირობას ვაძლევ,

რომ გამოვსწორდები" (უკანასკნელმა ფრაზამ დარჩაზში სიცილი და ტაში გამოიწვია). ამ ფრაზით პრეზიდენტმა აშკარა სიმპატიები გამოხატა მწვანეთა ახალი გუნდისადმი, რამაც შემდგომ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ამ უკანასკნელს.

1998 წლის 3 მარტს მწვანეთა ოფისში გაიმართა პრესკონფერენცია (გ. გაჩეჩილაძე, გ. მელაძე) საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესებისა და ოჯახის კრიზისთან დაკავშირებით. მწვანებმა პირველად გამოაქვეყნეს ობიექტური ინფორმაცია ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ: 1990—1996 წწ. ქორწინების რაოდენობა ორჯერ შემცირდა; არნახული მასშტაბები მიიღო გარე მიგრაციამ. 1990-1996 წწ. ჩამოსულთა და გასულთა შორის სხვაობამ 1 მლნ. შეადგინა, რომელშიც ქართველების რაოდენობა ნახევარი მილიონია; ემიგრაციულ პროცესებს მოჰყვა მოსახლეობის რაოდენობის კლება. 1997 წლის 1 იანვრისათვის მოსახლეობა 4 მილიონ 400 ათასს არ აღემატებოდა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები გარე მიგრაციის შესახებ გაყალბებულია. 1990-იან წლებში შობადობის მნიშვნელოვანი კლება მოხდა, 1994-1996 წწ. უმნიშვნელო ცვალებადობის მიუხედავად, მოხდა მისი პრაქტიკულად ერთ, დაბალ დონეზე სტაბილიზაცია, რომელიც საკმარისი არ არის თაობათა განახლებისთვის. იზრდებოდა მოკვდაობის კოეფიციენტი, რომლის მაჩვენებელმა 1990 წელს 8,4, ხოლო 1996 წელს 9,4 შეადგინა. ოფიციალური მონაცემები ამ შემთხვევაშიც გაყალბებულია, გარდაცვლილთა აღრიცხვა არასრულია, 1996 წელს აღურიცხავი დარჩა 5800-ზე მეტი გარდაცვლილი, რაც საერთო რაოდენობის 14,5%-ს შეადგენს. შობადობის კლებასა და მოკვდაობის ზრდას მოჰყვა ბუნებრივი მატების შემცირება. 1996 წელს მან მოსახლეობის 1000 სულზე 3,1 შეადგინა, რაც 2,8-ჯერ ნაკლებია 1990 წელთან შედარებით. აღინიშნა, რომ შეინიშნება რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობის მატება. თუ მათი წილი დაბადებულთა მთელ რაოდენობაში 1989 წელს 17,7%-ს შეადგენ-

და, 1996 წლისთვის მან — 31% მიაღწია. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს საეკლესიო ჯვრისწერას. საქართველოში მართმადიდებლობა და ეკლესია ისტორიულად იყო ქვეყნის სიძლიერის, ზნეობრიობის საფუძველი და ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობდა ოჯახის სიმტკიცეში, ამიტომ მწვანეებმა მიმართვა გაუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტს, კათოლიკოს—პატრიარქს, პარლამენტს და მოითხოვეს: 1. აღსდგეს საუკუნებრივი ტრადიცია და საქართველოს ეკლესიაში დადგენილი წესით ჯვრისწერა ჩაითვალოს ოფიციალურ ქორწინებად (მისთვის იურიდიული საფუძვლების მინიჭებით). 2. დაშვებული იქნას ქორწინების ორივე ფორმა (სამოქალაქო და საეკლესიო) და მოსახლეობას მიეცეს თავისუფალი არჩევანის საშუალება.

საკითხის განხილვა სატელევიზიო გადაცემაში გაგრძელდა. პრეზიდენტის აპარატიდან მიღებულ პასუხში ნათქვამი იყო, რომ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დამყარდება ხელშეკრულებითი ურთიერთობა.

1998 წლის მარტიდან განახლდა მწვანეების ბრძოლა თურქეთის მიერ მდ. ჭოროხის აუზში კაშხალიანი 11 წყალსაცავის მშენებლობის წინააღმდეგ. ქართველმა მწვანეებმა აღნიშნული პრობლემა დააყენეს NATO-ს (08.10.1996), ევროსაბჭოს, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასსამბლეების, აგრეთვე, ევროპის მწვანეთა პარტიების ჰელსინკის სხდომებზე. პრინციპულმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო: პრობლემის მოგვარების მიზნით შეიქმნა თურქთისა და საქართველოს მთავრობათშორისი კომისია. მწვანეების საერთაშორისო ორგანიზაციების პროტესტის საფუძველზე მსოფლო ბანკმა უარი თქვა პროექტის დაფინანსებაზე. მშენებლობა დაკონსერვდა.

1998 წლის 13 ივნისს გაიმართა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის და მწვანეთა პარტიის გაერთიანებული VI კონგრესი. კონგრესს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ,

მისალმების ბარათი გამოგზავნა საქართველოს პრეზიდენტმაც. მწვანეთა ფორუმს ესწრებოდნენ საზღვარგარეთელი სტუმრებიც. ქართველმა მწვანეებმა შეაჯამეს V კონგრესს შემდეგ გაწეული მუშაობა, დასახეს ახალი ამოცანები. მწვანეთა მოძრაობის საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ: ნანა ნემსაძე, გივი თუმანიშვილი, რუსუდან სიმონიძე, ზურაბ თავართქილაძე, გია გვაზავა, თენგიზ ჯაფარიძე, მამუკა სალუქვაძე, გიორგი მელაძე, ეთერ მაისაშვილი, მალხაზ ბიწაძე. პარტიის კომიტეტში შევიდნენ: ავთანდილ გელაძე, ნინო ჩხობაძე, ნატო კირვალიძე, გივი გიგინეიშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, სოსო ქარცივაძე, ზურაბ მგალობლიშვილი. მწვანეთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნანა ნემსაძე, პარტიის თავმჯდომარედ — გიორგი გაჩეჩილაძე.

1997 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მწვანეების შემუშავებული ძალზედ მნიშვნელოვანი დადგენილება "საქართველოს ტერიტორიაზე პარკებში, ბაღებში და სკვერებში მშენებლობების აკრძალვისა და შეჩერების შესახებ", რის შედეგადაც ფაქტიურად შეჩერდა გამწვანებული ტერიტორიების განადგირება, გადარჩა ვაკის პარკი, სადაც დაგეგმილი იყო საცხოვრებლი სახლების მშენებლობა.

ქართველი მწვანეები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს და ამხელდნენ რუსეთის ფედერაციის ჯარის ნაწილების მიერ დატოვებული ქართული ტერიტორიების დაბინძურების ფაქტებსაც. 1998 წლის 25 აგვისტოს მწვანეთა ოფისში გამართულ პრესკონერენციაზე გიორგი გაჩეჩილაძემ საზოგადოების ყურადღება მიაპყრო რუსეთის ჯარის ნაწილების მიერ საქართველოს ტერიტორიის რადიაციულ დაბინძურებას. აღინიშნა, რომ რუსეთის ჯარის ნაწილების მიერ საქართველოსთვის გადმოცემული და მიტოვებული ტერიტორიებიდან მოდის შემაშფოთებელი ინფორმაცია: ლილოს სასაზღვრო-სასწავლო რაზმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა ძლიერი გამოსხივების წყაროები, მოსახლეობისთვის კარგად ცნობილი ტრაგიკული შედეგებით. დაბა

ვაზიანში, რუსეთის ჯარების სარაკეტო ბაზის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა ძლიერი რადიაციული გამოსხივების წყარო, რომლის აქტივობა 400 მეტრის რადიუსზე ვრცელდებოდა და მისი აქტივობა აღემატებოდა 4 კიურს. ნაპოვნი წყარო ლილოში აღმოჩენილი წყაროს იდენტურია. ამავე სამხედრო ნაწილში აღმოჩენილია ნაგავში გაბნეული რადიაქტიური გამოსხივების კიდევ 6 კერა; დაბა ვაზიანში გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა რადიოაქტიური გამოსხივების კიდევ ორი წყარო. იქვე, დისციპლინარული ბატალიონის ტერიტორიაზეც აღმოჩნდა დაბინძურებული ადგილი. ქ. ქუთაისში 21-ე მოტომსროლელი ბრიგადის 35-ე სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა რადიოაქტიური გამოსხივების წყაროები. ქ. ქუთაისის 21-ე ბრიგადის სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა 2 წყარო; ახალციხეში 22 მოტომსროლერლი ბრიგადის მე-4 ბაზაში, სატანკო ბატალიონის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია რადიოაქტიური გამოსხივების წყაროები. ხონის რაიონის სოფელ მათხოჯის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა რადიოაქტიური გამოსხივების ერთი ძლიერი 600 რენტგენი/სთ და შედარებით დაბალი აქტივობის კიდევ ორი გამოსხივების კერა. თერჯოლის რაიონის ტერიტორიაზე ყოფილი რუსეთის ყოფილ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ტერიტორიის დაბინძურება 1 მეგბეკ./მ^2 და ა.შ. მაგრამ კიდევ გამოსაკვლევია 300-მდე სამხედრო ნაწილის ტერიტორია მათ შორის გურიის, სამეგრელოს, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და სხვა რეგიონებში. როგორც ჩანს, ყოველივე ეს კანონზომიერ ხასიათს ატარებს და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საქართველოს ტერიტორია რუსეთის სამხედრო ნაწილების რადიოქატიური ნივთიერებების საწყობად არის გადაქცეული, რაც შემდეგი დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა: ჩვენს რეგიონში რუსეთის სტრატეგიული ინტერესები არ შემოიფარგლება მხოლოდ კასპიის ზღვის ენერგორესურსების განაწილებით. მისი ინტერესის მნიშვნელოვან ასპექტს ისლამური ქვეყნების

ატომური ტექნოლოგიებით და რადიოაქტიური ნედლეულით უზრუნველყოფაც უნდა წარმოადგენდეს. ამისთვის რუსეთი საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს იყენებს, რომელზეც მისი სამხედრო ნაწილები არიან განლაგებული. აქედან გამომდინარე, საქართველოს მწვანეები გამოთქვამდნენ საფუძვლიან ეჭვს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის ზოგიერთ მომქმედ სამხედრო ბაზაზე არსებობს რადიოაქტიური ნივთიერებების საიდუმლო ბაზა, სავარაუდოდ სამხრეთ საქართველოში, რაც დიდ საშიშროებას უქმნის ამ რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობას და განსაკუთრებით ბავშვებს. მწვანეებმა მოითხოვეს საქართველოში განლაგებული რუსეთის ყველა მომქმედი სამხედრო ბაზის კომპლექსური შემოწმება საერთაშორისო კომისის მიერ, ევროპის მწვანეების, "გრინფისის" და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით.

1998 წლის 15 ნოემბერს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა. ქართველი მწვანეები მასში დამოუკიდებლად ღებულობდნენ მონაწილეობას. ხელისუფლებამ განიზრახა ხელოვნური დაბრკოლებების შექმნის გზით არ დაეშვა არჩევნებში მწვანეთა პარტიის კანდიდატთა გამარჯვება. ცენტრალური ხელისუფლების მითითებით ადგილობრივმა მმართველობითმა ორგანოებმა შეძლეს დაეშალათ მწვანეთა პარტიის 55 საარჩევნო სია. ამის მიუხედავად, თავისი მწირი ფინანსური შესაძლებლობებით, მწვანეებმა შეძლეს დაეძლიათ ყველა ბარიერი და 205 საარჩევნო ოლქში წარდგენილი 3000-მდე დეპუტატობის კანდიდატიდან 29 ოლქში 60 დეპუტატი გაეყვანათ.

გიორგი გაჩეჩილაძემ ტელევიზიითა და პრესით ამხილა ხელისუფლების ხრიკები ადგილობრივ არჩევნებში, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით დამაჯერებლად დაასაბუთა მწვანეთა შევიწროვებისა და მათზე ტოტალური ძალადობის ის პრაქტიკა, რომელსაც ხელისუფლება არჩევნების მსვლელობისას მიმართავდა. ადგილობრივი არჩევნების შედეგები განიხილეს მწვანეების დარბაზის სხ-

დომაზეც. რაიონული ორგანიზაციების თავჯდომარეების გამოსვლებში გამოაშკარავდა მწვანეთა დევნის სრული სურათი, რომლის პასიური მონაწილეები აღმოჩნდნენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ეკოპოლიციის ადგილობრივი განყოფილებები.

გაღიზიანებულმა ხელისუფლებამ მის მიერ კონტროლირებად სატელევიზიო არხებს და მასმედიას მწვანეთა ბლოკირების დავალება მისცა.

1998 წლის 19 ნოემბერს, მწვანეების საბჭოს სხდომაზე, ძველი მწვანეები შეეცადნენ მწვანეთა პარტიის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეობისგან გადაეყენებინათ გიორგი გაჩეჩილაძე. ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ძველ და ახალ მწვანეებს შორის მშვიდობის დამყარება სცადა ზურაბ ჟვანიამ. 1998 წლის დეკემბერში მასთან გამართულ შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ, თუმცა მოქალაქეთა კავშირში გადასული მწვანეების მხრიდან ის მალევე დაირღვა. 1999 წლიდან პოპულარულ სატელევიზიო არხებზე მწვანეთა ბლოკირებამ უკვე ტოტალური ხასიათი მიიღო.

1999 წლის 30 მარტს ჩატარდა მწვანეთა თბილისის ორგანიზაციის ყრილობა, რომლის მუშაობაში 200-დე დელეგატი მონაწილეობდა. ყრილობამ თბილისის ორგანიზაციის თავჯდომარის — ლევან ჩაჩუას "მოქალაქეთა კავშირში" გადასვლასთან დაკავშირებით ჩაატარა ხელმძღვანელობის არჩევნები. არჩევნები მიმდინარეობდა დაძაბულად. "მოქალაქეთა კავშირის" ინტერესებში ამ პოსტზე გავლენის შენარჩუნება შედიოდა. ორგანიზაციის წევრებზე აშკარა და უხეში ზეწოლის მიუხედავად ყრილობის დელეგატებმა გადაჭრით უარყვეს „მოქალაქეთა კავშირის" მიერ შემოთავაზებული კანდიდატები და თავიანთი კანდიდატი აირჩიეს. მწვანეთა პარტიის თბილისის ორგანიზაციის თავჯდომარედ არჩეულ იქნა მამაუკა სალუქვაძე, მოძრაობის თავჯდომარედ — ვახტანგ გვახარია.

1999 წლის 7 მაისს ქ. ბაქოში ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენცია, რომლის მუშაობაში

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 24 ორგანიზაცია მონაწილეობდა. კონფერენციაზე საქართველოს მწვანეების ინიციატივით განიხილეს ადრეული ნავთობის (ბაქო—სუფსას ნავთობსადენი) ტრანსპორტირების ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები. კონფერენციის მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისადმი ამ საკითხზე მიღებულ მიმართვაში გამოთქმული იყო შეშფოთება ტერმინალიდან ნავთობის გადატვირთვის დროს ნავთობის დაღვრის ფაქტებთან დაკავშირებით. მიმართვამ სერიოზული რეაქცია გამოიწვია როგორც საერთაშორისო დონეზე, ასევე საქართველოში. საქართველოს ხელისუფლებამ და მასმედიამ სცადეს შავი ზღვის ნავთობით დაბინძურების ფაქტი ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნისთვის გადაებრალებინათ. გიორგი ჭანტურია საქართველოს მწვანეებს სასამართლოთიც კი დაემუქრა "პროექტის დისკრედიტაციის მცდელობისათვის". ატეხილი აჟიოტაჟის გამო მწვანეთა ოფისში 17 მაისს გიორგი გაჩეჩილაძემ გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილი იქნა სუფსაში ნავთობის დაღვრის დამადასტურებელი მასალა. გაჩეჩილაძემ დამაჯერებლად ცხადყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან სუფსის მიდამოების დაბინძურების მთავრობისეული ვერსიის სრული აბსურდულობა.

ცხადია, ხელისუფლებისგან დამოძღვრილმა ტელეკომპანიებმა და ბეჭდურმა მედიამ პრესკონფერენცია არ გააშუქეს. გიორგი ჭანტურიამ კი სასამართლოში მწვანეებს ვერ უჩივლა, რადგან ამ პროექტის მიმართ ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა "NATO"—ს პოლიტიკურ—სამხედრო მაკორდინირებელმა კომიტეტმა, რომელმაც 14—17 ოქტომბერს თბილისში ჩაატარა სემინარი "ნავთობსადენის ეკოლოგიური უსაფრთხოების შესახებ". სემინარმა აღიარა ბაქო—სუფსის ნავთობსადენის ეკოლოგიური უსაფრთხოების არასაკმარისობა და გადაწყდა ამ მიზნით, დამატებით 250—300 მილიონი დოლარის გამოყოფა.

1999 წლის მაისის ბოლოს, „მოქალაქეთა კავშირთან" მწვავე იდეოლოგიური უთანხმოების გამო, გიორგი გაჩეჩილა-

ძემ ოფიციალურად დატოვა საპარლამენტო უმრავლესობა, რაც ასევე არსად გაშუქებულა.

მაისშივე მწვანეებმა მოლაპარაკება გამართეს პარტია "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერებთან. მოლაპარაკების საგანს წარმოადგენდა 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში ერთ საარჩევნო ბლოკად გაერთიანების საკითხი. გადაწყდა შექმნილიყი ერთიანი ბლოკი იმ პირობით, რომ მასში გაერთიანდებოდა მხოლოდ ორი პარტია. დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტებთან თანამშრომლობა უნდა გამოხატულიყო მხოლოდ ბლოკის საარჩევნო სიებში მათი წარმომადგენლების შეყვანით. სამწუხაროდ, სწორედ 16 ოქტომბერს, იმ დღეს, როცა იწურებოდა არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რეგისტრაციის ვადა, შეთანხმება დაარღვია "მრეწველობა გადაარჩენს საქართველომ". ამ ნაბიჯით, უნდოდა თუ არა ეს მას, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველომ" აშკარა გახადა ხელისუფლების სურვილი პარლამენტს გარეთ დაეტოვებინა მწვანეები.

1999 წლის ივნისში ხელისუფლებამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მწვანეთა წინააღმდეგ. შეიქმნა მწვანეების ალტერნატიული ორგანიზაცია "გარემოს დამცველთა კავშირი", რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინსტიტუტის დირექტორი ა. ფანჩულიძე, ხოლო მმართველ ორგანოში შეიყვანეს ამავე სამინისტროს მინისტრის მოადგილეები. ორგანიზაციამ აქტიურად დაიწყო რაიონული სტრუქტურების შექნაც. იყო მწვანეების რაიონული ორგანიზაციების თავჯდომარეების გადაბირების მცდელობებიც, თუმცა, უშედეგოდ. "გარემოს დამცველთა კავშირი" ფაქტიურად მკვდრადშობილი ორგანიზაცია აღმოჩნდა. ის მალევე დაიშალა.

1999 წლის ოქტომბერში, პარლამენტის ბოლო სხდომაზე, ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის მუშაობის შემაჯამებელ გამოსვლაში საერთოდ არ ახსენა მწვანეებით დაკომპლექტებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის საქმიანობა, რომელმაც ყველა დანარჩენ კომიტეტზე

დიდი სამუშაო ჩაატარა (ამას თავიანთ გამოსვლებში აღიარებდნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც). ამ სფეროში მიღებული 21 საკანონმდებლო აქტიდან 19 უშუალოდ მწვანეების მიერ იყო შემუშავებული. სწორედ ამ საკანონმდებლო აქტებმა განაპირობეს მთლიანი გარემოსდაცვითი რეფორმის წარმატებით განხორციელება საქართველოში.

1999 წლის ზაფხულში, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ შემოთავაზებული საარჩევნო კანონისა და კონსტიტუციის შესწორებები, რომლითაც საარჩევნო ბარიერი 5-დან 7%-მდე გაზარდა. ცვლილებებმა "მოქალაქეთა კავშირს" საარჩევნო კომისიებში აბსოლიტური უპირატესობა დაუკანონა. მაშინ, როდესაც დანარჩენ პარტიებს არჩევნების შედეგების სასამართლოში გასაჩივრების უფლებაც კი ჩამოერთვათ.

„პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" მიერ მწვანეებთან მიღწეული შეთანხმების დარღვევის შემდეგ, 1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მწვანეთა პარტია დამოუკიდებელი საარჩევნო სუბიექტის სახით წარსდგა.

არჩევნები ტოტალური გაყალბების ფონზე ჩატარდა. გაყალბება დოკუმენტალურად დაადასტურა „ეუთოს" დამკვირვებელთა მისიამაც. ასეთ პირობებში მწვანეთა პარტია, ისევე, როგორც საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე სხვა ოპოზიციური პარტიები, პარლამენტსგარეთ აღმოჩნდნენ. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა მწვანეთა პარტიის ლიდერის — გიორგი გაჩეჩილაძის საარჩევნო კამპანიის ჩაშლისთვის. სატელევიზიო არხები დემონსტარაციულად არ ასახელებდნენ მის გვარს ვაკის რაიონის მაჟორიტარ კანდიდატებს შორის. რაიონის მოსახლეობას ურეკავდნენ სახლებში და აწვდიდნენ დეზინფორმაციას, თითქოს გაჩეჩილაძემ მოხსნა თავისი კანდიდატურა. საქართველოს პრეზიდენტმა კი აშკარად დაარღვია კონსტიტუცია და სატელე-

ვიზიო გამოსვლაში ღიად დაუჭირა მხარი დეპუტატობის ერთ-ერთ კანდიდატს — მიხეილ სააკაშვილს.

1999 წლის 2 ნოემბერს, ღამით, არჩევნებიდან ორი დღის შემდეგ, გატეხეს მწვანეთა ოფისი, დაარბიეს ოთახები და ჩამოხიეს პლაკატები, ოფისიდან არაფერი წაუღიათ, რაც ამ ვანდალური აქტის აშკარად პოლიტიკურ სარჩულზე მიუთითებდა. ცხადია, პოლიციამ დამნაშავეთა კვალს „ვერ მიაგნო". ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ მწვანეთა ოფისის დარბევის ფაქტს დუმილით აუარა გვერდი მასმედიის ყველა საშუალებამ.

2000 წლის პირველ იანვარს, ახალი წლის ღამით, მეორედ გატეხეს მწვანეთა ოფისი და წაიღეს მთელი სამუშაო ტექნიკა — ორი კომპიუტერი, ორი ფაქსი, ქსეროქსი, ტელეფონები და ა.შ. ზარალმა 5000 აშშ დოლარი შეადგინა. მწვანეებმა დაადგინეს მძარცველების მანქანების ნომრები, რაც დაუყოვნებლივ აცნობეს პოლიციას. ამის მიუხედავად პოლიციამ არაფერი იღონა დამნაშეეთა ვინაობის დასადგენად და დასაკავებლად. ბუნებრივია, რომ ამან ძარცვის პოლიტიკურ მიზნებზე და 1999 წლის 2 ნოემბრის დარბევასთან მის კავშირზე სერიოზული ეჭვი გაუჩინა მწვანეებს.

მასმედიის საშუალებებმა არც ამ ფაქტის გაშუქება მიიჩნიეს საჭიროდ.

2000 წლის 4 თებერვალს მწვანეთა პარტია "საქართველოს თავისუფლებისა და დემოკრატიის ეროვნულ ცენტრში" გაერთიანდა. მწვანეების გარდა ეროვნულ ცენტრში კიდევ 26 ოპოზიციური პარტია შევიდა. ეროვნული ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარედ მწვანეთა პარტიის თავჯდომარე გიორგი გაჩეჩილაძე აირჩიეს. გაერთიანებამ დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღება, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, პასპორტიზაცია და საპრეზიდენტო არჩევნების 6 თვით გადადება მოითხოვა. ხელისუფლებამ ცენტრის არცერთი მითხოვნა არ დააკმაყოფოლა, რის გამოც ცენტრმა უნდობლობა გამოუცხადა საპრეზიდენტო არჩევნებს.

10 მარტს, მწვანეთა ცენტრალური საბჭოს მორიგი სხდომის დროს, მოულოდნელად დარბაზში გამოჩნდნენ მწვანეთა ცენტრალური საბჭოს ყოფილი წევრები, რომლებმაც მწვანეთა პარტიის "საქართველოს თავისუფლებისა და დემოკრატიის ეროვნულ ცენტრიდან" გამოსვლა მოითხოვეს. ცენტრალურმა საბჭომ კენჭი უყარა ამ წინადადებას. ხმათა უმრავლესობით წინადადება ჩავარდა.

2000 წლის 25-26 თებერვალს საქართველოში, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ევროპის პალამენტის მწვანეთა ფრაქციის დელეგაცია ფრაქციის თავჯდომარის პიერ გარტონის ხელმძღვანელობით. იმის მიუხედავად, რომ ევრომწვანეების დღის წესრიგში ოფიციალურად იყო გათვალისწინებული ქართველ მწვანეებთან შეხვედრა, ხელისუფლებამ სცადა არ დაეშვა ამ შეხვედრის გამართვა. შეხვედრა მაინც შედგა ჯერ აეროპორტში, შემდეგ კი, ევრომწვანეთა დაჟინებული მოთხოვნით, მწვანეთა ოფისში.

გაღიზიანებულმა ხელისუფლებამ ისღა მოახერხა, რომ საინფორმაციო საშუალებებს ევროპარლამენტის მწვანეთა ფრაქციის საქართველოში ვიზიტის გაშუქება აუკრძალა. და ეს მაშინ, როცა ევრომწვანეებს შეხვედრები უმაღლეს დონეზე — საქართველოს პრეზიდენტთან და პარლამენტის თავჯდომარესთან ჰქონდათ.

ცხადია, არ გაშუქდა ამ ვიზიტის შედეგებთან დაკავშირებით საქართველოს მწვანეების განცხადება და პრესკონფერენციაც.

2000 წლის 21 აპრილს შემოღებული იქნა "ტყის საპატიო მჩეხველის" წოდება, რომელიც ჟურნალისტების გამოკითხვისა და სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე უნდა მინიჭებოდა ტყის ჩეხვით განსაკუთრებულად გამორჩეულ ხელისუფლების წარმომადგენელს. 22 აპრილს, დედამიწის დღეს, გიორგი გაჩეჩილაძემ მწვანეთა ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პირველი ასეთი „გამარჯვებული" — სამცხე-ჯავახეთის მხ-

არის რწმუნებული გიგლა ბარამიძე. ის გახდა სპეციალური დიპლომისა და გარდამავალი ნაჯახის პირველი მფლობელი. პრესკონფერენციას არ დაესწრენ საქართველოს ტელევიზიის I არხი და რუსთავი 2.

24 აპრილს გიგლა ბარამიძემ სცადა საპასუხო პრესკონფერენციაზე მოეხდინა მწვანეების დისკრედიტაცია, მაგრამ პრესკონფერენციის ორგანიზატორებისთვის მოულოდნელად მწვანეებმა ბარამიძეს გადასცეს „ტყის სასპატიო მჭეხველის" დიპლომი. პრესკონფერენციას ყველა არხი აშუქებდა, რის გამოც იგი საქართველოს მთელმა მოსახლეობამ იხილა.

მწვანეთა ამ აქციამ ფართო პოზიტიური გამოხმაურება ჰპოვა მოსახლეობაში. სულ მალე, 16 მაისს, თანამდებობიდან გაათავისუფლეს ბორჯომის გამგებელი.

პრინციპულმა გარემოსდაცვითმა და ეკოლოგიურმა საქმიანობამ, თანმიმდევრულმა პოლიტიკურმა კურსმა მწვანეთა პარტიის ავტორიტეტი კვლავ აამაღლა. გიორგი ბერიშვილი, თავის ანალიტიკურ სტატიაში აღნიშნავდა, რომ პარტიის ერთ წევრზე ამომრჩეველთა ხმების რაოდენობით მწვანეთა პარტია ქვეყანაში მოქალაქეთა კავშირის შემდეგ (7,2 ამომრჩეველი) მეორე ადგილზეა (5,7 ამომრჩეველი). არჩევნების შედეგების გაყალბების მასშტაბების გათვალისწინებით კი, სინამდვილეში, მწვანეთა პარტია პირველ ადგილზე (15 ამომრჩეველი)[47] იმყოფებაო.

მწვანეები კვლავაც განაგრძობდნენ თავის პრინციპულ ბრძოლას ვაკის პარკის გადარჩენის, ტყის უკანონო ჩეხვის, გარემოს დაჭუჭყიანებისა და სხვა ეკოლოგიური საფრთხეების წინააღმდეგ. 2000 წლის 12 სექტემბერს მწვანეებმა გააერცელეს განცხადება რომელშიც გაოცებას გამოხატავდნენ მოქალაქეთა კავშირისა და მათი საპარლამენტო ლიდერების მიერ წყნეთში ტყის მასივის უკანონო ჩეხვის ფაქტების გამო საინფორმაციო საშუალებებში ხელოვნურად შექმნილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით. მათ გულწრფელობას დავიჯერებდით, ყოველივე ეს მწვანეების საერთო

47. გაზ. „რეზონანსი", 5 მაისი, 2000 წ.

საინფორმაციო ბლოკირების ფონზე რომ არ მიმდინარეობდეს, — ნათქვამი იყო განცხადებაში. როგორ მოხდა, რომ თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებას ერთდროულად "დაავიწყდა" მწვანეების არსებობა და ისიც, რომ წყენთის ტყეების გაჩეხვის გამო შარშან სწორედ მწვანეებმა მოაწყვეს აქციები და შეაჩერეს იქ მიმდინარე მშენებლობები, ხოლო დამნაშევეთა მიმართ საქმე პროკურატურაშია აღძრული? რატომ არ ატყდა მაშინ ასეთი აჟიოტაჟი, თუნდაც თბილისის სატყეოს უფროსის შოთა მეფარიძის მწვანეთა ოფისში მოვარდნის ფაქტზე? რატომ არ ატყდა აჟიოტაჟი მაშინ როცა ბირჯომის ხეობაში დავაფიქსირეთ განადგურებული ტყის მასივები? ან მაშინ, როცა პარლამენტში 3 თვის განმავლობაში ვიბრძოდით ხე-ტყის ექსპორტის აკრძალვისთვის? ან მაშინ, როცა ამა წლის ივნისში საქართველოს ხელისუფლება "გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში" წარვადგინეთ საქართველოდან ხე-ტყის ექსპორტის აკრძალვებისა და დაშვებების რეკორდული რაოდენობის გამო? ან მაშინ, როცა შევაჩერეთ ვაკის პარკის განადგურება და წამოვიწყეთ სასამართლო პროცესი იქ დაგეგმილი მშენებლობების წინააღმდეგ? რატომ აღარ გადის ეთერში ჩვენთან აღებული ინტერვიუები და განცხადებები? რატომ გამოყავთ ტელევიზიით ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით ადამიანები, რომელთაც ამაში არაფერი არ გაეგებათ და სისტემატურად შეცდომაში შეყავთ მოსახლეობა? — კითხულობდნენ მწვანეები.

განცხადებაში გაკეთებული იყო ლოგიკური დასკვნა: „ყოველივე ეს შურისძიების აქტს უფრო გავს ხელისუფლების მხრიდან, რადგან საქართველოს მწვანეები დღეს არვისგან მართული და პრინციპული ოპოზიციური ორგანიზაციაა."

ცხადია, ხელისუფლებისგან მართული მასმედია არც ამ განცხადების გამოქვეყნებით დაინერესებულა.

2000 წლის 15 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქის, ილია მეორის ინიციატივით საპატრიარქოში გაიმართა შეხვედრა თბილისის გამწვანების პრობ-

ლემებთან დაკავშირებით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ თბილისის მერიის წარმომადგენლები, მწვანეები და გამწვანების სპეციალისტები. საქართველოს მწვანეთა პარტიის თავჯდომარემ, გიორგი გაჩეჩილაძემ პატრიარქს თბილისში და შემდეგ მთელ საქართველოში ახლად დაქორწინებულთა პარკების შექმნის იდეა შესთავაზა, რომელიც საპატრიარქოს მხარდაჭერით ძალზედ იოლად, ყოველგვარი დაფინანსების გარეშე (ჯვარდანერილები გამოყოფილ ტერიტორიებზე დარგავდნენ თავისი სახელობის ხეებს) შეიძლებოდა განხორციელებულიყო. იქვე წარმოიშვა მეორე იდეაც, რომ იგვე შეიძლება მოხდეს ბავშვის ნათლობის დროსაც. პატრიარქმა ორივე წინადადება მოიწონა და მწვანეებს სთხოვა მათი პრაქტიკული რეალიზაციის ორგანიზება.

ამ მართლაც საშვილიშვილო საქმის პრაქტიკული რეალიზაცია ვერ მოხერხდა ქალაქის მერიის მიერ ტერიტორიების გამოყოფაზე უარის თქმის გამო.

2000 წლის 25-26 სექტემბერს საქართველოს და ჩეჩნეთის მწვანეების ორგანიზებით თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონგრესი თემაზე: „ომი და ეკოლოგია". ამ კონგრესზე იტალიური რადიოს „რადიკალეს" სპეციალურმა კორესპოდენტმა ანტონიო რუსომ ისაუბრა რუსი სამხედროების ბარბაროსულ ქმედებებსა და ომის შედეგად წარმოქმნილ ეკოლოგიურ კატასტროფაზე. იტალიელი ჟურნალისტი რუსი ჯარისკაცების ვანდალიზმის ამსახველი მასალების ვიდეოკადრების წარმოდგენასაც აპირებდა, თუმცა, 16 ოქტომბერს მისი სასტიკად ნაწამები გვამი თბილისთან ახლოს საგზაო მაგისტრალზე იპოვეს. დიდი ალბათობით სავარაუდოა, რომ იტალიელი ჟურნალისტი რუსეთის სპეცსამსახურებმა მოკლეს, თუმცა ფორმალურად ჩატარებულმა გამოძიებამ დამნაშავეთა კვალს „ვერ მიაგნო". 25 ოქტომბერს ქართველმა მწვანეებმა გამართეს პრესკონფერენცია, რომელზეც წარმოადგინეს რუსოს საუბრის ამსახველი ვიდეომასალა და მის მკვლელობასთან დაკავშირებული სხვა მასალები.

მწვანეების დისკრედიტაციის ერთ-ერთ მეთოდად ხელისუფლება მათი იდეებისა და გაკეთებული საქმეების მითვისებასაც იყენებდა. ასე მაგალითად: ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის შეჩერება შესაძლებელი გახდა მხოლოდ გიორგი გაჩეჩილაძის მიერ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში შეტანილი სარჩელის შედეგად. თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ კი სცადა ეს მოქალაქეთა კავშირის დამსახურებად წარმოედგინა; თბილისის მერიამ თავის ინიციატივად მონათლა 15 სექტემბერს პატრიარქთან შეხვედრისას მწვანეთა მიერ წამოყენებული ინიციატივა ახლად ჯვარდაწერილთა პარკის გახსნის შესახებ. უკვე 17 სექტემბერს თბილისის მერია თავის განცხადებაში სინდისის ქენჯნის გარეშე წერდა: „"ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, უახლოეს პერიოდში თბილისში ახლად დაქორწინებულთა პარკი გაიხსნება . . . დედაქალაქში ყოველი ახალდაბადებულის სახელზე ხე დაირგვება. ".[48] და ა. შ.

მასმედიის მიერ მწვანეებისთვის დაწესებული შეზღუდვის გამო ასეთი მითვისებები პასუხგაუცემელი რჩებოდა, პრესაში მწვანეთა ოფისში გამართული პრესკონფერენციებიც კი არ შუქდებოდა.

2000 წლის 4 ოქტობერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მწვანეების ერთ-ერთი დამფუძნებლისა და უხუცესი წევრის — გივი თუმანიშვილის დაბადებიდან 75 წლისა და სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავისდმი მიძღვნილი საუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ პარლამენტის თავჯდომარე ზურაბ ჟვანია, უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი, საზოგადოებრიობის წარმომდგენლები. საღამოზე აღინიშნა ბატონი გივი თუმანიშვილის წონადი წვლილი საქართველოში ბიოლოგიური მეცნიერებისა და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების საქმეში.

7 ოქტომბერს მწვანეთა დარბაზის სხდომაზე გადაწყდა, რომ უახლოეს კონგრესს განსახილველად წარედგინოს თუმანიშვილის მიერ შემოთავაზებული მწვანეების ახალი პრო-

---

48. გაზ. „ალია", 17 სექტემბერი, 2000 წ.

გრამა, ხოლო მწვანეთა საპატიო თავჯდომარის სიმბოლურ თანამდებობაზე დასამტკიცებლად — გივი თუმანიშვილის კანდიდატურა. დარბაზმა დაადგინა, აგრეთვე, რომ მწვანეების ძირითად სამ პრინციპს — ეკოლოგია, დემოკრატია, არაძალადობა-ს — დაემატოს მეოთხე პრინციპი — "სულიერება"

2000 წლის ნოემბერში დაიწყო მეოთხე შეტევა ვაკის პარკზე. მწვანეებისთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტი აპირებს მოახდინოს საქართველოსა და უკრაინას შორის დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომლის მიხედვითაც უკრაინის საელჩო უნდა აშენდეს ვაკის პარკის ტერიტორიაზე. მწვანეებმა ოფიციალური საპროტესტო განცხადებით მიმართეს პარლამენტს და უკრაინის მწვანეთა პარტიის საპარლამენტო ფრაქციას. მას შემდეგ, რაც უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოში უკრაინს საელჩოს ოფიციალური პროტესტით მიმართეს უკრაინის მწვანეებმაც, საქართველოს პარლამენტი იძულებული გახდა გადაედო რატიფიკაცია. პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტს დაევალა ახალი წინადადების მომზადება ამ საკითხთან დაკავშირებით.

2000 წლის დეკემბერში მწვავე უთანხმოებამ იჩინა თავი „მოქალაქეთა კავშირის" რიგებშიც. პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ვაჟა ლორთქიფანიძის წასვლის შემდეგ ამ თანამდებობას მოქალაქეთა კავშირის ახლად გამომცხვარი ბიზნესმენები — გამყრელიძე-გაჩეჩილაძე ელოდნენ. თუმცა, პრეზიდენტმა ახალ პრემიერ-მინისტრად გია არსენიშვილი დანიშნა. განაწყენებულმა და იმედგაცრუებულმა გამყრელიძე-გაჩეჩილაძის გუნდმა მოქალაქეთა კავშირის ფრაქცია დატოვა და მკვეთრად დაუპირისპირდა ჟვანია-სააკაშვილის გუნდს.

თავის მხრივ, უთანხმოება მწიფდებოდა ჟვანია-სააკაშვილის გუნდსა და პრეზიდენტის გარშემო შემოკრებილ მოქალაქეთა კავშირის კონსერვატიულ ნაწილს შორისაც. ჟვანია-სააკაშვილის გუნდი რადიკალური რეფორმების განხორციელებას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დაწ-

ყებას მოითხოვდა, პრეზიდენტი ღიად არ ეწინააღმდეგებოდა მათ, თუმცა ყოველთვის პოულობდა საბაბს რეალურ საქმეზე გადასვლის მომენტის გადავადებისთვის.

2001 წლის 26 იანვარს დაფუძნდა საქართველოს მწვანეთა ახალგაზრდული ორგანიზაცია. დამფუძნებელ კრებას 80 ახალგაზრდა ესწრებოდა. ახალგაზრდული ორგანიზაციის თავჯდომარედ აირჩიეს ცენტრალური საბჭოს წევრი ზურაბ კილაძე.

ხელისუფლებამ „იზრუნა" იმაზე, რომ დამფუძნებელ კრებას ჟურნალისტები არ დასწრებოდნენ. კრების შემდეგ ახალგაზრდა მწვანეებმა პარლამენტის წინ გამართეს აქცია ეკოლოგიური მოთხოვნებით. აქცია მხოლოდ II და მე-9 არხებმა და აჭარის ტელევიზიამ გააშუქეს.

პოლიტიკური გაკოტრებისა და მოსახლეობის თვალში სრული დისკრედიტაციის ფონზე ხელისუფლებისთვის სასიკვდილო საფრთხედ იქცა ქვეყნის შემდგომი წინსვლა დემოკრატიზაციის მიმართულებით და სამართლიანი არჩევნების ჩატარება. ქვეყნისთვის ამ სასიცოცხლო პრობლემებიდან ყურადღების გადატანის მიზნით ხელისუფლება შეეცადა წინა პლანზე კომუნისტური რევანშის საფრთხე წამოეწია. ამისთვის მან გამოიყენა პანტელეიმონ გიორგაძის პარტიის შედარებითი გააქტიურება და გიორგი შენგელაიას მიერ პრორუსული პარტიის „ვაზი და რუსეთი"-ს შექმნა. ამ მოვლენების მასშტაბების გაბერვით ხელისუფლება მოსახლეობაში „მოახლოებული კომუნისტური რევანშის" ილუზიის შეექმნას ცდილობდა.

2001 წლის 7 მარტს მწვანეებმა გამართეს პრესკონფერენცია, რომელზეც დამაჯერებლად ცხადყვეს ხელისუფლების პოლიტიკური ინტრიგების ჭეშმარიტი მიზნები. „საქართველოს ხელისუფლებამ თავის გადარჩენის მიზნით წამოიწყო სახიფათო თამაში, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში კომუნისტური რევანშის "საშიშროების" ილუზიისა და ახალი მტრის ხატის შექმნით გაამართლოს თავისი "ფსევდო დემოკრატიული" კლანური მართვის სისტემა, კიდევ ერთხელ დაახუჭინოს თვალი საერთაშორისო ორგა-

ნიზაცებს საარჩევნო კანონში დაგეგმილ კოსმეტიკურ ცვლილებებზე და მოახლოებული არჩევნების გაყალბებაზე. სწორედ ამასთანაა დაკავშირებული ბოლო ხანებში ტელევიზიით ხელოვნურად შექმნილი კომუნისტური საფრთხისა და რუსეთთან შეერთების ისტერია. ძველი პარტიების ნაფტალინიდან ამოღება და ახლების შექმნა,"— აღნიშნა პრესკონფერენციაზე გიორგი გაჩეჩილაძემ. მწვანეებმა საქართველოს ოპოზიციურ პოლიტიკურ ორგანიზაციებს მოუწოდეს დროებით დაევიწყებინათ „არსებული უთანხმოებები და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ჭეშმარიტი დემოკრატიული ღირებულებების გადარჩენისთვის გადავდგათ ზნეობრივი ნაბიჯი, დავიწყოთ კონსულტაციები (მწვანეთა ოფისში 17 მარტს), ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებისთვის მხოლოდ რამდენიმე საკითხის გარშემო: საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაცია და დემოკრატიის გადარჩენის გზები; საარჩევნო კანონმდებლობა; ეკონომიკური კოლაფსიდან გამოსვლის გზები".

პრესკონფერენციას დაესწრნენ მე-9 არხი და საზოგადოებრივი ტელევიზია, თუმცა მასალა პრესკონფერენციის შესახებ ეთერში არცერთ მათგანს არ გაუშვია.

რაც შეეხება მწვანეთა მოწოდებას ოპოზიციური პარტიებისადმი, მას მხოლოდ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება გამოეხმაურა.

2001 წლის 24 აპრილს მწვანეებმა „ტყის საპატიო მჭეხველის" წოდების ახალი მფლობელის ვინაობა გამოაცხადეს. ჟურნალისტების გამოკითხვისა და სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით ეს წოდება მცხეთა-თიანეთის გუბერნატორს — კობა ბუჩუკურს ხვდა წილად.

ჟურნალისტებმა არც ეს ფაქტი გააშუქეს. სამაგიეროდ, 2001 წლის 17 მაისს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა მცხეთა-თიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის ანზორ სულიაურის სტატია "ქვეყანას ჭრელი პეპლების პოპულისტური ფარფატი კი არა, ხელის ერთად გამოღება უშველის" რომელიც მთლიანად "ტყის საპატიო მჭესველის" წოდების ახალი მფლობელის გამართლებას და

მწვანეებისა და მათი ლიდერის — გიორგი გაჩეჩლაძის ლანძღვა- გინებას მიეძღვნა. 31 მაისს იმავე გაზეთში გამოქვეყნდა მწვანეთა საპასუხო სტატია "კალამიც რომ ისე უჭრიდეთ როგორც ნაჯახი. . . ".

2001 წლის 12 მაისს მწვანეთა პარტიის მიერ თბილისში ჩატარდა მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვა (გამოიკითხა 700 მოქალაქე). რეიტინგების გამოთვლა მოხდა იმ რესპოდენტთა რაოდენობიდან, რომლებმაც მწვანეთა პარტია დაასახელეს. პარალერულად გამოკითხვა ჩაატარა სოციოლოგიური კვლევის ისეთმა ავტორიტეტულმა ცენტრმა, როგორიც "გორბი"-ა. მწვანეთა გამოკითხვის შედეგები ძირითადად დაემთხვა „გორბის" კვლევის შედეგებს.

მწვანეებისა და "გორბის" გამოკითხვების შედარება

პარტია	მწვანე 2001.05	გორბი 2001.06
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	25	41
აღორძინების კავშირი	15	16
მოქალაქეთა კავშირი	10	13
ლეიბორისტული პარტია	13	12
ეროვნულ დემოკრატიული პარტია	13	10
მწვანეთა პარტია	4	3
ახალი ფრაქცია	3	2
კომუნისტური პარტია	3	1
სახალხო პარტია	2	1
ტრადიციონალისტთა კავშირი	6	0
სოციალისტური პარტია	4	0
ჯამი	98	99

სოციოლოგიური კვლევის შედეგები მოწმობდნენ, რომ საინფორმაციო ბლოკადისა და ხელისუფლების მხრივ ზეწოლის მიუხედავად მწვანეთა პარტია მაინც პოპულარული

იყო მოსახლეობაში. 2001 წლის 24 მაისს მწვანეებმა ოფიციალური წერილით მიმართეს საქართველოს სახელმწიფო ტელე—რადიო კორპორაციის თავჯდომარეს ზაზა შენგელიას და მისგან სახელმწიფო ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემებში მწვანეების ბლოკრებასთან დაკვშირებით ახსნა—განმარტება მოითხოვეს. (2000 და 2001 წლებში «მოამბემ» არ გააშუქა მწვანეების 33 პრესკონფერენცია, აქცია და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება). მას შემდეგ, რაც ტელე-რადიო კომიტეტის ხელმძღვანელობამ არანაირი რეაგირება არ მოახდინა მწვანეთა შეკითხვაზე, იგივე შინაარსის შეკითხვა გაეგზავნა საქართველოს სახალხო დამცველს (ნანა დევდარიანი). 25 ივნისს ხელმეორედ გაიგზავანა ოფიციალური წერილი, სადაც მითითებული იქნა კანონის ის მუხლები, რომლებიც ავალდებულებს მათ პასუხის გაცემას.

საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიო კომიტეტის ხელმძღვანელობა კვლავაც ჯიუტად და კანონმდებლობის დარღვევით მწვანეთა ამ ლეგიტიმური მოთხოვნის სრულ იგნორირებას ახდენდა.

2001 წლის 26 ივნისს მწვანეთა პარტია თავის განცხადებაში ამხელდა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის პრეტენზიების აბსურდულ და თავხედურ ხასიათს. "რუსეთი სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანისთვის 160 მილიონ დოლარას ითხოვს, თვითონ კი ამ ბაზებით საქართველოსთვის მიყენებული 3—ჯერ მეტი ზარალი აქვს ასანაზღაურებელი, საქართველოს მწვანეთა პარტიას არაერთხელ გაგვიცხადებია იმ საშიშროების შესახებ, რომელიც რუსეთის ჯარის ნაწილების მიერ საქართველოსთვის გადმოცემულ და მიტოვებულ ტერიტორიებზე არსებული რადიაციული დაბინძურება უქადის მოსახლეობას. ფაქტიურად რუსეთის სამხედროების მიერ დაბინძურებულია მთელი საქართველო, რაც ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს კანონმდებლობას არამედ საერთაშორისო ნორმებსაც. გაოცებას იწვევს საქართველოს ხელისუფლების ეკოლოგიური სიბეცე და სირაქლემის პოზაში დგომა, რადგან ჩვენი

მიახლოებითი გათვლებით რუსეთის სამხედროების მიერ საქართველოსთვის მიყენებული ეკოლოგიური ზარალი 500 მილიონი დოლარის ფარგლებშია, რაც 3-ჯერ აჭრბებს მოლაპარაკებებზე რუსეთის მიერ მოთხოვნილ თანხას," — ნათქვამი იყო განცხადებაში. საქართველოს მწვანეთა პარტიამ კატეგორიულად მოითხოვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ზუსტად იქნას შეფასებული რუსეთის სამხედრო ბაზების მიერ საქართველოსთვის მიყენებული ზარალი და მოეთხოვოს რუსეთს მისი ანაზღაურება.

2001 წლის 13 ივლისს რუსეთის საელჩოს წინ ჩატარდა მწვანეთა ახალგაზრდული ორგანიზაცის თეატრალიზებული აქცია (გუდაუთის ურჩხული), მოთხოვნით "გაიყვანეთ რუსეთს სამხედრო ბაზა გუდაუთიდან". აქციაში მონაწილეობდა 30 ახალგაზრდა.

2001 წლის 6 აგვისტოს მწვანეთა პარტიამ გააერცელა განცხადება—მიმართვა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციისადმი, რომელშიც მოუწოდა მათ მწვანეებთან ერთად დაიწყონ კონსულტაციები გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ვაკის არჩევნებში ერთი კანდიდატურით გამოსვლასთან დაკავშირებით. ოპოზიციის მხრივ რომელიმე ერთ კანდიდატზე შეთანხმების შემთხვევაში მწვანეები მზად იყვნენ მოეხსნათ თავიანთი კანდიდატურა. 9 აგვისტოს ოპოზიციამ საკოორდინაციო საბჭოს სახით, ოფიციალურად განაცხადა გაერთიანების შესახებ. ამის მიუხედავად, სოციალისტებმა, მრეწველებმა, ედეპ-მ, ზვიადისტებმა და სხვებმა მაინც დამოუკიდებლად წარადგინეს კანდიდატურები, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ საქართველოს ოპოზიციურ პარტიებში კვლავაც პიროვნული და პარტიული ამბიციები ჭარბობდნენ საერთო-ეროვნულ ინტერესს.

მწვანეები გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ მოქალაქეთა კავშირის მხრივ თავიანთი კანდიდატურის წამოყენების დაგვიანების მიზეზი იყო ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიასთან ხელისუფლების ფარულ გარიგება. მწვანეების პროგნოზი გამართლდა, 2001 წლის 27 აგვისტოს საართველოს პრე-

ზიდენტმა (მოქალაქეთა კავშირის თავჯდომარემ) ღიად დაუჭირა მხარი ვაკის არჩევნებში ედეპ—ს ლიდერს ირინა სარიშვილ—ჭანტურიას.

2001 წლის 29 აგვისტოს ზურაბ ჟვანიამ ღია წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, რომელშიც დასაბუთებული იყო რადიკალური რეფორმების აუცილებლობა. ჟვანია კატეგორიულად მოითხოვდა კორუფციული პირამიდის სათავეში მყოფი ისეთი ოდიოზური პიროვნების თანამდებობიდან გათავისუფლებას, როგორიც შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე იყო.

2001 წლის 31 აგვისტოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აბსურდული მიზეზით უარი უთხარა მწვანეთა პარტიის თავჯდომარეს გიორგი გაჩეჩილაძეს ვაკის რაიონში არჩევნებში მონაწილეობაზე. მწვანეებმა ცსკ-ს გადაწყვეტილება გააპროტესტეს. 7 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა მწვანეების სარჩელი და გიორგი გაჩეჩილაძე გაატარა რეგისტრაციაში.

2001 წლის 5 სექტემბერს მწვანეებმა პრესკონფერენციაზე კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ამხილეს ხელისუფლება მწვანეთა პარტიის შევიწროებასა და დევნაში. მწვანეებმა პროკურატურისგან კონკრეტული დამნაშავე პირების მიმართ საისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვეს.

ხელისუფლების მხრივ მოწყობილი საინფორმაციო ბლოკადის მიუხედავად გაზეთ "ახალ ვერსიაში" გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები (სატელეფონო გამოკითხვა, 600 რესპოდენტი) მოწმობდნენ, რომ მწვანეთა პარტიას კვლავაც მაღალი რეიტინგი გააჩნდა. საქართველოს საკმაოდ მრავალრიცხოვან პარტიებს შორის მწვანეები მეშვიდე ადგილზე იმყოფებოდნენ.[49]

---

49. გაზ. „ახალი ვერსია", 17-24 სექტემბერი, 10, 2001 წ.

პარტიების რეიტინგი

(საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში რომელ პარტიას დაუჭერდით მხარს?)

№	პარტიის დასახელება	%
	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	26,4
	აღორძინების კავშირი	9,9
	მოქალაქეთა კავშირი	7,4
	ლეიბორისტული პარტია	4,1
	ახალი მოძრაობა	4,1
	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	3,9
	მწვანეთა პარტია	2,8
	კომუნისტური პარტია	1,6
	სახალხო პარტია	0,9
	ტრადიციონალისტთა კავშირი	0,4
	ერთობა	0,4
	სოციალისტური პარტია	0
	არ ვიცი	3,9
	არ ვიცი	5,3
	არც ერთს	28,9
	ჯამი	100

2001 წლის 8 ოქტომბრიდან მწვანეთა პარტიამ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში სახელმწიფო არხზე გამოყოფილ უფასო დროში ვიდეო კლიპი—სიმღერა "მწვანე საგალობელი" გაუშვა, რომელიც ძალზედ ეფექტური აღმოჩნდა. კლიპის პოპულარობით შეშფოთებულმა ხელისუფლებამ ნაცად ხერხს — ხელოვნური პრობლემების შექმნას მიმართა: მისი დავალებით ერთერთმა მომღერალმა (რომელიც ამ კლიპში მღეროდა) კატეგორიულად მოითხოვა კლიპის ჩვენების შეწყვეტა იმ მოტივით, რომ, თითქოს, ეს ეწინააღმდეგებოდა მის პრინციპს — არ ყოფილიყო ასოცირებული არცერთ პარტიასთან. ეს მაშინ, როცა გადაღებების დროს მან მშვენივრად იცოდა, რომ ამ კლიპს მწვანეები თავიანთი საარჩევნო კამპანიისთვის იღებდნენ. კლიპის ჩვენება შეაჩერეს, რამაც საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია.

პარალელურად ხელისუფლება ყოველგვარი აკრძალული ხერხებით ცდილობდა ოპოზიციური კანდიდატების, მათ შორის, გიორგი გაჩეჩილაძის დისკრედიტაციასაც (მაგალითად, აქვეყნებდა ყალბ რეიტინგებს, რომლებშიც მწვანეთა კანდიდატი ან ბოლო ადგილზე იყო გასული, ან საერთოდ არ იყო სიაში მოხვედრილი).

ამის მიუხედავად სახელისუფლო კანდიდატის გამარჯვება ვაკის საარჩევნო ოლქში კვლავაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ამიტომ ხელისუფლებამ მორიგ ავანტიურას მიმართა: ყველასგან მოულოდნელად, არჩევნებამდე 10 დღით ადრე, კანონის დარღვევით, ვაკის საარჩევნო ოლქს მიაწერეს წყნეთი, რის შედეგადაც იქ მყოფი ექვსი ათასამდე ლტოლვილი ვაკელად გამოცხადდა. არჩევნები მიხეილ სააკაშვილმა „მოიგო". გიორგი გაჩეჩილაძე ხმების 1,1 პროცენტით 16 კანდიდატს შორის მხოლოდ მე-6 ადგილზე გავიდა.

2001 წლის 30 სექტემბერს საქართველოს უშიშროების სამინისტროს ეკონომიკური დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლები საფინანსო დოკუმენტაციის ამოსაღებად ტელეკომპანია რუსთავი 2—ში შევიდნენ. ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ კატეგორიული უარი განაცხადა ამ დოკუმენტაციის გაცემაზე და მხარდასაჭერად მოსახლეობას მოუხმო. სტუდენტების გამოსვლები და მრავალრიცხოვანი მიტინგები ჯერ სიტყვის თავისუფლების მოთხოვნის მოტივით, შემდეგ კი ძალისმიერი მინისტრების და თვით პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნებით მიმდინარეობდა. არეულობამ უმართავი ხასიათი მიიღო. მდგომარეობის განმუხტვის მიზნით ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ მზად იყო დაეტოვებინა თანამდებობა, თუ თავისი პოსტიდან შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძეც გადადგებოდა. 2001 წლის ნოემბერში ჟვანიამ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა. პრეზიდენტი იძულებული გახდა მთავრობის კაბინეტის გადადგომას დათანხმებოდა.

მდგომარეობა განიმუხტა.

მწვანეთა პარტიამ თავის განცხადებაში აღნიშნული გამოსვლები ხელისუფლების გარკვეული ჯგუფების მიერ ინსპირირებულად გამოაცხადა. მწვანეები მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას არ წამოგებოდნენ პროვოკაციას და მონაწილეობა არ მიეღოთ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის ხელისუფლებისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში.[50]

2001 წლის დეკემბერში, მოქალაქეთა კავშირის კონგრესზე, ზ. ჟვანია მთავრობის მწვავე კრიტიკით გამოვიდა. შევარდნაძემ დატოვა მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა. პარტიის ხელმძღვანელობა კონგრესმა თავის მიერ არჩეულ კომიტეტს დაავალა. ჟვანია ამ კომიტეტის ხელმძღვანელი გახდა. მოქალაქეთა კავშირი მან „კონსტრუქციულ ოპოზიციად" გამოაცხადა. იმ ხანებში მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილმა „ნაციონალურმა მოძრაობამ" კი წამოაყენა ლოზუნგი: „საქართველო შევარდნაძის გარეშე".

ხელისუფლების ინტრიგებმა და საინფორმაციო ბლოკადამ, ბოლოს და ბოლოს, თავისი შედეგი გამოიღო. 2002 წლის .16-17 მარტს მწვანეთა პარტიის მიერ ქ. თბილისში ჩატარებულმა მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვამ (628 რესპოდენტი). ცხადყო, რომ აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის მიუხედავად მწვანეთა რეიტინგმა დაიკლო:

#	პარტია	რეიტინგი, %
	ეიბორისტული	17,9
	აღორძინების კავშირი	15,0
	მრეწველობა გადაარ, საქ.	13,3
	ნაციონალური მოძრაობა	13,2
	ახალი მემარჯვენეები	8,8
	მოქალაქეთა კავშირი	7,4
	ედპ	6,7
	სოციალისტური	6,4
	ტრადიციონალისტები	4,8

50. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 2001 წ.

	მწვანეთა	2,1
	XXI სუკუნე	1,5
	სხვა პარტიები	2,9
	ჯამი	100

2002 წლის 21-23 მარტს უკრაინაში (ქ. ოდესა) აღმოსავლეთ—დასავლეთის დიალოგის ფარგლებში გამართულ ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის სხდომაზე განხილული იქნა შავი ზღვის დემილიტარიზაციის საკითხები და შავი ზღვის ქვეყნების მწვანეთა პარტიების მდგომარეობა. საქართველოს მწვანეთა პარტია წარმოდგენილი იყო პარტიის თავჯდომარით და პოლიტიკური მდივნით. სხდომამ მოამზადა რეზოლუცია ბერლინის ევროპის მწვანეთა პარტიების მაისის კონგრესისთვის, რომელშიც დაგმობილი იყო შავი ზღვის რეგიონში სამხედრო—პოლიტიკური დაძაბულობის ესკალაცია და ენერგორესურსების ახალი გადანაწილების პროცესში მოსალოდნელი კონფლიქტები. საქართველოს მწვანეთა პარტიამ მოითხოვა რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან და რეგიონიდან გაყვანა და გაერთიანებული ევროპის სამშვიდობო კონტიგენტის ჩამოყალიბება. გიორგი გაჩეჩილაძემ ისაუბრა იმ მძიმე მდგომარეობაზეც, რომელშიც საქართველოს მწვანეთა პარტია მისი პოლიტიკური შევიწროებისა და მასმედიაში ბლოკირების შედეგად იმყოფებოდა. მან დააყენა საკითხი ქართველ მწვანეთა გარშემო შექმნილი მძიმე ატმოსფეროს ბერლინის კონგრესზე განხილვისა და შემდგომი რეაგირებისთვის მისი ევროპის პარლამენტის მწვანეთა ფრაქციისთვის გადაცემის შესახებ.

სხდომამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილ;ება.

2002 წლის 18 აპრილს მწვანეთა მორიგი პრესკონფერენცია მიეძღვნა მიეძღვნა ახალ ინფორმაციას თურქეთის მიერ მდინარე ჭოროხზე მეოთხე კაშხლის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით. მწვანეთა პარტიამ კიდევ ერთხელ შეახსენა ხელისუფლებას იმ საფრთხის შესახებ,

რომელსაც აჭარის შავი ზღვის პირეთს, აჭარის სანაპიროზე განლაგებულ პლიაჟებს და დასახლებულ პუნქტებს უქმნის მდინარე ჭოროხზე კაშხალის მშენებლობა. მხოლოდ ბათუმი-ქობულეთის მონაკვეთზე გაირეცხება 1400 ჰა პლაჟებიანი ნაპირი, რაც წელიწადში ზღვის მიერ 150—200 მეტრი ხმელეთის მიტაცების ტოლფასია. პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ სანამ საქართველოს სამთავრობო დელეგაციები დაკავებული არიან თეორიული სჯა—ბაასით და ანკარასა და ჩაქვს შორის სეირნობით, თურქეთმა უკვე რიგით მეოთხე, 838 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა საერთაშორისო კონსორციუმთან, მდ. ჭოროხზე ყველაზე დიდი — "იუზუფელის" კაშხლის (სიმაღლე 220 მეტრი) მშენებლობასთან დაკავშირებით. მშენებლობების დამთავრება დაგეგმილია 2005 წელს. დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები, რის გამოც ყოველწლიურად კლებულობს ჭოროხის მყარი ნატანის რაოდენობა ნატანის დეფიციტის გამო ნაპირის ძლიერი წარეცხვები დაიწყო მდინარის შესართავში, აეროპორტთან, სოფლებში, ადლიასა და ანგისში. მწვანეთა პარტიამ მოითხოვა: 1. მოსახლეობის გადარჩენის მიზნით, დაუყონებლივ დაიწყოს შესაბამისი ტერტორიის მოძიება და 2003 წლის სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტებში გათვალისწინებული იქნას სოფლების — ადლიისა და ანგისის მოსახლეობის გადასახლების, მათთვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნისა და კომპენსაციისათვის აუცილებელი თანხები. 2. ეთხოვოს შესაბამის საერთაშორისო ორგანოზაციებს შეიქმნას საერთაშორისო კომისია მდ. ჭოროხზე თურქეთის მიერ მშენებარე კაშხლების საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ზემოქმედების შედეგების შეფასებისათვის.

2002 წლის 18-19 მაისს ბერლინში ჩატარდა ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის ყრილობა. ქართველ მწვანეთა წარმომადგენელმა ზურაბ მგალობლიშვილმა ყრილობას წარუდგინა რეზოლუცია ქართველ მწვანეთა შე-

ვიწროებისა და მასმედიაში ბლოკირების შესახებ, რომელიც ხმების უმრავლესობით იქნა მიღებული.

2002 წლის 2 ივნისს ქ. თბილისის ადგილობრივი არჩევნები ტოტალური გაყალბებით ჩატარდა. ამომრჩეველთა სიებში მთელი კორპუსები და ქუჩებიც კი იყო გამოტოვებული. სიები უბნებში გამოიკრა არჩევნების წინა დღეს, რიგ შემთხვევებში კი არჩევნების დღეს. სიყალბე სიებში იმდენად ცხადი იყო, რომ ცსკო-ს თავჯდომარემაც კი არ მოაწერა მათ ხელი. ხელისუფლების მიერ კონტროლილებადმა ტელევიზიებმა მოსახლეობას მწვანეთა პარტიის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია საერთოდ დაუმალეს. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში მწვანეებმა ხმების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის მოგროვება შეძლეს. ოპოზიციური პარტიების მიერ მრავალ უბანზე გაპროტესტებული არჩევნების შედეგები სასამართლომ უკანონოდ სცნო და გააუქმა.

იმავე ღამით, თავს დაესხნენ მწვანეთა პარტიის ავტომანქანას, დანით 3 ჭრილობა მიაყენეს მძღოლს, რომელიც სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა (პოლიციის რეიდმა მიუსწრო).

ბუნებრივია, რომ მასმედიამ არც ეს ფაქტი მიიჩნია თავისი ყურადღების ღირსად.

ორიოდე კვირის შემდეგ დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლომ თავდებში გამოუშვა მწვანეთა პარტიის მანქანის მძღოლზე თავდასხმის მონაწილე, წარსულში არაერთ დანაშაულში მხილებული პირი. ამასთან დაკავშირებით მწვანეთა პარტიამ განცხადებით მიმართა სახელმწიფო მინისტრს, სახალხო დამცველს, ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციას და ევროპის პარლამენტის მწვანეთა ფრაქციას, ევროსაბჭოს, საელჩოებს და საერთაშორისო წარმომადგენლობებს. განცხადებაში გამოთქმული იყო საფუძვლიანი ეჭვი, რომ "მშვიდობიანი" გზებით მწვანეთა პარტიისა და მისი ახალი გუნდის პოლიტიკიდან ჩამოშორების გეგმის ჩაშლამ გარკვეულ ჯგუფებს გადააწყვეტინა მოქმედების

უფრო აქტიურ მეთოდებზე, პირდაპირ ტერორზე და ფიზიკურ განადგურებაზე გადასვლა.

მწვანეთა პარტია მოითხოვდა:

შეწყდეს საქართველოს მწვანეთა პარტიის პოლიტიკური დევნა—შევიწროება;

საქართველოს ხელისუფლებამ აიღოს პასუხისგებლობა მწვანეთა პარტიის ლიდერებისა და ოფისის უსაფრთხოებაზე და გამოყოს ოფიციალური დაცვა.

მწვანეებმა მასმედიის ყველა საშუალებას სთხოვეს გამოექვეყნებინათ აღნიშნული განცხადება, როგორც მათი თავდაცვის და უსაფრთხოების „ერთადერთი საშუალება",

მწვანეთა თხოვნას მხოლოდ გაზეთი „რეზონანსი" გამოეხმაურა.[51]

ქართველ მწვანეებს სოლიდარობა გამოუცხადეს საქართველოს სახალხო დამცველმა და გერმანიის საელჩომაც.

16 აგვისტოს საქართველოში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ელჩის ბატონ უვე შრამის ინიციატივით, გერმანიის ბუნდესტაგის წევრის, ქალბატონ ვილა ალტმანის ვიზიტთან დაკავშირებით, ელჩის რეზიდენციაში მოეწყო ოფიციალური შეხვედრა საქართველოს მწვანეთა პარტიის თავჯდომარესთან. საუბარის ძირითადი თემა საქართველოს მწვანეთა პარტიის შევიწროება და მასმედიაში ბლოკირება იყო.

ადგილობრივი არჩევნების გაყალბება გააპროტესტა ჟვანია-სააკაშვილის გუნდმაც. თუმცა, საზოგადოება ამას ეჭვის თვალით შეხვდა. „დღეს სააკაშვილი და ჟვანია კანცელარიის წინ გაყალბების გამო აქციის მოწყობას აპირებენ. ლიდერები, ვინც თავის დროზე იმ პარტიის ხელმძრვანელები იყვნენ, რომელიც არჩევნების გაყალბების დიდოსტატი გახლდათ. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ნაკლებად გააპროტესტებენ ისინი არჩევნების გაყალბებას, მით მეტ სიმპატიებს მოიპოვებენ",[52] — წერდა ამის თაობაზე ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე.

---

51. გაზ. „რეზონანსი", 4 ივნისი, 2002 წ.

52. გაზ. „რეზონანსი", 3 ივნისი, 2002 წ.

2002 წლის 26 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს მწვანეთა პარტიის მორიგი VII კონგრესი. მწვანეთა უმაღლეს ფორუმზე 500 დელეგატი ქვეყნის 45 რაიონს წარმოადგენდა. კონგრესმა მიიღო პარტიის ახალი წესდება. შეიცვალა პარტიის სახელწოდებაც. ამიერიდან მისი სრული სახელწოდება გახდა „საქართველოს მწვანეთა პარტია — გია გაჩეჩილაძის გუნდი". ათამდე გაიზარდა პარტიის კომიტეტის წევრთა რაოდენობაც. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: გია გვაზავა, მამუკა სალუქვაძე, გიორგი მელაძე, ავთანდილ გელაძე, გივი გიგინეიშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, ლელა კიკნაძე, ზურაბ მგალობლიშვილი, სოსო ქარცივაძე, რამაზ ჩოგოვაძე. პარტიის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს გიორგი გაჩეჩილაძე. კონგრესმა მწვანეთა პარტიის საპატიო თავმჰდომარედ კვლავაც ერთხმად აირჩია გივი თუმანიშვილი.

მწვანეთა შეუნელებელი ყურადღების საგანს წარმოადგენდა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გარემოზე ზემოქმედების და მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიების საკითხი. 2002 წლის 22 ნოემბერს მწვანეთა ოფისში გაიმართა აღნიშნული ნავთობსადენის გარემოზე ზემოქმედების პროექტის ღია განხილვა. ესწრებოდნენ ცნობილი ექსპერტები და კომპანიის წარმომადგენლები (სულ 27 კაცი). განხილვამ აჩვენა, რომ პროექტი სათანადო დონეზე ვერ უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და მოსახლების უსაფრთხოებას. მწვანეებმა უარყოფითად შეაფასეს პროექტის რეალიზაციის უსაფრთხოების ზომები და კატეგორიულად მოითხოვეს მისი რეალიზაციის შეჩერება უსაფრთხოების დამატებითი ზომების შემუშავებამდე.

2002 წლის 29 ნოემბერს ბიპი-ს (ბრიტიშ პეტროლიუმი) ოფისის წინ გაიმართა მწვანეთა პარტიისა და მწვანეთა მოძრაობის ერთობლივი საპროტესტო აქცია ბაქო—ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების დამატებითი ზომების შემუშავების მოთხოვნით.

30 ნოემბერს ანალოგიური აქცია გაიმართა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაც.

5 დეკემბერს ლონდონში (დიდი ბრიტანეთი) საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თხოვნით ინგლისის მწვანეებმა ("დედამიწის მეგობრები") ბიპი-ს (ბრიტიშ პეტროლიუმი) ცენტრალური ოფისის წინ გამართა საპროტესტო აქცია ბაქო—ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების დამატებითი ზომების შემუშავების მოთხოვნით.

ქართველ მწვანეთა პრინციპულმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო: მსოფლიო ბანკმა ბაქო-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსება გადადო 3 კვარტლით, შემუშავდა დამატებითი უსაფრთხოების ზომები ბორჯომის ხეობაში ნავთობსადენის გაყვანისთვისაც.

2003 წლის დასაწყისში ზ. ჟვანიამ დამოუკიდებელი პარტია — „გაერთიანებული დემოკრატები" შექმნა.

2003 წლის მარტის პირველ რიცხვებში პოლიტიკური მონიტორინგის მიზნით საქართველოს ევროპარლამენტის დელეგაცია ეწვია. ბუნებრივია, რომ სტუმრები არა მხოლოდ ხელისუფლების პოზიციით, ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის აზრითაც იყვნენ დაინტერესებულნი. საქართველოს პარლამენტმა ევროპარლამენტის დელეგაციასთან შესახვედრად მისთვის სასურველი პარტიები შეარჩია, რომელთა შორისაც, ცხადია, მწვანეთა პარტია არ იყო. ევროპარლამენტარებმა თვითონ მოითხოვეს ქართველ მწვანეებთან შეხვედრა, რადგან ევროპარლამენტში მწვანეთა ფრაქცია ყველაზე დიდ ფრაქციას წარმოადგენს. „საოცარი ის იყო, რომ დელეგაციის წევრები დეზინფორმირებულები იყვნენ საქართველოში შექმნილ რეალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ანუ ტყუილებით იყვნენ გაბერილები. ანეკდოტური სიტუაცია კი ის იყო, რომ დელეგაციის წევრებთან შეხვედრისას მთელი პოლიტიკური სპექტრი ერთმანეთს ხელისუფლებასთან ალიანსს აბრალებდა და მათ ყველა იმას უმტკიცებდა, ჩვენ ვართ ერთადერთი ოპოზიციური პარტიაო. .. ყველაზე უცნაური, რაც ევროპარლამენტის დელეგაციასთან საუბარში პოლი-

ტიკურ პარტიებს დაუფიქსირებიათ, ის იყო, რომ უთქვამთ, უახლოეს მომავალში გავერთიანდებით, ჩვენი იდეოლოგია კი მწვანეთა იდეოლოგია იქნებაო. ამაზე ისინი თვითონაც სიცილით კვდებოდნენ, რადგან მიხვდნენ ჩვენი პარტიების ფარსს,"[53]— აღნიშნავდა ამ შეხვედრის შემდეგ მწვანეთა ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე.

ხელისუფლებამ საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღად 2003 წლის 2 ნოემბერი გამოაცხადა. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დაიწყო საარჩევნო ბლოკებად და გაერთიანებებად გადაწყობა-გადალაგების პროცესი. მწვანეების აზრით მომავალ პარლამენტში უმრავლესობით მოსვლის შანსი სამ პოლიტიკურ ძალას — მოქალაქეთა კავშირს, აღორძინებას და ლეიბორისტულ პარტიას გააჩნდა. აღორძინება ასლან აბაშიძის ოდიოზურ პოლიტიკურ ფიგურასთან ასოცირდებოდა. ამიტომ მასთან თანამშრომლობა თავიდანვე გამოირიცხა. მწვანეებმა გაერთიანების თაობაზე მოლაპარაკება ლეიბორისტებთან სცადეს, თუმცა უშედეგოდ. ჟვანიას გუნდთან „ძველ" და „ახალ" მწვანეებს შორის არსებული უთანხმოების, ხოლო "ნაციონალურ მოძრაობასთან" მ. სააკაშვილის გამო, თანამშრომლობას მწვანეები შეუძლებელებლად მიიჩნევდნენ (2002 წელს რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გ. გაჩეჩილაძემ პირდაპირ თქვა "მ. სააკაშვილი გახლავთ გარედან იმპორტირებული, ლამაზად შეფუთული ბანდეროლი, რომელშიც უხარისხო პროდუქცია დევს"). ამის გამო მწვანეთა არჩევანი სახელისუფლებო ბლოკზე შეჩერდა. გიორგი გაჩეჩილაძე არ მალავდა, რომ მწვანეთა ეს გადაწყვეტილება პრაგმატული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. პარლამენტში ყოფნისას ჩვენ მოვახერხეთ ნაყოფიერად გვეთანამშრომლა ხელისუფლებასთან და ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები მიგვეღო. „მწვანეთა პარტიებისთვის ეკოლოგიური პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარება ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური საკითხების

53. გაზ. „ახალი თაობა", 4 მარტი, 2003 წ. 61.

მოგვარება ხელისუფლებასთან დროებით გაწევრიანებით გადავწყვიტეთ,"[54] — განმარტავდა ის „ახალი თაობისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

სახელისუფლებო ბლოკში 18 სუბიექტი გაერთიანდა, რომელთა შორისაც კვოტებისთვის გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. მწვავე დაპირისპირება არსებობდა თვით მოქალაქეთა კავშირში არსებულ დაჯგუფებებს შორისაც. აქ ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ავთანდილ ჯორბენაძის, ვანო ზოდელავას, ლევან მამალაძის დაჯგუფებები. ჯორბენაძეს პრემიერის თანამდებობით სახელისუფლებო ვერტიკალზე მეტი გავლენის მოპოვება შეეძლო, სამაგიეროდ, მამალაძე საარჩევნო ხმების „ბელელის" — ქვემო ქართლის გასაღებს ფლობდა, ზოდელავა კი დედაქალაქს განკარგავდა. საარჩევნო სიების კვოტებზე სერიოზული პრეტენზიები ჰქონდათ აკაკი ჩხეიძის „აბრეშუმის გზას", ვახტანგ რჩეულიშვილის სოციალისტურ პარტიას, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, მოძრაობა „ძლიერი სვანეთი — ერთიანი საქართველოსთვის" და სხვ. ცხადია, ასეთი კონკურენციის პირობებში, მწვანეებს რაიმე სერიოზული შედეგის იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

2003 წლის აპრილში მწვანეებმა ინტერნეტში საკუთარი ვებ-გვერდი გახსნეს. მასში მკითხველს შეეძლო მიეღო ინფორმაცია მწვანეთა პარტიის ისტორიის, სტრუქტურის, ხელმძღვანელი ორგანოების, მწვანეების ინიციატივით პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების შესახებ და სხვ. ინტერნეტში საკუთარი გვერდის შექმნით მწვანეთა პარტიამ გაარღვია ხელისუფლების მხრიდან მის წინააღმდეგ შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმი.

2 ნოემბრის არჩევნებზე დამკვირვებლებად ქართველმა მწვანეებმა ევრომწვანეები მოიწვიეს. „მწვანეები მთელ მსოფლიოში პრინციპულ და უკომპრომისო ორგანიზაციებად არიან ცნობილნი. ისინი არავის დაკრულზე არ თამაშობენ. მათი შეფასებათა ობიექტურობა ეჭვსქვეშ არა-

54. გაზ. „ახალი თაობა", 20 აპრილი, 2003 წ. 108.

სოდეს დგება",[55] — აცხადებდა ქართველ მწვანეთა ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე.

ქართველ მწვანეთა მიწვევაზე ევრომწვანეებმა თანხმობა განაცხადეს. ეს ნიშნავდა, რომ 2 ნოემბრის არჩევნებს, სულ მცირე, 28 ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრებოდა. ოპოზიციურმა პარტიებმა წინადადება წამოაყენეს, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია მთლიანად ეუთოს წარმომადგენლებით დაეკომპლექტებინათ, რაზეც სახელისუფლებო ბლოკისგან კატეგორიული უარი მიიღეს. შევარდნაძემ განაცხადა, რომ „საქართველო ერაყი არ არის". საქართველოსთვის შეურაცხმყოფელ ნაბიჯად მიიჩნია ოპოზიციის წინადადება გიორგი გაჩეჩილაძემაც. „ასეთი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებით საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება და მათ მიერ არჩევნების ჩატარება ხდება ხოლმე იმ შემთხვევაში, თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში საომარი მოქმედებები ის-ისაა დამთავრდა, ან შიგა კონფლიქტი იყო სამხედრო თვალსაზრისით... დარწმუნებული ვარ რომც შესთავაზონ, ეს საერთაშორისო ორგანიზაციები უარს იტყვიან ... არავინ ჩაერევა შიდაპოლიტიკურ პროცესებში",[56] — აღნიშნავდა ის გაზეთ „რეზონანსისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

5 ივნისს ქართველმა მწვანეებმა გარმოს დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნეს. ოპერის თეატრში გამართულ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებას საქართველოს პატრიარქი ილია მეორეც დაესწრო. მწვანეთა პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ თავის გამოსვლაში ყურადღება მწვანეთა პარტიის მიერ პარლამენტში ყოფნის დროს მიაღწეულ წარმატებებზე გაამახვილა. „მწვანეთა პარტიამ, — აღნიშნა მან, — მოახერხა ის, რომ გარემოს დაცვის სფეროში რეფორმა ჩაეტარებინა. ჩვენ 1995 წლის პარლამენტში 21 საკანონმდებლო აქტის გატანა მოვახერხეთ და აქედან 19 ჩვენი ხელით იყო დაწერილი." გაჩეჩილაძემ „კედლებზე მჯლაბნელები" უწოდა ორგანიზაცია „კმარას" და განაცხა-

55. გაზ. ხვალინდელი დღე", 11 მაისი, 3003 წ.

56. გაზ. „რეზონანსი", 14 მაისი, 2003 წ.

და, რომ ამ ორგანიზაციის ერთადერთი მიზანი საქართველოში „საერთაშორისო პროექტების ჩაშლაა."[57]

მწვანეები თავიდანვე დაუპირისპირდნენ „ნაციონალურ მოძრაობასაც". გიორგი გაჩეჩილაძემ პურის გაძვირებაში სწორედ სააკაშვილის ორგანიზაციას დასდო ბრალი. „რთულია კონკრეტულად ვინმეს დაადო ხელი, როცა ამის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია არ გაგაჩნია. თუმცა, ყველამ კარგად იცის, რომ პურის გაძვირებაში დიდი როლი „ნაციონალურმა მოძრაობამ" ითამაშა. სწორედ ისინი დარბოდნენ რაიონებში და ცდილობდნენ ხალხის აბუნტებას. ამიტომ, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: — თუკი პოლიტიკურ ორგანიზაციას არ აწუხებს მერკანტილური მოსაზრებები, პოპულიზმი ან კიდევ უფრო უარესი მიზნები, რატომ უნდა შეუშალოს ხელი სახელმწიფოს კონტრაბანდასთან ბრძოლაში?"[58] — აღნიშნავდა ის გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

2 ნოემბრის არჩევნები კი დიდი დარღვევებით ჩატარდა. ცესკოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით გამარჯვება სახელისუფლებო ბლოკმა მოიპოვა. თუმცა, საერთაშორისო დამკვირვებლებმა არ სცნეს არჩევნების შედეგები. საქართველოში ჩატარებული არჩევნების მიმართ თავისი ნეგატიური დამოკიდებულება დააფიქსირა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმაც. „ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგები არ ასახავს საქართველოს მოსახლეობის ნებას, სამაგიეროდ წარმოაჩენს იმ მაქინაციებს, რომლებიც ხმის მიცემის პროცესში დაფიქსირდა. აშკარაა განსხვავება იმ მონაცემებს შორის, რომლებიც ხმების პარალელური დათვლის შედეგად დაფიქსირდა. ეს კი ხმების დათვლის აშკარა მანიპულირებაზე მიუთითებს. ჩვენ იმედი გაგვიცრუა ამ არჩევნების შედეგებმა და საქართველოს ხელისუფლებამ. ამჟამად ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ფიქრობს იმ ნაბიჯზე, რომელსაც შეერთებული შტატები გადადგამს,"[59] —

---

57. გაზ. „რეზონანსი", 6 ივნისი, 2003 წ.

58. გაზ. „ასავალ-დასავალი", 21-27 ივლისი, 2003 წ. 29.

59. მერაბ ბუჭუხიშვილი, ვარდების რევოლუცია (დრო, ფაქტები, მოვლენები), თბ. 2005, გვ. 47.

ნათქვამი იყო სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" წერდა: „საქართველოს არჩევნები უამრავი დარღვევით წარიმართა და ბევრმა მოქალაქემ ხმის მიცემა ვერ მოახერხა. ... ხალხს შევარდნაძე არ უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში ის ანტირუსული პოლიტიკის გატარებას ცდილობს, ოპოზიციის ლიდერებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მას მოსკოვთან უფრო მჭიდრო კავშირი ურჩევნია".[60]

საქართველოში არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნით პერმანენტული მიტინგები დაიწყო. ოპოზიციური ძალების მთავარ ბირთვს წარმოადგენდნენ: პოლიტიკური ბლოკი „მიხეილ სააკაშვილი — ნაციონალური მოძრაობა", პოლიტიკური ბლოკი — „ბურჯანაძე — დემოკრატები", საზოგადოებრივი მოძრაობა — „კმარა" და თავისუფლების ინსტიტუტი.

ნოემბრის მოვლენებს უდიდესი საინფორმაციო მხარდაჭერა აღმოუჩინა ქართულმა მასმედიამ. განსაკუთრებული როლი შეასრულა ტელეკომპანია „რუსთავი-2'-მა.

6 ნოემბერს „აღორძინების" ერთ-ერთმა ლიდერმა ცოტნე ბაკურიამ ცესკოში აჭარაში ჩატარებული არჩევნების შედეგები წარადგინა, რამაც ყველა გააოცა. ასლან აბაშიძემ განგებ დააგვიანა შედეგების მიტანა ცესკოში, დაელოდა საქართველოს სხვა რეგიონების შედეგებს, შემდეგ კი იმდენი ხმა წარადგინა, რამდენიც პირველ ადგილზე გასვლისთვის იყო საჭირო. თუმცა, ხელისუფლებას „თადარიგში" ქვემო ქართლის ხმები ჰქონდა გადანახული, რომელთა გამოცხადების შემდეგ პირველ ადგილზე კვლავ სახელისუფლებო ბლოკმა გადაინაცვლა.

14 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, გრანდიოზული მიტინგი გაიმართა. მომიტინგენი პრეზიდენტის გადადგომას და გაყალბებული არჩევნების შედეგების გაუქმებას მოითხოვდნენ.

---

60. იქვე, გვ. 49.

21 ნოემბერს მომიტინგეთა რაოდენობამ პიკს მიაღწია. 22 ნოემბერს, დღის 4 საათზე, დანიშნული იყო ახლადარჩეული პარლამენტის შემადგენლობის პირველი სხდომა. მომიტინგეებმა გადაწყვიტეს რადაც უნდა დაჯდომოდათ არ დაეშვათ სხდომის ჩატარება და პარლამენტის ახალი შემადგენლობის ძალაში შესვლა. პარლამენტის სხდომათა დარბაზისკენ დაძრულ მომიტინგეებს ვარდებით ხელში წინ მიხეილ სააკაშვილი წარუძღვა. სააკაშვილი და მისი მომხრეები დარბაზში იმ დროს შეიჭრნენ, როდესაც მისასალმებელი სიტყვით ტრიბუნაზე ე. შევარდნაძე იდგა. შეიქმნა ხელჩართული ბრძოლის გამართვის რეალური საფრთხე. პრეზიდენტის დაცვამ ე. შევარდნაძე სასწრაფოდ გაიყვანა დარბაზიდან.

პარლამენტის სხდომა ჩაიშალა.

შექმნილ რთულ სიტუაციაში მთელი ძალაუფლება, კონსტიტუციის შესაბამისად, თავის ხელში პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ აიღო.

23 ნოემბერს შევარდნაძესთან მოსალაპარაკებლად რევოლუციის ლიდერები — მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია მივიდნენ. ახალგაზრდა ლიდერები რიგგარეშე არჩევნებზე პრეზიდენტის დათანხმებას ისახავდნენ მიზნად, მაგრამ, მოულოდნელად შევარდნაძემ თანამდებობიდან დაუყოვნებლივი გადადგომის შესახებ განაცხადა.

ქვეყანაში „შევარდნაძის ერა" დამთავრდა. ნოემბრის მოვლენები კი ისტორიაში „ვარდების რევოლუციის" სახელით შევიდა.

თავი V

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ

ნოემბრის მოვლენების შემდეგ მწვანეთა პარტიამ ოპოზიციური სპექტრის რეფორმირების რამდენიმე მუხლიანი გეგმა შეიმუშავა. გიორგი გაჩეჩილაძის აზრით, სხვა მიზეზებთან ერთად, ასეთი გეგმის აუცილებლობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ პოლიტიკური პარტიების სიმრავლე ხელისუფლებასა და მის მიერ მართვად მასმედიას მანიპულაციის საშუალებას აძლევდა. ეს კი, თავის მხრივ, რეალური პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებას და ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციას აფერხებდა. „საქართველოში ყოველთვის იყო მცდელობა, პოლიტიკური სპექტრი ხელოვნურად ჩამოყალიბებულიყო და ხელისუფლების მხრიდან მართვადი ყოფილიყო. ეს ვითომ ოპოზიციური პარტიები კარგად იყენებდნენ დაფინანსებას, საინფორმაციო სივრცის გახსნას და სხვა პარტიების ბლოკირებას. ... საქართველოში ოპოზიციური სპექტრი დღესაც ხელოვნურად იქმნება და თან ეს ის პარტიები არიან, რომელთაც არანაირი პოლიტიკური სტრუქტურა არ გააჩნიათ," აღნიშნავდა ის გაზეთ „ახალი თაობითვის" მიცემულ ინტერვიუში. მწვანეთა პარტიის ლიდერი შეფასებას აძლევდა 2 ნოემბრის არჩევნებსაც: „2 ნოემბრის არჩევნები გაყალბებული იყო, მაგრამ არა იმ მასშტაბით, რა მასშტაბითაც 1999 წელს მოხდა. (მაშინ 16 პროცენტიანი პარტიებიც კი გარეთ დატოვეს) ... საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის თანახმად, დაახლოებით 4 მილიონ 300 ათასი ადამიანი ცხოვრობს. აქედან 72 პროცენტი ყველა ქვეყანაში 18 წელს ზემოთ არის. ანუ ჩვენ გვყოლია 3 მილიონ 200 ათასი ამომრჩეველი. საპრეზიდენტო არჩევნებში კი მილიონ შვიდასი ათასი მოვიდა. გამოდის, რომ მილიონ ხუთასი ათასი ადამიანი არჩევნებზე არ მოსულა, მიუხედავად იმ ტალღისა, რაც რევოლუციის დროს იყო. ანუ მოსახლეობის 25 პროცენტი პარტიებს რეზერვად კიდევ დარჩათ. დღეს სწორედ იმაზეა

საუბარი, თუ ვინ გამოიყენებს ამ რეზერვს. ჩვენ იმის შიში გვაქვს, რომ ამ რეზერვს სწორედ ხელოვნურად ჩამოყალიბებული ოპოზიცია აითვისებს, რომელიც პარლამენტში ხელისუფლების მიერ მართვადი იქნება", — აღნიშნავდა ის. გაჩეჩილაძე ხელისუფლების პოპულისტური ლოზუნგების მიმართ ხალხის განწყობის შეცვლაზეც მიუთითებდა. „ის ტალღა, რაც რევოლუციას ახლდა, ემოციური იყო. ... დღეს უკვე მოსახლეობას ეჭვი შეაქვს იმ ლოზუნგებში, რომლებიც რევოლუციის დროს ამოტივტივდა. კერძოდ, უკვე გამოჩნდა, რომ მეწარმეებს გადასახადებიდან ვერ გაათავისუფლებენ ... გარდა ამისა, გლეხს თუ მიწის გადასახადისგან გაათავისუფლებენ, ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ შეივსება. ასე, რომ ხალხი მიხვდა ამ ლოზუნგების სიყალბეს."[61]

მწვანეთა მოწოდება ოპოზიციური სპექტრის გაერთიანების შესახებ დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". შექმნილ სიტუაციაში მწვანეებმა უარი თქვეს ხელისუფლების მიერ ნაჩქარევად დანიშნულ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. გაზეთ „ახალი თაობისთვის" მიცემულ ინტერვიუში გიორგი გაჩეჩილაძე აანალიზებდა ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და აღნიშნავდა: „კონსტიტუციაში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების „წყალობით" ისედაც დაირღვა დემოკრატიული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ხელისუფლების შტოების დაბალანსებული სისტემა და მთელი ძალაუფლება მოიპოვა პრეზიდენტმა. თუ ამას პარლამენტის ერთპარტიულობაც დაემატა, დემოკრატიულ სახელმწიფოზე ლაპარაკიც ზედმეტია. ... ჩვენ ვდგავართ სერიოზული კატასტროფის წინაშე. ამას, სამწუხაროდ, ვერ აცნობიერებს ამომრჩეველთა უმრავლესობა. ხალხი ვერ ხვდება, რომ შეიძლება მივიღოთ ბრეჟნევის ან ხრუშჩოვის მმართველობის მაგვარი საკანონმდებლო ორგანო." ჟურნალისტის კითხვაზე — ხომ შეიძლება ოპოზიცია ერთპარტიული პარლამენტის შიგნითაც გაჩნდესო, — მწვანეთა ლიდერი პასუხობდა: „შეუძლებელია, რომ ასეთ პირობებში ჭეშმარიტი ოპოზიცია ჩამოყალ-

61. გაზ. „ახალი თაობა", ?? იანვარი, 2004 წ.

იბდეს. დიდია იმის ალბათობა, რომ ასეთი ოპოზიცია გარედან მართული იყოს. საუბედუროდ, ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს არ აღმოაჩნდა ელემენტარული პროგნოზირების და ანალიზის უნარი, რომ გაეცნობიერებინა ყველაფერი, რაც საქართველოში მოხდა სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, რომ ოპოზიციას ერთიანი ბლოკი შეექმნა და გაერთიანებულიყო. პოლიტიკურმა პარტიებმა რეალურად ვერ შეაფასეს სიტუაცია და ვერ გაერთიანდნენ."[62]

2004 წლის თებერვალში ევროპის 28 ქვეყნის 32 „მწვანე" პარტიამ რომში გამართულ ყრილობაზე ევროპის ერთიანი მწვანეთა პარტიის შექმნა გამოაცხადეს. ყრილობაზე ქართველი მწვანეების დელეგაციას პარტიის პოლიტიკური მდივანი ზ. მგალობლიშვილი ხელმძღვანელობდა. საქართველოს მწვანეთა პარტია ამ უმძლავრესი პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა. ამავე კონგრესზე საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ გლობალურ ორგანიზაციას — „მსოფლიო მწვანეებს", რომლის შემადგენლობაში გაერთიანდნენ ევროპის, ამერიკის, ავსტარალიის წამყვანი მწვანეთა პარტიები. საქართველოს მწვანეთა პარტიამ პერსონალური მიწვევა მიიღო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა.

ეს ფაქტი თვალნათლივ მიუთითებდა საქართველოს მწვანეთა პარტიის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდაზე.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობდა პარტიის შიგნითაც. დაიწყო ინვენტარიზაციისა და რეორგანიზაციის პროცესი. გაუქმდა რამდენიმე რეგიონალური ორგანიზაცია. ხელმძღვანელ ორგანოებში დაწინაურდნენ პარტიის ახალგაზრდა აქტიური კადრები და სხვა.

ქართველი მწვანეები კვლავ აქტიურად განაგრძობდნენ გარემოსდაცვით საქმიანობას. ისინი ამხელდნენ გუდაუთის რუსულ სამხედრო ბაზაზე აღმოჩენილი რადიოაქტიური ნარჩენების ფაქტებს, მოითხოვდნენ ეშერის საიდუმლო სეისმოლოგიური ლაბორატორიის საერთაშორისო ექსპერტიზას, ილაშქრებდნენ აფხაზეთის აკვადორიაში თევზის

62. გაზ. „ახალი თაობა", 31 მარტი, 2004 წ.

იშვიათი ჯიშების ბარბაროსული რეწვის წინააღმდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობდნენ შავი ზღვის აუზის მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობას, აპროტესტებდნენ თურქეთის მიერ შავი ზღვის სანაპირო ზოლში ათეულობით კაშხლის მშენებლობას, რასაც გარდაუვლად მოჰყვებოდა შავი ზღვის მიერ აჭარის სანაპირო ზოლის ჩარეცხვა, ხელისუფლების ყურადრებას ამახვილებდნენ საქართველოდან აზერბაიჯანში სასმელი წყლის საიდუმლოდ გადინების ფაქტზე და სხვა. მწვანეები იძულებულნი იყვნენ დროდადრო დაბრუნებოდნენ ვაკის პარკის თემასაც. საქართველოს დედაქალაქის ამ მშვენების სილამაზე, მომხიბვლელობა და ადგილმდებარეობა ბევრს აღუძრავდა მისი დაპატრონების მადას. 1998 წელს ხანგრძლივი სამართლებრივი დავების შედეგად მწვანეებმა და ვაკის მოსახლეობამ შეძლეს პარკის გადარჩენა. მომდევნო წლებში ეს პრობლემა პერიოდულად კვლავ წამოიწევდა ხოლმე წინა პლანზე. 2004 წელსაც გამოჩნდნენ პირები, რომლებმაც კიდევ ერთხელ სცადეს პარკის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსის აშენება. მწვანეებმა და ვაკის მოსახლეობამ ამჯერადაც ატეხეს განგაში. გიორგი გაჩეჩილაძე პრესის ფურცლებიდან შეახსენებდა თბილისის მერიას, რომ ვაკის პარკი „არის კულტურის ძეგლი, ანუ საქართველოს კანონმდებლობით დაცული ტერიტორია. აქედან გამომდინარე, მინდა ვთხოვო, რომ მიხედონ ვაკის პარკის პრობლემებს და ამ პარკთან დაკავშირებულ ომებს დაესვას წერტილი".[63]

ქართველმა მწვანეებმა ენერგიულად გააპროტესტეს პარლამენტის 2004 წლის 28 ოქტომბრის სხდომის მიერ ეკოლოგიური გადასახადის გაუქმებაც. ამ გადასახადის გაუქმება, მწვანეების აზრით, საბაზრო ურთიერთობებიდან საბჭოური მმართველობისკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. 1993 წლიდან ეკოლოგიურმა გადასახადმა ხელი შეუწყო მეწარმეთა თვითმონიტორინგს, აამაღლა მათი გარემისდაცვითი პასუხისმგებლობა. გადასახადს იხდიდა მეწარმე, რომელიც აბინძურებდა ჰაერსა და წყ-

63. გაზ. „ახალი თაობა", 27 აგვისტო, 2004 წ.

ალს. გადასახადები დიფერენცირებული იყო რეგიონების ეკოლოგიური მდგომარეობის მიხედვით, მიღებული შემოსავლები კი ყოველწლიურად იზრდებოდა. 2002 წელს ამ შემოსავლებმა 8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინეს. ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღების შემდეგ გარემოს დაბინძურებისთვის ფინანსური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულ მეწარმეებს, ბუნებრივია, გარემოს დაცვის მოტივაცია შეუმცირდათ. მწვანეთა პარტია მიიჩნევდა, რომ პარლამენტმა უნდა აღადგინოს საგადასახადო კოდექსის XI კარი — „გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისთვის".

2005 წლის თებერვლის დასაწყისში ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობისა და პარტიის დამაარსებელი ზურაბ ჟვანია. ამ ფაქტთან დაკავშირებით მწვანეთა პარტიის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ პრემიერ-მინისტრის უდროოდ გარდაცვალება, რომლის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს ევროსტრუქტურებში გაწევრიანება და პარლამენტარიზმის ტრადიციის ჩამოყალიბება, მეტად მძიმეა საქართველოსთვის. შესაძლებელია თუ არა ქვეყნის წარმატებული მშენებლობა, როცა ადგილი აქვს ქაოსს და გაუტანლობას — ეს საკითხი ზურაბ ჟვანიას გარადაცვალების შემდეგ უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება",[64] — აცხადებდნენ მწვანეები.

საქართველოს უახლეს ისტორიაში ჟვანიას გარდაცვალებით გარკვეული ეტაპი დასრულდა. პრემიერ-მინისტრის გაწონასწორებული და ძლიერი პოლიტიკური ფიგურა ერთგვარი საპირწონეს როლს ასრულებდა და გარკვეულწილად აბალანსებდა ხელისუფლების ქმედებებს. სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ტრიუმვირატი სწორედ ჟვანიას მასტაბილიზირებელ ფაქტორს ეყრდნობოდა. ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლების ნაბიჯებმა სულ უფრო არაპროგნოზირებადი ხასიათი მიიღეს.

---

64. გაზ. „ახალი თაობა", 4 თებერვალი, 2005 წ.

2005 წლის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე გაწეული მუშაობის ანგარიშით წარსდგა. ქართველმა მწვანეებმა ხელისუფლების საქმიანობა უაღრესად ნეგატიურად შეაფასეს, პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლას კი „სპექტაკლი" და „ცირკი" უწოდეს. „კარგი იქნება, რომ ხელისუფლებამ წაიკითხოს კონსტიტუცია, სადაც პირდაპირ წერია, რომ წელიწადში ერთხელ პრეზიდენტი ანგარიშს აბარებს პარლამეტს. კონსტიტუციაში არსად არ წერია, რომ პრეზიდენტი დგამს სპექტაკლებს და საცირკო სანახაობებს",[65] — აღნიშნავდა ამის შესახებ მწვანეთა ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე.

ქართველი მწვანეები განაგრძობდნენ ბრძოლას ხე-ტყის უკანონო ჭრის წინააღმდეგაც. ისინი აქტიურად გამოეხმაურენ სატყეო დეპარტამენტის უფროსის, ბიძინა გიორგობიანის საზღვარგარეთ გაქცევის ფაქტსაც. გიორგი გაჩეჩილაძის აზრით, გიორგობიანი ნაძვის ხეების ბიზნესს შეეწირა. ის არ დათანხმდა ხელისუფლების გარკვეული ჯგუფების ზეწოლას ქვეყნიდან 20 ათასი ნაძვის ხის გატანაში დახმარების აღმოჩენის თაობაზე, რის გამოც ამ ჯგუფებმა მასზე ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს და აიძულეს იგი ქვეყანა დაეტოვებინა.

მწვანეებმა აქტიურად გააპროტესტეს ხელისუფლების მიერ კორუფციასთან ბრძოლისა და ბიზნესისთვის ხელშეწყობის საბაბით ხე-ტყის ექსპორტზე ლიცენზირების სისტემის გაუქმების მცდელობაც. ხე-ტყის ჭრით მიღებულ მოგებაზე საუბარი იმას ჰგავს, „როდესაც შვილს ჰყიდი ან ჟანგბადს ტუმბავ ქვეყნიდან. არის რაღაცეები, რაც არ შეიძლება ეკონომიკურად შეაფასო. თუ ტყის ჩეხვა ასე გაგრძელდა, სხვა ტიპის პრობლემაზე გადავდივართ,"[66] აცხადებდა ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ნიკო ორველაშვილი. მწვანეთა აზრით, „ტყის პრობლემა ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, ჯარის ჩაყენებას, პოლიციურ რეჟიმს არ უნდა უკავშირდებოდეს. პირველ რიგში ენ-

65. გაზ. „ახალი თაობა", 14 თებერვალი, 2005 წ.

66. გაზ. რეზონანსი, 7 აპრილი 2005 წ.



საქართველოს პრემიერ-მინისტრის,
ზურაბ ჟვანიას დაკრძალვის ცერემონიალი



ხეების მასობრივი გაჩეხვა დიღომში.



რუსი აგრესორების მიერ გაჩენილი ხანძარი
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში
2008 წლის აგვისტო.



საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის
მწვანეთა რეგიონული შეხვედრა თბილისში 2011წ.



ახალგაზრდა მწვანეების აქცია, საქართველოში
ატომური ელექტრო სადგურის მშენებლობის წინააღმდეგ.



ამიერკავკასიის მწვანეთა პარტიების
რეგიონული შეხვედრა ერევანში 2010წ.



მუშაობის პროცესი მწვანეთა ოფისში.
მარცხნივ, პარტიის აღმასრულებელი მდივანი, **ლელა კიკნაძე.** მარჯვნივ, პარტიის საერთაშორისო კოორდინატორი, **სოფიო სახანბერიძე.**





ახალგაზრდა მწვანეები მუშაობის პროცესში.



მწვანეთა პარტიის კადიდატები 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში. მარცხნიდან: გენერალ-ლეიტ-ენანტი გიორგი შერვაშიძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი გაჩეჩილაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა აბაშიძე.



ოპოზიციური პარტიების შეხვედრა რედისონში 2009 წ.



მწვანეთა ახალგაზრდული ბანაკის
მონაწილენი საქართველოში.



ნაგავსაყრელის მშენებლობის საპროტესტო აქცია,
სოფელ დიდ ლილოსთან 2010 წ.

ერგორესურსი უნდა მიეცეს ადგილობრივ მოსახლეობას, დიდი ხანია მოვითხოვთ, რომ ჟინვალის ეკონომიკური გავლენის საზღვრებში ელექტროენერგია უფასოდ მიეცეს მოსახლეობას ეს ეხება ენგურსაც, შაორის წყალსაცავსაც. ზიანის მიმყენებელი ამ ობიექტების გამო კომპენსაცია უნდა მიეცეს მოსახლეობას."[67]

მწვანე საფარის განადგურების მხრივ განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა იყო ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც ბიუჯეტის შევსებაში ლომის წილი სწორედ ხე-ტყის ძვირფასი ჯიშების ჭრიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდიოდა. „ბოლო დროს სეპარატისტებმა დაამუშავეს 44 300 კუბური მეტრი ხის მასალა, რომელთაგან უცხოეთში გატანილ იქნა 37 935 კუბური მეტრი", — ნათქვამი იყო ამ საკითხთან დაკავშირებით მწვანეთა პარტიის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

მწვანეები სერიოზულ საფრთხეს ხედავდნენ ეკონომიკური რეფორმების საკითხში სახელმწიფო მინისტრის — კახა ბენდუქიძის ინიციატივაშიც — გრძელვადიანი იჯარით (49 წლით) კერძო პირებისთვის ტყეების გადაცემის მოთხოვნაშიც. მწვანეთა პარტიამ ამ ინიციატივას სახელმწიფო კანცელარიის წინ საპროტესტო აქციით უპასუხა. გიორგი გაჩეჩილაძის აზრით, ტყეების კერძო პირებზე გაყიდვა საქართველოსთვის დამღუპველი იქნებოდა. „მწვანეთა პარტია ტყეების კერძო საკუთრებაში გადაცემას არ დაუშვებს და მაქსიმალურად შეეცდება მოსახლეობის მობილიზებას",[68] — აცხადებდა ის. თავის მხრივ, უკანდახევას არ აპირებდა კახა ბენდუქიძეც, რომელიც მისთვის დამახასიათებელ სტილში უცერემონიოდ ლანძღავდა თავის ოპონენტებს. „თუ გვინდა, საქართველოში ტყე გადარჩეს, მას კერძო მესაკუთრე უნდა ჰყავდეს. ... ტყის მოკლევადიანი, თუნდაც ხუთი წლით იჯარით გაცემა წამგებიანია, მეტიც, ეს სისულელე იქნება

67. გაზ. „დღე", 8 აგვისტო, 2005 წ.

68. გაზ. „კვირის პალიტრა", 19-25 ივნისი, 2006 წ.

და, თუ ეს ვიღაც არასამთავრობოებს, ლურჯებსა თუ მწვანეებს არ ესმით, მათი პრობლემაა,"[69]— აცხადებდა ის.

მწვანეთა პარტიის შეუნელებელი ყურადღების საგანს წარმოადგენდა თბილისის სასმელი წყლის სანიტარული ნორმების დაცვის პრობლემაც. იმის მიუხედავად, რომ მდინარე არაგვის კალაპოტში სანიტარული დაცვის ზონაში კატეგორიულად აკრძალული იყო ნებისმიერი მშენებლობა, ხოლო საქართველოს მთავრობის განკარგულებით 2005 წლის ივნისამდე უნდა მომხდარიყო თბილისის სასმელი წყალმომარაგების სათავე ნაგებობების I სანიტარულ ზონაში (მკაცრი რეჟიმის ზონა) არსებული შენობების ლიკვიდაცია, ხელისუფლების მაღალჩინოსანი წარმომადგენლები სწორედ ამ ზონაში იშენებდნენ უზარმაზარ აგარაკებს. ჟინვალი-თბილისის საკანალიზაციო კოლექტორის ექსპლოატაციის შეწყვეტის პირობებში (შეწყდა 1992 წელს) ამ აგარაკების ფეკალური წყლები ზედაპირულად მიედინებოდა და ღია არხებით თბილისის წყალმომარაგების მთავარ არტერიაში იჟონებოდა.

მწვანეთა პარტია მოითხოვდა:

შეჩერებულ იქნას თბილისის სასმელი წყლით მომარაგების სანიტარული დაცვის ზონაში მიმდინარე მშენებლობები;

ლიკვიდირებულ იქნას სოფელ ჭოპორტთან განლაგებული თბილისის წყალმომარაგების სათავე ნაგებობების სანიტარული დაცვის ზონაში არსებული აგარაკები;

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მცხეთა-თიანეთის სამხარეო ადმინისტრაციამ შეასრულოს მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება და საზოგადოებისთვის აშკარა გახადოს მშენებარე და არსებული სახლების მეპატრონეთა ვინაობა და დასვას მათი პასუხისმგებლობის საკითხი;

წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანეთა პარტია ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ორ თვეში მიმართავს სასამართლოს თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელო-

---

69. გაზ. „ახალი თაობა", 17 ივნისი, 2006 წ.

ბაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისგებაში მიცემის მოთხოვნით:[70]

2005 წლის ოქტომბერში საქართველოში შუალედური არჩევნები გაიმართა, რომელშიც ოპოზიციამ კიდევ ერთხელ იწვნია მარცხი. ქართველმა მწვანეებმა უარი თქვეს არჩევნებში მონაწილეობაზე, რადგან მიაჩნდათ, რომ საქართველოში არსებული უვარგისი კანონმდებლობა წინასწარვე გამორიცხავდა რაიმე შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. არჩევნებში ოპოზიციური პარტიების მონაწილეობამ კი, რეალურად, მხოლოდ ლეგიტიმაციის ხარისხი აუწია ხელისუფლებას და ამ არჩევნებს. მწვანეთა ლიდერის აზრით, საარჩევნო კამპანიამ „ხელისუფლების აშკარა მონაწილეობით ჩაიარა. ... საზოგადოებაში ძალიან დიდია იმედგაცრუება. .. ადამიანებმა დაინახეს, რომ არაფერს არა აქვს აზრი ამ ქვეყანაში და რომ ნორმალური საარჩევნო გზით შეუძლებელია ხელისუფლების ცვლა, როგორც ეს ხდება დემოკრატიულ საზოგადოებაში,"[71]— აღნიშნავდა ის გაზეთ „ახალი თაობისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

2006 წლის მაისში საქართველოს მწვანეთა პარტია „ევროპის მწვანეთა პარტიის" მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს. ერთი თვის შემდეგ კი ევროპელმა მწვანეებმა მას სანტ-პეტერბურგში დაგეგმილ „დიდი რვიანის" სამიტზე ევროპის მწვანეთა დელეგაციის ხელმძღვანელობა დაავალეს.

ცხადია, საქართველოს მწვანეთა პარტიისთვის ეს დიდი პატივი და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაც იყო. ამასთან, გასაოცარი და გულდასაწყვეტიც იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტსაც სრულ იგნორირებას უკეთებდა. მწვანეებთან კონსულტაციების გამართვა ხომ ხელს შეუწყობდა „დიდი რვიანის" სამიტზე საქართველოს სახელმწიფო ინტერესების უფრო სრულად წარმოჩენას.

---

70. საქართველოს მწვანეთა პარტიის პრესრელიზი, 2005 წლის 27 სექტემბერი

71. გაზ. „ახალი თაობა", 4 ოქტომბერი, 2006 წ.

2006 წლის ივნისში მწვანეთა პარტიამ და პოლიტიკურმა გაერთიანება „ჩვენ თვითონ" თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. ამ ერთი შეხედვით განსხვავებული ინტერესების მქონე ორი პარტიის თანამშრომლობის საფუძველი ქვეყნის წინაშე მათი პასუხისმგებლობის გრძნობა აღმოჩნდა. „ხელისუფლების გაუაზრებელი პოლიტიკის გამო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა სულ უფრო ბუნდოვანი ხდება. სისტემატურად ირღვევა ადამიანის უფლებები, კატასტროფული მასშტაბები მიიღო უმუშევრობამ, ნადგურდება საქართველოს უნიკალური ბუნება და კულტურული მემკვიდრეობა, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამო ვერ ვითარდება ადგილობრივი წარმოება და სოფლის მეურნეობა," — ნათქვამი იყო მემორანდუმში. მხარეები საქართველოს ბუნების გადასარჩენად და გახშირებული ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად ერთობლივი ღონისძიებების გატარებას გეგმავდნენ.

უკვე ერთი თვის შემდეგ, ივლისის შუა რიცხვებში, პაატა დავითაიასა და გიორგი გაჩეჩილაძის გაერთიანებამ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის ერთი ნაწილის შეკრება გამართეს. შეკრებაზე მიღებულ მიმართვაში ნათქვამი იყო: „სახელმწიფო პოლიტიკის უშედეგობამ დაგვაკარგვინა რწმენა ხელისუფლებისადმი, თანამემამულეებისადმი და საკუთარი თავისადმი. ჩვენ გვირტყამენ ხელკეტებს, გვასახლებენ დროებითი საცხოვრებელი ადგილებიდან შესაბამისი რეალური კომპენსაციის გარეშე, გვიწოდებენ მოღალატეებს. ყველაფერ ამის მოთმენა შეუძლებელია. ...

დავდგეთ ერთად, გავერთიანდეთ და ჩვენ თვითონ აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა!"[72]

მწვანეთა პარტიამ და პოლიტიკურმა გაერთიანება „ჩვენ თვითონ" ბოიკოტი გამოუცხადეს ადგილობრივ არჩევნებსაც. ერთობლივ პრესკონფერენციაზე გიორგი გაჩეჩილაძემ და პაატა დავითაიამ განაცხადეს, რომ ამომრჩევლის თვალ-

72. გაზ. „ახალი თაობა", 19 ივლისი, 2006 წ.

საზრისით მათ ბევრ სხვა პარტიაზე გაცილებით მეტი პოტენციალი აქვთ, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობაზე მაინც უარს ამბობენ, რადგან ეს „დემოკრატიული პრინციპების ღალატად" მიაჩნიათ. „ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ვთქვით ამ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი, არის სოლიდარობა სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც სანამ საქართველოში ეს ხელისუფლებაა, ვერასოდეს ვერ იყრიან კენჭს", აცხადებდა გიორგი გაჩეჩილაძე. პაატა დავითაია კი განმარტავდა: „ჩვენ ამ ბოიკოტით გვინდა ვაჩვენოთ ყველას, რომ მთავარია ქვეყნის დემოკრატიული და თავისუფალი განვითარება და არა ოლიმპიური მონაწილეობა არჩევნებში."[73]

პოლიტიკურმა გაერთიანება „ჩვენ თვითონ" და მწვანეთა პარტიამ აფხაზეთში ომის დაწყების 14 წლისთავზე იპოდრომზე კიდევ ერთი ხალხმრავალი მიტინგი გამართეს. ხელისუფლების მხრივ უხეში ზეწოლის მიუხედავად (ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გია ხევიაშვილი ლტოლვილებს მიტინგზე მისვლის შემთხვევაში კომპენსაციის მოხსნით ემუქრებოდა) იპოდრომზე ხუთი ათასი კაცი შეიკრიბა. მომიტინგეებმა კვლავ შეახსენეს მსოფლიოს დევნილების პრობლემა. „სანამ ერთი დევნილიც კი არის საქართველოში, მე ვფიქრობ, ყველა დევნილი ვართ, სანამ ერთი გოჯა ქართული მიწაც კი უცხო კაცის ხელშია, მანამ მთელი საქართველო ტანჯული და დევნილია",[74] — განაცხადა მიტინგზე გიორგი გაჩეჩილაძემ.

საქართველოს მწვანეთა პარტია აქტიურად თანამშრომლობდა რუს კოლეგებთანაც. 2006 წლის 15 ოქტომბერს ჟენევაში გამართულ ევროპის მწვანეთა პარტიების ყრილობაზე ქართველი და რუსი მწვანეების ერთობლივი ინიციატივით ყრილობამ მიიღო განცხადება რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე ქართველთა დისკრიმინაციის შესახებ. „ძლიერი ანტი-ქართული და ქსენოფობიური რიტორიკა მიმდინარეობს რუსული მედიის საშუალებით. ყველა საწარმო, რომელსაც

73. გაზ. „ახალი თაობა", 31 აგვისტო, 2006 წ.

74. გაზ. „ახალი თაობა", 15 აგვისტო, 2006 წ.

ფლობენ ქართველები, ან ეთნიკური ქართველები — მოწმდება, როგორც საგადასახადო მილიციის, ან სხვა უწყებების მიერ. რიგი მათგანი დაიხურა კიდეც. ევროპის მწვანეთა პარტია მოითხოვს რუსეთის ფედერაციისგან შეწყდეს ქართველებისა და ეთნიკური ქართველების დისკრიმინაცია და მოუწოდებს ევროპის პარლამენტს და ევროპის საბჭოს შექმნას სპეციალური კომისია, რათა გამოძიებულ იქნას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები რუსეთში, ძირითადად მიმართული რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და ეთნიკური ქართველების უფლებების წინააღმდეგ."— ნათქვამი იყო ამ საკითხთან დაკავშირებით ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში.

2006 წლის შემოდგომაზე საქართველოში კიდევ ერთხელ აგორდა ატომური ელექტროსადგურის აშენების თემა. ამჯერად ამის შესახებ გერმანიაში ვიზიტისას ღიად განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ. ცხადია, ქართველმა მწვანეებმა მწვავედ გაილაშქრეს ამ იდეის წინააღმდეგ და მის მომხრეებს „მოღალატეები" უწოდეს. მწვანეების განცხადებით 1998 წლიდან საქართველოში მოქმედებს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე არა მხოლოდ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას, არამედ ბირთვული ნარჩენების შემოტანასაც კრძალავს. „ვინც ატომური ელექტროსადგურით დიდი ფულის შოვნის მომხრეა, გაითვალისწინოს, რომ საქართველო ჰიდრორესურსებით მდიდარი ქვეყანაა"[75], — აღნიშნავდა ამასთან დაკავშირებით გიორგი გაჩეჩილაძე.

მწვანეების ასეთი პოზიცია მწვავედ გააკრიტიკა ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა ჯემალ მებონიამ, რომელმაც ატომური ელექტროსადგურის აშენების სასარგებლოდ ასეთი არგუმენტი მოიყვანა: „იაპონელებს თუ არ ეშინიათ ატომური ელექტროსადგურების, ჩვენ რა შიშმა აგვიტანა?"-ო.

---

75. გაზ. ასავალ-დასავალი, 2-8 ოქტომბერი, 2006 წ.

ატომური ელექტროსადგურის თემა კიდევ ერთხელ წამოჭრა პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავისი ევროპული ტურნეს შემდეგ. საფრანგეთში ვიზიტისას ახლად გაპრეზიდენტებულ სარკოზისთან მან ჩვენს ქვეყანაში გრანდიოზული ატომური ელსადგურის მშენებლობის თაობაზე მოილაპარაკა.

მწვანეთა პარტია დაუღალავად განუმარტავდა მოსახლეობას თუ რაოდენ მომაკვდინებელი საფრთხის შემცველი იყო საქართველოში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა. ამის დასტურად მას მაშინ ჩერნობილის მაგალითის მოხმობა შეეძლო. მაგრამ 2011 წელს იაპონიის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ ყველაზე „ურწმუნო თომებისთვისაც" კი ცხადი გახადა ამ საკითხში მწვანეთა პოზიციის სისწორე. დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ატომური ელექტროსადგური საერთო-ეროვნული კატასტროფის საფრთხის შემცველია.

ჟურნალ „სარკესათვის" მიცემულ ინტერვიუში გიორგი გაჩეჩილაძე, მწვანეთა დამსახურებაზე საუბრისას, სიამაყით აცხადებდა, რომ ქართველ მწვანეთა პრინციპული ბრძოლის შედეგად „ხელისუფლებას შევაჩერებინეთ ტყეების პრივატიზება, მდინარეთა გაყიდვა, ახლა რომ ატომური ელექტროსადგურის აშენება უნდათ, იმასაც მუშტაიდიდან შევაჩერებინებთ".

ქართველ მწვანეთა პრინციპულმა პოზიციამ ამჯერადაც მოიტანა შედეგი: საქართველოში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე ლაპარაკი შეწყდა.

2006 წლის 26 დეკემბერს თბილისში გაიმართა საქართველოსა და აზერბაიჯანის მწვანეთა პარტიების ხელმძღვანელი ორგანოების ერთობლივი კონფერენცია. მიღებულ მემორანდუმში ნათქვამი იყო, რომ მხარეები ქმნიან საქართველოსა და აზერბაიჯანის მწვანეთა პარტიების საკოორდინაციო საბჭოს. „ჩვენ დღეს ისტორიულ ნაბიჯებს ვდგამთ და ქართველ კოლეგებთან ერთად თანამშრომლობის მემორანდუმს ვაფორმებთ. დარწმუნებულები ვართ, რომ ეს

იდეა დადებით შედეგს გამოიღებს, რადგან ძალიან კარგად მოგვეხსენება ქართული მწვანეთა პარტიის ისტორიის და მდიდარი ტრადიციების შესახებ,"[76]— განაცხადა აზერბაიჯანელ მწვანეთა ლიდერმა მაისა გულალიევმა.

საქართველოს ხელისუფლება კი ოპოზიციური პარტიების შევიწროების ახალ-ახალ მეთოდებს იძიებდა და პოულობდა. დეკემბრის ბოლოს საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებას უფლება ეძლეოდა სასამართლოს დადგენილების საფუძველზე ქალაქის ცენტრში არსებული ოფისებიდან გამოესახლებინა პოლიტიკური პარტიები. მწვანეთა პარტიამ ამ კანონპროექტს მაშინვე უწოდა „ძალადობა, რომლის პრეცენდენტსაც ვერცერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ." მწვანეთა ოფისს კულტურული ძეგლის სტატუსი გააჩნდა. ამიტომ მისი გასხვისება-გაყიდვა სახელმწიფოს გაუჭირდებოდა. თუმცა, პარლამენტში უკვე აქტიურად საუბრობდნენ იმაზეც, რომ გაყიდვა-რეალიზაციას კულტურული ძეგლებიც დაქვემდებარებოდა.

2007 წლის 28 აპრილს მწვანეთა პარტიამ თავისი მერვე ყრილობა გამართა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ელჩები სხვადასხვა ქვეყნიდან, ევროკავშირის წარმომადგენლები, პოლიტიკური პარტიები ... ყრილობაზე საპატიო სტუმრების სახით მოწვეულნი იყვნენ ზურაბ ჟვანიას ოჯახი და მისი ძმა.

ყრილობის დამთავრების შემდეგ ქალაქის მერიამ მწვანეთა პარტიას ოფისის დაცლა მოსთხოვა. თავდაპირველი ვერსიით, ამის მიზეზი მუშტაიდის პარკის დირექციასა და მწვანეთა პარტიას შორის ოფისის განკარგვის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაში აღმოჩენილი ხარვეზი იყო. თურმე, ამ ხელშეკრულებაზე ხელი მერიის ქონების მართვის სამსახურსაც უნდა მოეწერა. მაგრამ, ელემენტარული ლოგიკით, ასეთ შემთხვევაში უნდა გასწორებულიყო დაშვებული შეცდომა და არა პარტია გაეძევებინათ ოფისიდან. მით უმეტეს, რომ შეცდომა მერიას მოუვიდა და არა მწვა-

76. გაზ. „ახალი თაობა", 27 დეკემბერი, 2006 წ.

ნეებს. ხელისუფლება მალე მიხვდა თავისი „არგუმენტის" სრულ უაზრობას და თავისი პოზიცია ახალი არგუმენტით „გაამაგრა": მუშტაიდის ბაღში მდებარე შენობა კულტურულ მემკვიდრეობათა ძეგლების ნუსხაში შედის, რის გამოც სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დაბრუნდესო.

მწვანეთა პარტიას სოლიდარობა გამოუცხადეს ლეიბორისტებმა, პოლიტიკურმა მოძრაობამ — „ჩვენ თვითონ", სახალხო პარტიამ და სხვებმა. მემარჯვენეთა ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა კაციტაძე აღნიშნავდა: „ჩემი აქ ყოფნა არ ნიშნავს მხოლოდ პოლიტიკური პარტიის მიმართ სოლიდარობის გამოხატვას. ეს არის სოლიდარობის გამოხატვა მესაკუთრის მიმართაც. ეს შენობა მწვანეთა პარტიას იჯარით აქვს აღებული და მის მესაკუთრედ ითვლება. ანუ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მესაკუთრის უფლებების დარღვევის მორიგ ფაქტს. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ეს ხელისუფლება სახლებშიც შემოგვივარდებოდა. არადა, ამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა სწორედ ამ შენობაში აიდგეს ფეხი. ისინი თუ წარსულს დაივიწყებენ, მაშინ მათ მომავალი დაივიწყებს".[77]

ქართველ მწვანეთა გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა ევროპის მწვანეთა პარტიის მთავარმა კომიტეტმაც, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს სთხოვა აღმოეჩინა დახმარება მწვანეთა პარტიისთვის ოფისის შენარჩუნების საქმეში.

თუმცა, ხელისუფლება უკანდახევას არ აპირებდა. გიორგი გაჩეჩილაძეს მკვეთრად დაუპირისპირდნენ ხელისუფლებაში გადასული ყოფილი მწვანეებიც, რომლებმაც მას ბრალი „ჟვანიას სახელით სპეკულაციაში" დადეს და ურჩიეს „თავისი საკუთარი და პარტიული პრობლემები საკუთარი სახელით მოაგვაროს". თავის მხრივ, გიორგი გაჩეჩილაძემ „უნამუსობა" უწოდა ყოფილ თანაპარტიელთა ამ განცხადებას და მათ ჟვანიას მკვლელობის საქმის გამოძიებისთვის ხელის შეშლაში დასდო ბრალი.

---

77. გაზ. დღეს, 5 მაისი, 2007 წ.

11 მაისს, გამთენისას, მწვანეთა პარტიის ოფისი პოლიციამ ალყაში მოაქცია. სამართალდამცველებმა მწვანეთა ავეჯი და პარტიული დოკუმენტაცია ქუჩაში გამოყარეს. ამის შემდეგ გიორგი გაჩეჩილაძეს ოფისის დათვალიერების უფლება მისცეს. „პრაქტიკულად ყველაფერი დარბეულია — გადმოყრილია ბროშურები და წიგნები. ფაქტობრივად ოფისი დაყაჩაღებულია და ამის მთავარი ორგანიზატორი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი იყო",[78] — აღნიშნავდა ის ოფისის დათვალიერების შემდეგ. გაჩეჩილაძემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ მწვანეთა პარტიისთვის ოფისის წართმევას საფუძვლად პოლიტიკური სარჩული ედო.

მოგვიანებით ხელისუფლებამ ოფისებიდან ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და სახალხო ფრონტიც გამოაძევა. ეკონომიკის სამინისტრომ სახალხო ფრონტის უნიკალური არქივი და ტექნიკაც მიისაკუთრა. „სამინისტროს არ გავუფრთხილებივართ. მისი წარმომადგენლები ჩვენს ოფისში ღამით შევიდნენ და გამოსახლება ჩვენს გარეშე დაიწყეს. ... სამინისტრომ შენობიდან ჩვენი უნიკალური არქივი, წიგნები, ფოტო და ვიდეომასალა, კომპიუტერული ტექნიკა გაიტანა და გადამალა,"[79]— აღნიშნავდა ამის თაობაზე ნოდარ ნათაძე.

ხელისუფლების თავგასულობა მხოლოდ ოპოზიციურ პარტიებს არ შეხებია. სამართალდამცავი სტრუქტურები ასევე უცერემონიოდ ატერორებდნენ ბიზნესს, რიგით მოქალაქეებს. მასობრივი ხასიათი მიიღო კერძო საკუთრების ხელყოფამ, პოლიტიკური ნიშნით უდანაშაულო ადამიანების დევნა-დაპატიმრებებმა. მოქალაქეებისთვის ყოველგვარი აზრი დაკარგა სასამართლოსთვის მიმართვამ, რადგანაც ეს უკანასკნელი პროკურატურის ყურმოჭრილ მონად, ხელისუფლების „ჯიბის სასამართლოდ" იქცა. „ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, საზოგადოების ყველა ფენისთვის აუტანელია. ხელისუფლებამ თავის პოლიტიკად ძალადობა

78. გაზ. „24 საათი", 12 მაისი, 2007 წ.

79. გაზ. „ალია", 23-24 აგვისტო, 2007 წ.

და სიყალბე აირჩია. სწორედ ამის შედეგია ამერიკელ სოციოლოგთა კვლევის მონაცემები, რომელთა თანახმად, საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 51% ქვეყნიდან წასასვლელად არის გამზადებული," [80]— აღნიშნავდა გიორგი გაჩეჩილაძე.

საერთო უკმაყოფილების ფონზე გაერთიანებულმა ოპოზიციამ მოსახლეობას 2 ნოემბერს პარლამენტის შენობის წინ მასობრივი გამოსვლისკენ მოუწოდა. მწვანეთა პარტია აქტიურად ჩაერთო საპროტესტო მოძრაობაში.

2007 წლის ივლისში, საქართველოს მწვანეებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა პროფესორი გივი გიგინეიშვილი, რომლის სახელთან არის დაკავშირებული გარემოსდაცვითი სფეროს საკანონმდებლო რეფორმა. იმავე თვეში გარდაიცვალა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და უხუცესი წევრი, მწვანეთა პარტიის საპატიო თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი თუმანიშვილი. ამ ორი ნათელი პიროვნების დაკარგვა აუნაზღაურებელ ზარალს წარმოადგენდა მწვანეთა მოძრაობისთვის.

7 ნოემბერს ხელისუფლებამ მშვიდობიანი მიტინგი ძალის გამოყენებით დაარბია, მეორე დღეს კი ტელეკომპანია „იმედში" შეიჭრა და მისი მაუწყებლობა შეაჩერა. მშვიდობიანი მიტინგის განსაკუთრებული სისასტიკით დარბევამ და დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში ძალოვანი სტრუქტურების შეჭრამ არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის, საერთაშორისო საზოგადოებრიობის აღშფოთებაც გამოიწვია. პრეზიდენტი იძულებული გახდა გადამდგარიყო და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაენიშნა.

საქართველოს მწვანეთა პარტიამ კვლავ მოუწოდა ოპოზიციას გაერთიანებისკენ. თუ ერთიან კანდიდატზე ვერ შევთანხმდებით, საკოორდინაციო საბჭო მაინც შევქმნათ, რომელიც ხელისუფლების მექანიზმებს დაუპირისპირდება, მიმართავდა იგი ოპოზიციას. მწვანეთა ლიდერი არჩევნების

---

80. გაზ. „ალია", 25-26 აგვისტო, 2007 წ.

გაყალბების სახელისუფლებო სქემასაც შიფრავდა. 2004 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 2 მილიონ 350 ათასი კაცით განისაზღვრა. 2007 წლის ბოლოს კი ხელისუფლება აცხადებს, რომ საქართველოში ამჟამად 3 მილიონ 350 ათასი ამომრჩეველია, ანუ სამ წელიწადში მათი რაოდენობა მილიონით გაზრდილა. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს შევარდნაძის ხელისუფლება 3 მილიონ 150 ათას ამომრჩეველს აფიქსირებდა, სააკაშვილი კი გაიძახოდა — ამომრჩეველთა სიები მკვდარი სულებით არის გაბერილიო. დღეს ის კიდევ უფრო მეტ ამომრჩეველს აფიქსირებს, გამოდის, რომ სააკაშვილი კიდევ უფრო მეტი „მკვდარი სულით" ბერავს სიებს,[81] — აღნიშნავდა გაჩეჩილაძე გაზეთ „ალიასთან" საუბარში.

ოპოზიციამ კვლავ ვერ მოახერხა ერთიან კანდიდატზე შეთანხმება, ამიტომ მწვანეთა პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად გიორგი გაჩეჩილაძე დაასახელა. თუმცა, მან სხვა კანდიდატის სასარგებლოდ მალევე მოხსნა თავისი კანდიდატურა. მწვანეთა კანდიდატი თავის ამ გადაწყვეტილებას შემდეგნაირად ხსნიდა: „ ... ჩვენ შიგადაშიგ სოციოლოგიურ კვლევებს ვატარებდით გადამწყვეტ ქალაქებში. სწორედ ამ კვლევების შედეგად გაირკვა, რომ ამ ეტაპზე ყველაზე დიდი რეიტინგი ლევან გაჩეჩილაძეს აქვს. ამ რეიტინგის მიხედვით მას პირველივე ტურში აქვს გამარჯვების შანსი. ამის გარდა მისი პროგრამა ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღებია." ჟურნალისტის კითხვაზე: „პავლე კუბლაშვილი აცხადებს, რომ თქვენ ვერ მოახერხეთ 50 ათასი მხარდამჭერის მოძებნა და უბრალოდ, ლამაზად გადაწყვიტეთ თავის დაძვრენა ..." — გაჩეჩილაძე პასუხობდა: „ჩვენთან უკვე დევს 52 ათასი ხელმოწერა. მე რომ ეს ხელმოწერები საარჩევნო კომისიაში წარმედგინა, ისინი ჩემს სახელსა და გვარს უკვე შეიტანდნენ ბიულეტენში. ამის შემდეგ ჩემი კანდიდატურის მოხსნა ჩემს ამომრჩეველს დააბნევდა.."[82]

---

81. გაზ. „ალია", 24-26 ნოემბერი, 2007 წ.

82. გაზ. „ალია", 6-7 დეკემბერი, 2007 წ.

საპრეზიდენტო არჩევნების წინ მოულოდნელად გარდაიცვალა ბადრი პატარკაციშვილი. ხელისუფლებისადმი მკვეთრად დაპირისპირებული მილიარდერის საეჭვო გარდაცვალებამ მოსახლეობაში არცთუ საფუძველს მოკლებული ეჭვები გააჩინა, რამაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო შელახა ხელისუფლების ავტორიტეტი.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველივე ტურში სააკაშვილმა შეძლო ხმების 50 პროცენტის დაგროვება. თუმცა, ოპოზიციამ არჩევნების შედეგები არ სცნო და ხალხმრავალ მიტინგებზე მისი გაუქმება მოითხოვა. არჩევნების პროცესში მრავალი დარღვევა დააფიქსირეს საერთაშორისო დამკვირვებლებმაც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არჩევნები შემდგარად გამოაცხადეს.

ამრიგად, ოპოზიციამ ერთიან კანდიდატზე შეუთანხმებლობის გამო უკვე მერამდენედ დაკარგა არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შანსი.

21 მაისისთვის საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა. მასში მონაწილეობისთვის პარტიებს, რომლებსაც ცესკოში წარმომადგენელი არა ჰყავდათ, 30 ათასი ხელმოწერა უნდა წარედგინათ. დათქმულ დროში მწვანეებმა 54 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს, ცესკოში კი 45 ათასი წარადგინეს. ცესკომ აქედან 2 ათას 300 ხელმოწერა დაიწუნა და ხარვეზების გასასწორებლად პარტიას დაუბრუნა. მწვანეებმა რეზერვიდან დაუყოვნებლივ დამატებით 3 ათასი ხელმოწერა წარადგინეს. თუმცა, რეგისტრაციის დასრულებამდე ერთი საათით ადრე ცესკომ კიდევ ათასი ხელმოწერა დაიწუნა და მწვანეთა პარტიას რეგისტრაციაზე უარი უთხრა. პარტიის მიერ წარდგენილ ხელმოწერებში ცესკოს მიერ „აღმოჩენილი" ხარვეზი კი ღიმილის მომგვრელი იყო: ქუჩა, კორპუსი, სადარბაზო, საპასპორტო მონაცემები კი გაქვთ, მაგრამ ბინის ნომერი გამოგრჩენიათო.[83]

---

83. გაზ. „ალია", 6-7 აპრილი, 2008 წ.

ცხადია, რომ ეს საბაბი იყო და არა მიზეზი. ხელისუფლება მწვანეთა პარტიას ლევან გაჩეჩილაძის მხარდაჭერისა და დასავლური პოზიციებიდან კრიტიკისთვის სჯიდა.

მწვანეთა პარტიის წევრებმა არჩევნებში მონაწილეობა „წინ საქართველოს", დემოკრატიული ცენტრის", „მომავლის პარტიის" და პარლამენტში პატარკაციშვილის მხარდამჭერი ფრაქციის ყოფილ წევრებთან ერთად „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის" ეგიდით გადაწყვიტეს. ალიანსის საარჩევნო სიას სათავეში ედგნენ: გია მაისაშვილი, გია კობახიძე, დავით თარხან-მოურავი, დავით ჭეიშვილი, მერაბ ხურციძე, ზვიად ბოკუჩავა და სხვები. „ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი" არ არის პარტიათა ჯამი. ეს არის პიროვნებათა საკრებულო",[84]— განაცხადა დავით ჭეიშვილმა. საარჩევნო სიის სათავეში შეგნებულად არ იყო ჩასმული ალიანსის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა თემურ შაშიაშვილი, რადგან, ალიანსის ლიდერთა აზრით, ის ქუთაისის მაჟორიტარული არჩევნებიდან აუცილებლად მოხვდებოდა პარლამენტში.

საპარლამენტო არჩევნებმა მკაფიოდ აჩვენა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში დამკვიდრებული ძალადობრივი მექანიზმები კვლავაც „გამართულად მუშაობდნენ." მეორე მხრივ არჩევნებმა ცხადყო ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის 2007 წლის ნოემბრის მოვლენებმაც უქმად ჩაიარა და მას „ვერც ვერაფერი ასწავლა და ვერც ვერაფერი დაავიწყა". არჩევნების შედეგებს რომ აფასაებდა, გიორგი გაჩეჩილაძე „ახალ თაობასთან" საუბარში აღნიშნავდა: „არჩევნებამდე ცნობილი იყო, რომ ხელისუფლება გეგმავდა არასაკონსტიტუციო უმრავლესობის გაყვანას ... გეგმაში ჰქონდათ 90 კაცის გაყვანა. თუმცა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის სააკაშვილს ჰყავდა სატელიტი პოლტიკური ორგანიზაცია, რომელიც ახლა პარლამენტში შედის. ... მაგრამ შს სამინისტროს და უშიშროების მიერ დაგეგმილმა გაყალბების მეთოდმა გაამართლა. პატიმრების ოჯახის წევრებმა, რომლებსაც პატიმრის გათ-

84. გაზ. „რეზონანსი", 18 აპრილი, 2008 წ.

ავისუფლების სანაცვლოდ 300-500 ხმას სთხოვდნენ, იმაზე მეტი ხმა მიუტანეს ხელისუფლებას, ვიდრე ელოდნენ. სწორედ ამიტომ აიღეს ნაციონალებმა 120 მანდატი ... სააკაშვილმა საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა."[85]

2009 წლის ივნისში გამოვიდა გაზ. „მწვანე სიახლები"-ს პირველი ნომერი. მკითხველისადმი მიმართვაში გიორგი გაჩეჩილაძე აღნიშნავდა, რომ გაზეთის მიზანია გაარღვიოს „მოჯადოებული წრე", ანუ ხელისუფლების მიერ მწვანეთა პარტიისთვის მოწყობილი საინფორმაციო ბლოკადა და მკითხველს დაანახვოს „ის ყოველდღიური საქმიანობა, რომლებსაც ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად ვეწევით".[86]

2008 წლის ზაფხულში რუსეთი საქართველოსთან ომის მზადების დამამთავრებელ ეტაპზე გავიდა. დასავლეთის სახელმწიფოების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ მას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთვის ჩამოჭრის ფორმალური საბაბი მიეცა. რუსეთს ეს ისე უნდა გაეკეთებინა, რომ მსოფლიოს თვალში „აგრესორ" ქვეყნად თვითონ კი არა — მისი მსხვერპლი გამოჩენილიყო. სწორედ ამას ემსახურებოდა ოსი სეპარატისტების მხრიდან ქართული სოფლების მიმართულებით გახსნილი ცეცხლი. რუსული მხარე შეგნებულად ავრცელებდა ხმებს იმის შესახებაც, თითქოს რუსებს „მოსწყინდათ ცხინვალის კორუმპირებული რეჟიმის რჩენა" და რომ ქართული მხარის გააქტიურების შემთხვევაში „კონფლიქტში არ ჩაერეოდნენ".

ცხადია, ეს იყო რუსების მიერ კარგად დაგებული ხაფანგი, რომელშიც, კონდოლიზა რაისის მოსწრებული თქმით, სააკაშვილი კი არ გაება, არამედ „ჩახტა". 8 აგვისტოს ცხინვალის დიდი ნაწილის დაკავებისა და ქართული ჯარის ჯავამდე გასვლის შემდეგ ბრძოლაში რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილები ჩაებნენ. რუსეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ არა მარტო როკის გვირაბიდან, არამედ აფხაზეთისა და ლარსის მიმართულებებიდანაც.

---

85. გაზ. „ახალი თაობა", 10 ივნისი 2008 წ.

86. გაზ. „მწვანე სიახლეები", 1, ივნისი, 2009 წ.

დაიწყო ქართული ქალაქების, მათ შორის თბილისის დაბომბვაც.

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა გამოიყენა ომის წარმოების ექვსი საშუალება: სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო, სარაკეტო ძალები, კიბერშეტევები და მედიაომი. 11 აგვისტოს, 17 საათზე ქართულმა ჯარმა დაიწყო ბრძოლიდან გამოსვლა და თბილისისკენ უკანდახევა. მტერმა დაიკავა ქართული ქალაქები: გორი, ხაშური, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი საერთაშორისო თანამეგობრობის ენერგიული პროტესტის შედეგად ის მხოლოდ თბილისის მისადგომებთან შეჩერდა.

საომარი მოქმედებების დროს რუსულმა სამხედრო ნაწილებმა ცეცხლს მისცეს ბორჯომ-ხარაგაულის უნიკალური ნაკრძალის ტყეები.

საფრანგეთის პრეზიდენტის შუამდგომლობით 12 აგვისტოს მოხერხდა საომარი მოქმედებების შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების ხელმოწერა. 8 სექტემბერს ამ შეთანხმებას დაემატა პუნქტები, რომელთა თანახმადაც რუსეთს 7 დღის ვადაში უნდა დაეტოვებინა ფოთი-სენაკის მონაკვეთზე არსებული 5 სადამკვირვებლო პუნქტი, შემდეგ კი ერთი თვის განმავლობაში უნდა დაბრუნებოდა სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე არსებულ ვითარებას.

ნაკისრი ვალდებულებები რუსეთს დღემდე არ შეუსრულებია. მეტიც, 26 აგვისტოს, ამ ვალდებულებების საპირისპიროდ, რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

ამრიგად, რუსეთმა მიაღწია მიზანს, რომლისკენაც ის მეთოდურად და ნაბიჯ-ნაბიჯ მიისწრაფოდა. მან საერთაშორისო სამართლის და მის მიერვე დეკლარირებული პრინციპების ფეხქვეშ გათელვის გზით დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ფაქტიურად, მიიერთა ძირძველი ქართული ტერიტორიები — აფხაზეთი და შიდა ქართლი.

ომის მიმდინარეობის დროს საქართველოს მწვანეთა პარტიამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „ახლა არ არის მტყუან-მართალის გარჩევის დრო. თუ არ იქნება სასწრაფოდ გადადგმული დემოკრატიული სახელმწიფოებისგან შესაბამისი ნაბიჯები, საქართველო უახლოეს პერიოდში მოექცევა რუსეთის გავლენის ქვეშ, რაც ამ რეგიონში დასავლეთის ინტერესებისთვის კატასტროფა იქნება. ... შესაძლებელია რუსეთმა ბაქო-ჯეიჰანისა და შაჰდენიზის მილსადენებზე ტერორისტული აქტები ან ვითომ შემთხვევითი დაბომბვები მოახდინოს.. ეს საბოლოოდ დამარხავს საქართველოს გეოპოლიტიკურ ფუნქციას, გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას საქართველოს დიდ ნაწილში."[87]

რუსეთის მიერ ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის განადგურებას ეკოლოგიური ტერორის კვალიფიკაცია მიენიჭა. ბორჯომის ხეობაში თითქმის 300 ჰექტარი უნიკალური ტყის მასივი დაიწვა. ხეობა, სადაც 100-120 წლის განსაკუთრებული წიწვოვანი ხეები ხარობდა, სტიქიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. გიორგი გაჩეჩილაძის თქმით, მსგავსი რამ ქუვეითში სადამ ჰუსეინმა გააკეთა. ომის წაგების შემდეგ მან ნავთობის ჭაბურღილების დაბომბვა დაიწყო, რითაც ქვეყანა გლობალური მასშტაბის ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენა. მწვანეთა პარტიის ლიდერი კიდევ ერთხელ შეახსენებდა ხელისუფლებას ატომური ელექტროსადგურისა და ალექსეევკას დასახლებაში ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის მშენებლობის მისეულ გეგმებს. „ეს რომ გაკეთებულიყო, წარმოიდგინეთ ... ქვეყანა რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა. ამ ყველაფრის მშენებლობას სწორედ ამ საშიშროების არსებობის გამო ვაპროტესტებდით",[88] — აღნიშნავდა ის.

მწვანეთა პარტია კვლავაც დაუნდობლად ამხელდა საქართველოს ხელისუფლების პიარზე დაფუძნებულ პოლიტიკას, მის მცდელობას — შეექმნა მოსახლეობისთ-

87. ჟურნ. „სარკე", 13-19 აგვისტო, 2008 წ.

88. გაზ. „რეზონანსი", 22 აგვისტო, 2008 წ.

ვის მოჩვენებითი კეთილდღეობის ილუზია. „მარტო ის რად ღირს, წაგებულ ომზე ... რომ იძახიან მოვიგეთო და კონცერტებს ატარებენ. ამაზე არანორმალური ხელისუფლება არ არსებობს.,"[89] — აღნიშნავდა გიორგი გაჩეჩილაძე „ახალ თაობასთან" საუბარში.

2009 წლის მარტის ბოლოს ბრიუსელში გაიმართა ევროპის მწვანეთა პარტიის მორიგი კონგრესი, რომლის მუშაობაში საქართველოს მწვანეთა პარტიამაც მიიღო მონაწილეობა. სწორედ ქართველ მწვანეთა ინიციატივით კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ევროპის მწვანეები მოუწოდებდნენ რუსეთს გაიყვანოს ჯარი საქართველოდან, ასევე, მოუწოდებდნენ ევროკავშირს — გაეფართიებინა სამხედრო დამკვირვებელთა კონტიგენტი და ბუფერული ზონებიდან გადაენაცვლებინა უშუალოდ აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე. რეზოლუცია მოითხოვდა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის შემსწავლელ კომისიას, სამხედრო დანაშაულის გარდა, შეესწავლა ბორჯომის ხეობაში ჩატარებული ეკოციდის საკითხებიც და სხვ.

ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალის მიერ მსგავსი რეზოლუციის მიღებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ევრომწვანეთა წინა, პარიზის კონგრესზე ინგლისის დელეგაციამ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოითხოვა.[90]

2009 წლის 9 აპრილიდან არასაპარლამენტო ოპოზიციამ ქუჩის აქციები დაიწყო და რუსთაველის გამზირზე საკნები და კარვები განალაგა. თავდაპირველად მწვანეთა პარტიამ აქციებში აქტიური მონაწილეობის შესახებ განაცხადა.[91] თუმცა, მოგვიანებით ის მკვეთრად გაემიჯნა ამ პროცესს. გიორგი გაჩეჩილაძემ პრესასთან კავშირიც კი გაწყვიტა. ამ აქციების დროს მის მიერ მიცემულ ერთადერთ ინტერვიუში მწვანეთა ლიდერი თავის პოზიციას შემდეგნაირად განმარტავდა: „ოპოზიციას არ აინტერესებს ის ლიგიკური

89. გაზ. „ახალი თაობა", 19 თებერვალი, 2009 წ.

90. გაზ. „ალია", 5-6 მარტი, 2009 წ.

91. გაზ. „ალია", 4-6 აპრილი, 2009 წ.

მოსაზრებები, რომელიც ჩემს პარტიას აქვს და რომელიც მიიჩნევს, რომ 9 აპრილის აქციები არ არის სწორი გზა. არც უკითხავთ ჩემთვის აზრი. უბრალოდ, მარტში ბრიუსელში წასვლამდე მე საზოგადოებას ვამცნე იმის შესახებ, რომ არსებულ კრიზისულ სიტუაციაში უნდა მოვნახოთ უფრო მეტად მშვიდობიანი და უმტკივნეულო გზა ხელისუფლების ცვლილებისა, რომელიც არ დაარტყამს ჩვენი ქვეყნის პოლიტეკონომიკას ... არ არის გამორიცხული, რომ წავიდეს მიშა და დარჩეს მერაბიშვილი... არსებობს საშიშროება, რომ მიშას მერე მერაბიშვილი მოვიდეს ხელისუფლებაში ..."[92] ამავე ინტერვიუში გაჩეჩილაძე აცხადებდა, რომ ხელისუფლებამ საქართველოს საზღვრები გაუხსნა აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ყველაზე მეტად კრიმონოგენური 26 ქვეყნის მოქალაქეებს. „აფრიკის ისეთი სახელმწიფოებია ამ ნუსხაში შეყვანილი, სადაც 10-დან 7 კაცს შიდსი აქვს. მე ახლა ოფიციალურ მონაცემებს გეუბნებით. მაგალითად, კონგოელს ჩვენთან უვიზოდ შემოსვლა და ცხოვრება შეუძლია ყოველგვარი სამედიცინო შემოწმების, ნასამართლობის გადამოწმებისა და ა. შ. გარეშე,[93]

მოგვიანებით, 2009 წლის ივნისში იმავე „ალიასთვის" მიცემულ ინტერვიუში გაჩეჩილაძე აცხადებდა, რომ მისი პარტიისა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევების მიხედვით უტყუარად დგინდება, რომ ომის შემდეგ სამთავრობო არხებზე გახსნილი პოლიტშოუები და მათში ოპოზიციის ლიდერების მონაწილეობა სააკაშვილის მიერ ორგანიზებული მანევრია. სწორედ ამ გზით ცდილობს სააკაშვილი თავისი პოლიტიკური სიცოცხლის გახანგრძლივებას. მწვანეთა ლიდერი პირდებოდა „ალიას", რომ ოპოზიციის იმ ლიდერთა პირველ ხუთეულს, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ ხელისუფლების თამაშს თამაშობდა, უახლოეს მომავალში დაუსახელებდა.[94]

---

92. გაზ. „ალია", 27 აპრილი-3 მაისი, 2009 წ.

93. გაზ. „ალია", 27 აპრილი-3 მაისი, 2009 წ.

94. გაზ. „ალია", 25-26 ივნისი, 2009 წ.

ივლისის ბოლოს, აქციების ჩაცხრობის შემდეგ, გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ სააკაშვილის გეგმის „პირველი ეტაპი, რაც ემსახურებოდა ორთქლის გამოშვებასა და მოსახლეობის ენერგიის დახარჯვას, დამთავრდა. ამ პირველ სპექტაკლს კოდური სახელწოდება ჰქონდა: „მიშა მაგარია". ... (ტალიავინის კომისიის დასკვნის გამოქვეყნების სამი თვით გადავადების შემდეგ) სასწრაფოდ დაიგეგმა მეორე ეტაპი სახელწოდებით: „პოლიტიკური სტერილიზაცია", „რომლის მიზანია მოისპოს კონკურენტი პოლიტიკური სპექტრი საქართველოში".[95]

გაეროს კვლევებზე დაყრდნობით ქართველმა მწვანეებმა დაადგინეს, რომ ჰეროინის მოხმარებით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე იმყოფებოდა. „...საქართველოზე მოდის რეგიონში მოხმარებული ნარკოტიკების მინიმუმ 59%, ანუ 2, 4 ტონა ჰეროინი. ... საქართველო 1000 მოსახლეზე ჰეროინის მოხმარებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. (17 მომხმარებელი 1000-ზე, და გაცილებით უსწრებს რუსეთს (11), ესტონეთს (10), დიდ ბრიტანეთს (5), იტალიას (5), უკრაინას (2,9), გერმანიას (1,4), თურქეთს (0,3) და ა. შ. ... გაეროს „ნარკოტიკებისა და კრიმინალის ოფისის" მონაცემებით ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან 7 ტონა ჰეროინი შედის." ამ მონაცემების საფუძველზე გიორგი გაჩეჩილაძე გამოთქვამდა ეჭვს, „რომ ასეთი დიდი რაოდენობით ნარკოტიკების ბრუნვა ასეთი პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე შეუძლებელია ხელისუფლების უშუალო მონაწილეობის გარეშე". ჟურნალისტის კითხვაზე, რა გიქმნით ამ ეჭვის საფუძველსო, მწვანეთა ლიდერი ყოველგვარი დიპლომატიური რევერანსების გარეშე პასუხობდა: „2008 წლის არჩევნებმა ცხადყო, ნარკომანები ხელისუფლების მნიშვნელოვან პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენენ. როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები აცხადებდნენ, 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ კრიმინალური წარ-

95. გაზ. „ახალი თაობა", 28 ივლისი, 2009 წ.

მოშობის იყო. ნაციონალური მოძრაობის დამხმარე კატეგორიას ამ არჩევნებზე წარმოადგენდნენ კრიმინალური ელემენტები, რომლებისგანაც პოლიცია მოითხოვდა მათი ავტორიტეტისა და გავლენის გამოყენებას ამომრჩევლებზე. სამაგიეროდ მათ სთავაზობდნენ სხვადასხვა შეღავათებს მათ მიერ ნარკოტიკების მოხმარებაზე ან სხვა დანაშაულზე თვალის დახუჭვის ან მათი მეგობარი ავტორიტეტის ციხიდან გათავისუფლების სახით."[96]

მწვანეთა პარტიამ სერიოზული მუშაობა გასწია კასპში არსებული მძიმე ეკოლოგიური ვითარების გამოსასწორებლად. კასპის მოსახლეობაში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე შეისწავლეს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. რაიონის ახალგაზრდობის ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით მოწვეულმა ექსპერტმა გიორგი მაღრაძემ 2 საჯარო სკოლაში ეკოგაკვეთილები ჩაატარა. მწვანეების ძალისხმევით კასპში ჩამოყალიბდა მუდმივი მონიტორინგის ჯგუფი, რომლის წევრებსაც პრობლემების გადაჭრისთვის აუცილებელი უნარჩვევების გამომუშავების მიზნით ჩაუტარდათ ტრენინგები და სხვ. გაწეული მუშაობის შედეგად მოხერხდა:

— „ჰაიდელბერგცემენტ-კავკაზუსის" კასპის საწარმოს მიერ გადამუშავებული ნედლეულის ნარჩენების უტილიზაციის პრობლემის მოგვარება;

— გადაიჭრა მირიან მეფის ქუჩაზე განლაგებული კორპუსების სარდაფებში დაგროვებული წყლის პრობლემა;

— სოფელ ხანდაკში სარწყავი წყლის არხის გაყვანა;

— ფარნავაზის ქუჩაზე 2 საცხოვრებელი სახლის დატბორვის შეჩერება და სხვ.

2009 წლის ბოლოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდით მომზადდა და გამოიცა „საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია". დოკუმენტზე სხვავდასხვა დარგის 96 სპეციალისტი მუშაობდა.

10 ნოემბერს მწვანეთა პარტიასთან არსებული „გარემოს დაცვისა და სტიქიური უსაფრთხოების საბჭოს" წევრები

---

96. გაზ. „საქართველო და მსოფლიო", 2-8 დეკემბერი, 2009 წ.

შეხვდნენ პარტიის ლიდერს — გიორგი გაჩეჩილაძეს. შეხვედრაზე ისაუბრეს დასახელებული დოკუმენტის მნიშვნელობაზე, მის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე. 12 ნოემბერს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მოეწყო „საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის" განხილვა. მწვანეთა პარტიიდან განხილვაში მონაწილეობდნენ გიორგი გაჩეჩილაძე და „გარემოს დაცვისა და სტიქიური უსაფრთხოების ექსპერტთა საბჭოს" ხელმძღვანელი პროფესორი ნიკოლოზ ბერაძე. შეხვედრის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოს მიერ მომზადებულ საექსპერტო დასკვნას. „...კონცეფცია და მეცნიერთა მუშაობა მაშინ იქნება ნაყოფიერი, როდესაც ხელისუფლებას რეალურად ექნება პოლიტიკური ნება დაიცვას გარემო",[97] — განაცხადა შეხვედრაზე გიორგი გაჩეჩილაძემ.

2010 წლის 30 მაისს დაინიშნა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. მწვანეთა პარტიამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ამ არჩევნებში. 17 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე ამის შესახებ განაცხადეს პარტიის სახეებმა: გენერალ-ლეიტენატმა გიორგი შერვაშიძემ, პარტიის გენერალურმა მდივანმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი გაჩეჩილაძემ და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ზაზა აბაშიძემ. 5 მარტს მწვანეთა პარტიამ მოუწოდა ბოიკოტის მომხრე ოპოზიციურ პარტიებს უარი ეთქვათ თავიანთ ტაქტიკაზე და აქტიურად ჩაბმულიყვნენ საარჩევნო კამპანიაში. „ჩვენ პატივს ვცემთ ყველა პარტიის, მათ შორის „ბოიკოტის" მომხრეთა, პოზიციას; თუმცა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, არ გვესმის მათი მოწოდებების შინაარსი — საზოგადოება არჩევნებზე არ მივიდეს. ეს ხომ, ნებსით თუ უნებლიედ, „ნაცონალური მოძრაობისა" და მათი მერობის კანდიდატის „წისქვილზე ასხამს წყალს". აქედან გამომდინარე, „მწვანეთა პარტია" თხოვნით მიმართავს საქართველოში მოქმედ რეალურ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს, განსაკუთრებით — „ბოიკოტის" მომხრეებს და არასამთავრობო

97. გაზ. მწვანე სიახლეები", 6, ნოემბერი, დეკემბერი, 2009 წ.

ორგანიზაციებს: თავი შეიკავონ მოსახლეობის მოწოდებისგან — არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. პირიქით, ერთად ვიმოქმედოთ ამომრჩევლის გააქტიურებისთვის.

ჩვენ აგრეთვე მივმართავთ საქართველოს მოსახლეობას, აუცილებლად მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში, რითაც ერთად შევძლებთ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ეპოქის დაწყებას," — ნათქვამი იყო მიმართვაში.

თუმცა, ხელისუფლებამ კვლავ დაბლოკა მწვანეთა პარტიის არჩევნებში მონაწილეობა. 2008 წლის არჩევნების მსგავსად ცესკომ ამჯერადაც ყურით მოთრეული საბაბით (მწვანეთა პარტიის ერთ-ერთ წარმომადგენელს პირადობის მოწმობაში მხოლოდ ქალაქი თბილისი ეწერა, მისამართი კი არაო) რეგისტრაციაში არ გაატარა მწვანეთა პარტია. 15 აპრილს გამართულ სასამართლო პროცესზე ხელისუფლების მონა-მორჩილმა მოსამართლემ ცესკოს დაუჭირა მხარი. მწვანეთა პარტიის ლიდერებმა პოლიტიკური ბლოკის: „სახალხო დემოკრატები — მწვანეთა პარტია" მეშვეობით მაინც მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში. თბილისის ჩუღურეთის რაიონიდან საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ადგილზე კენჭი იყარა გიორგი გაჩეჩილაძემ, გიორგი შერვაშიძე კი თბილისის საკრებულოს დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი გახდა იმავე ჩუღურეთის რაიონიდან.

არჩევნები ამჯერადაც ტოტალურად გაყალბდა. ნაციონალების კანდიდატმა ჩუღურეთის რაიონში 67 პროცენტი „აიღო", გაჩეჩილაძეს მხოლოდ 10 პროცენტი ხვდა წილად. გაყალბების ერთ-ერთი მეთოდი იყო ბიულეტენების გაბათილება, რამაც ბიულეტენების საერთო რაოდენობის 10 (!) პროცენტი შეადგინა. „რეალურად 20-21 პროცენტი მოვიპოვეთ. ლოგიკური გათვლებით, ჩვენი პარტიის დარეგისტრირების შემთხვევაში, თბილისის მასშტაბით 16-18 პროცენტს ავიღებდით, რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგებით მე-2 ან მე-3 ადგილს დავიკავებდით,"[98] — აღნიშნავდა მწვანეთა ლიდერი.

---

98. გაზ. მწვანე სიახლეები", 3, ივნისი, 2010 წ.

2010 წლის ზაფხულში ოპოზიციამ ხელისუფლებასთან „ქუჩების ბრძოლის" მესამე რაუნდი წამოიწყო. ამჯერად ინიციატივა თავის თავზე „სახალხო კრებამ" აიღო. მწვანეთა პარტია, ისევე, როგორც 2007 და 2009 წლებში, ამჯერადაც არ მონაწილეობდა ამ აქციებში. „სახალხო კრების" ლიდერები კი საზოგადოებას არწმუნებდნენ — საკმარისია ქუჩაში გამოვიდეთ და სააკაშვილის ხელისუფლება უკანმოუხედავად გაიქცევაო. გიორგი გაჩეჩილაძე კი აცხადებდა, რომ აქციების მოთავეებს არასწორი გზით მიჰყავდათ მათზე მინდობილი ხალხი. წინა წლებში ეს ნაკლებად თუ ვინმეს სჯეროდა. მაგრამ 2010 წლის აქციებზე გაცილებით ნაკლები ხალხი გამოვიდა და ოპოზიციის ლიდერებმაც გამოსავალზე დაიწყეს ფიქრი. 30 ოქტომბერს ჭადრაკის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე ეროვნული ფორუმის, კონსერვატიული პარტიის, ხალხის პარტიის, ტრადიციონალისტთა კავშირის, პოლიტიკური ორგანიზაცია „თეთრებისა" და მწვანეთა პარტიის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების თაობაზე. ქუჩის აქციების მოთავეებმა აღიარეს, რომ ობიექტური მიზეზების გამო, ოპოზიციას ქუჩის აქციების გზით ამ რეჟიმის შეცვლა არ ძალუძს. ამიტომ შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის კოორდინაციაა. საჭიროა „თანხმობის დარბაზის" ჩამოყალიბება, რომელიც შეიმუშავებს მოქმედების განსხვავებულ გეგმას.

ეს სწორედ ის იყო, რასაც მწვანეები დიდი ხანია ურჩევდნენ სხვა ოპოზოციურ პარტიებს. მაგრამ უკვე 19 ნოემბერს გამართულ მორიგ შეხვედრაზე საღი აზრი კვლავ პიარმა დაჩრდილა. შეხვედრაზე მიღებულმა პარლამენტის შენობის წინ 25 ნოემბერს „სახალხო კრების" ჩატარების გადაწყვეტილებამ ჰაერში გამოკიდა ახლადშექმნილი „თანხმობის დარბაზი".

ოპოზიციური პარტიების ძალისხმევა კვლავ მცდარი მიმართულებით წარიმართა.

ჯერ კიდევ 2009 წელს პრეზიდენტი თბილისის გლდანის დასახლების მაცხოვრებლებს ამ რაიონში მდებარე ნაგავსაყრელის გაუქმებას და სოფელ ნორიოსთან მის გადატანას შეპირდა. ნაგავსაყრელისთვის შერჩეული ტერიტორია სოფლიდან სულ რაღაც 1,5 კილომეტრში, მარტყოფის ვენლის სიახლოვეს მდებარეობდა. ქართველებისთვის მარტყოფი ის ადგილია, სადაც 1625 წელს ჩვენმა წინაპრებმა შაჰ აბასის ჯარზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ამ ადგილზე არაერთი ისტორიული ეკლესია და მონასტრიც არის განთავსებული. ამდენად, ისტორიულ სოფელთან ნაგავსაყრელის გადატანა არა მხოლოდ ეკოლოგიური თვალსაზრისით იყო დაუშვებელი — მისი ფუნქციონირებისთვის უნდა გაეჩეხათ ტყის მასივი, რაც დააბინძურებდა გარემოს და მიწისქვეშა არტეზიულ წყლებს, არამედ იგი მიუღებელი იყო წმინდა ზნეობრივი თვალსაზრისითაც. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობა დაკარგავდა საძოვრებს, გაჩნდებოდა ანტისანიტარიისა და ეპიდემიების კერა და სხვ.

ნორიოს მოსახლეობა სოფლის მისადგომებთან ნაგავსაყრელის გადატანის წინააღმდეგ დაირაზმა. მათ დახმარებისთვის საპატრიარქოს და მწვანეთა პარტიას მიმართეს.

მწვანეთა პარტიამ გარემოს დაცვის სამინისტროში, თბილისის მერიაში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შესაბამისი წერილები დააგზავნა და კატეგორიულად მოითხოვა ნაგავსაყრელის მშენებლობის შეჩერება. 19 დეკემბერს პარტიის ოფისში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე გაჩეჩილაძემ გააფრთხილა პრეზიდენტიც და ქალაქის მერიაც, რომ თუ პროექტის რეალიზაცია არ შეჩერდება, აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. „ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით გლდანის ნაგავსაყრელის გადატანას, მაგრამ ეს საქართველოს ისტორიისა და მოსახლეობის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. კეთილი ინებონ და სხვა ტერიტორია მოძებნონ,"[99]— განაცხადა მან.

---

99. გაზ. „მწვანე სიახლეები," 2010 წ. 7

მეორე დღეს მწვანეთა პარტიამ ნაგავსაყრელისთვის შერჩეულ ადგილზე საპროტესტო აქცია გამართა. პარალელურად მწვანეთა პარტიამ მოამზადა სარჩელი საქართველოს, შემდეგ კი ევროპის სასამართლოში შესატანადაც.

სწორად წარმართულმა საპროტესტო მუშაობამ შედეგი გამოიღო. ხელისუფლება იძულებული გახდა უკან დაეხია: „ნაგავსაყრელი მოსახლეობისთვის უსაფრთხო ადგილას მოეწყობა", — ეს განცხადება გიგი უგულავამ დედაქალაქის საკრებულოს სხდომაზე 28 დეკემბერს გააკეთა.

ქართველმა მწვანეებმა ენერგიულად გააპროტესტეს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის ქვეყანაში შემოტანისა და მასობრივი გავრცელების შესახებ. 27 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი გაჩეჩილაძემ „გლეხობის დაკაბალებისა და სოფლის მეურნეობის განადგურების მორიგი მცდელობა" უწოდა ხელისუფლების ამ ახალ ინიციატივას და გლეხობას მოუწოდა არ დაეთესათ ამერიკული სიმინდი.

„კომპანიები „პიონერი", „მონსანტო" და „დიუპონი" გაერთიანებული არიან ე. წ. სიცოცხლის ინდუსტრიაში", რომელიც მსოფლიო ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოების მონოპოლისტს წარმოადგენს. ... „პიონერის" შემოყვანით საკაშვილის ხელისუფლება ჩვენი სოფლის მეურნეობის წინააღმდეგ მიზანმიმართულ დივერსიას ახორციელებს: ვთქვათ, „პიონერის" მიერ მოწოდებული სიმინდის თესლი გენმოდიფიცირებული არ არის და მხოლოდ ჰიბრიდული (შეჯვარებული) ჯიშისაა. ნებისმიერი სპეციალისტი გეტყვით, რომ ამ სახის თესლით მოყვანილი სიმინდით გლეხი მეორე წელს ახალ მოსავალს ვეღარ თესავს. გამოდის, რომ „პიონერს" უნდა მიაკითხონ თესლისთვის. ჩვენს გლეხებს მოვუწოდებ: არ დათესოთ ამერიკული „პიონერის" მიერ ნაჩუქარი სიმინდის თესლი! ამით თქვენ დაგაკაბალებენ და გასაქანს არ მოგცემენ."[100] — აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

---

100. გაზ. „მწვანე სიახლეები", 2010 წ. 13

მწვანეთა გაფრთხილების მიუხედავად ამერიკული სიმინდის თესლი გლეხების გარკვეულმა რაოდენობამ მაინც დათესა. შემოდგომაზე მათი დიდი ნაწილი გაწბილებული აღმოჩნდა. სიმინდის კარგად გაპიარებული პროგრამის ჩავარდნა კი პრემიერ-მინისტრმაც აღიარა.

საქართველოს ხელისუფლება ამის შემდეგაც ძველებური რიხით განაგრძობდა მოსახლეობისთვის თვალებში ნაცრის შეყრის პოლიტიკას. ნაციონალური ტელევიზიები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაჰყვიროდნენ, რომ საქართველო მესამე ადგილზეა ბიზნესის დაწყების სიმარტივით, მაგრამ არაფერს ამბობდნენ იმაზე, რომ კერძო საკუთრების დაცვის კუთხით ჩვენი ქვეყანა 139 ქვეყნიდან მხოლოდ მოკრძალებულ 93-ე ადგილს სჯერდებოდა, სასამართლოს თავისუფლების ინდექსით ჩვენ 117 ადგილზე ვიყავით, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ინდექსში საქართველო 125-ე, ბაზრის მონოპოლიზაციის ხარისხით კი 98-ე ადგილზე იმყოფებოდა. ამერიკული ორგანიზაციის კვლევის შედეგების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 39 პროცენტი იტანჯებოდა, 55 პროცენტი დაძაბული იყო და მხოლოდ 10 პროცენტი ხალისობდა ანუ თავს გრძნობდა ბედნიერად.[101] ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის ბიუჯეტის გაათმაგება არანაირად არ აისახა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. სამაგიეროდ, ამან მეტად თვალსაჩინო ასახვა ჰპოვა საქართველოს პოლიტელიტისა და მასთან დაახლოებული ბიზნესელიტის — შემოსავლებში, რომელიც ამ რვა წლის განმავლობაში 40-50-ჯერ გაიზარდა.

ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებდა თუ სინამდვილეში ვის ინტერესებს გამოხატავდა ნაციონალური ხელისუფლება. განვლილმა წლებმა ცხადყო ისიც, რომ სააკაშვილის მმართველობას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან და რომ მისი ძალაუფლება ორ მთავარ საყრდენს ეფუძნება — მმართველობის ავტორიტარულ სტილს და პიარის ხელოვნებას.

---

101. გაზ. „კვირის პალიტრა", 17-23 იანვარი, 2011 წ. გაზ. „კვირის პალიტრა", 2-8 მაისი, 2011 წ.

აფხაზეთის შელფზე რუსული კომპანია „როსნეფტის" მიერ ნავთობის მოპოვების აკრძალვის საკითხი დააყენეს ქართველმა მწვანეებმა ესტონეთის დედაქალაქ ტალინში 2010 წლის 7-11 ოქტომბერს გამართულ ევროპის მწვანეთა პარტიის მმართველი საბჭოს მორიგ სხდომაზე.

საქართველოს მწვანეთა პარტიის სახელით გიორგი გაჩეჩილაძემ მოუწოდა სხდომის მონაწილეებს შეემუშავებინათ რეზოლუციის პროექტი, რომლის საფუძველზეც ევროპარლამენტი გამოაცხადებდა მორატორიუმს აფხაზეთის აკვადორიაში ნავთობის მოპოვებაზე. ევროპელი მწვანეები გაგებით მოეკიდნენ ქართველი კოლეგების ინიციატივას. ამ საკითხის დეტალური განხილვა უახლოეს მომავალში ბულგარეთის დედაქალაქში დაგეგმილ ევროპის მწვანეთა პარტიის შავი ზღვის დიალოგის ჯგუფის შეხვედრაზე გადაწყდა.

ქართველი მწვანეები უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებდნენ სოჭის 2014 წლის ოლიმპიადისთვის საჭირო შენობა-ნაგებობებისთვის რუსული კომპანიების მიერ აფხაზეთის შავი ზღვის ზოლში მოპოვებული ინერტული მასალისა და ამავე რეგიონის ტყეებში ძვირფასი ჯიშის ხეების უკონტროლო ჭრის წინააღმდეგ. ინერტული მასალის უკონტროლო გატანა საფრთხეს უქმნიდა აფხაზეთის სანაპირო ზოლს, ხოლო მისი ნაკრძალების ბარბაროსული გაჩანაგება გადაშენებას უქადდა აფხაზეთის უნიკალურ ფლორასა და ფაუნას.

საქართველოს მწვანეთა პარტიამ ამ საკითხებთან დაკავშირებით სპეციალური წერილით მიმართა აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციებს, ოპოზიციურ პარტიებს და თანამშრომლობისკენ მოუწოდა მათ. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისთვის საჭირო ბერკეტების მოსაძიებლად ქართველმა მწვანეებმა გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც.

გაწეულმა მუშაობამ ამჯერადაც შედეგი გამოიღო: აფხაზეთის ახალმა დე-ფაქტო პრეზიდენტმა ანქვაბმა განაცხა-

და, რომ აღარ დაუშვებს აფხაზეთის სანაპირო ზოლიდან ინერტული მასალების სოჭში გატანას.

2011 წლის 11-12 თებერვალს საქართველოს მწვანეთა პარტიის ორგანიზებით, თბილისში რეგიონული ფორუმი გაიმართა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მწვანეთა პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ეკოლოგიური დარგის ექსპერტები და ჟურნალისტები. ამ მნიშვნელოვანი შეხვედრის მიზანი იყო რეგიონის მასშტაბით გარემოსდაცვითი, სამართლებრივი და სოციალ-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება და გააქტიურება, ერთიანი რეგიონული გარემოსდაცვითი პლატფორმის შემუშავებისთვის პირობების მომზადება და სხვ.

შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. მასზე ხელი მოეწერა სამმხრივ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც შეიქმნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების იმ წარმომადგენლებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც იზიარებენ დემოკრატიის პრინციპებსა და ევროპის მწვანეთა ფასეულობებს. სამუშაო ჯგუფის უმთავრეს ამოცანად განისაზღვრა ერთიანი პლატფორმის — „რეგიონული უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება"-ს შემუშავება.[102]

2011 წლის მაისში თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, გაიხსნა აშშ-ს მიერ 100 მილიონი დოლარით დაფინანსებული ქართულ-ამერიკული ბიოლოგიური ლაბორატორია. მიუხედავად იმისა, რომ 8 ათას კვადრატულ მეტრზე განფენილ ამ საიდუმლო ლაბორატორიის გახსნას აშშ-ს თავდაცვის მინისტრიის მოადგილე, აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ბასი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი გილაური დაესწრენ, სახელსუფლებო არხებმა ეს ღონისძიება აშკარად მიაჩუმათეს. გაზეთ „ასავალ-დასავალთან" საუბარში გიორგი გაჩეჩილაძე განმარტავდა აღნიშნული ლაბორატორიის ჭეშმარიტ მიზნებსა და დანიშნულებას. ის

102. გაზ. „მწვანე სიახლეები", 1, აპრილი, 2011 წ.

მოსახლეობას შეახსენებდა იმ საპროტესტო გამოსვლებს, რომლებიც მწვანეთა პარტიამ ამ ქართულ-ამერიკული ლაბორატორიის მშენებლობის შეთანხმებაზე ხელმოწერის დროს გამართა და აღნიშნავდა, რომ შეთანხმების თანახმად ლაბორატორიაში უნდა შენახულიყო განსაკუთრებულად საშიში პათოგენები და განხორციელებულიყო მათზე კვლევები. „სააკაშვილმა თბილისში გაგვიხსნა საიდუმლო ბიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც სავსეა შავი ჭირის, ციმბირის წყლულის, ყვავილის დაავადების, ქოლერის, ტულარემიის და რქოსანთა ჭირის „იმპორტული შტამებით"! საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ საშინელი მიკროორგანიზმების გავრცელება შესაძლებელია როგორც ცოცხალი გადამტანების — მწერების, მღრნელების და ტკიპების, ასევე — ჰაერის მეშვეობით!" — აღნიშნავდა ის.

ეჭვებს აღძრავდა არა მხოლოდ ლაბორატორიის საიდუმლო ხასიათი, არამედ მისი განლაგების ადგილიც. „თუ ეს კვლევითი დაწესებულებაა, მაშინ რატომ განათავსეს სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე? თუ ეს ჩვეულებრივი სამეცნიერო დაწესებულებაა, მაშინ რატომ დაესწრო მის გახსნას პენტაგონის შეფის მოადგილე ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვის საკითხებში?! თუ ეს ორდინალური ლაბორატორიაა, მაშინ რატომ დანიშნეს მის დირექტორად ქალბატონი ანა ჟვანია, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, 2008 წლის თებერვლამდე 16 თვის განმავლობაში დაზვერვის სამსახურს ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობაში?"[103]— სვამდა ლოგიკურ კითხვებს გაჩეჩილაძე და გამოთქვამდა შეშფოთებას იმის გამო, რომ შესაძლო ავარიის, ან უცხო ქვეყნის (რუსეთის) მიერ ლაბორატორიის დაბომბვის შემთხვევაში ჰაერში ამოიფრქვეოდა ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში შტამები.

17 მაისს „ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა" მწვანეთა პარტიის ხელშეწყობით, საგარეჯოს რაიონში ნავთობის ამოფრქვევით დაზარალებული 2420 მოქალაქის საჩივარი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გაგზა-

103. გაზ. „ასავალ-დასავალი", 28 მარტი - 3 აპრილი, 2011 წ.

ვნა. საქმე ეხებოდა 2004 წელს ნინოწმინდაში დაზიანებული ჭაბურღილიდან ნავთობისა და სხვა თანამდევი ნივთიერებების ამოფრქვევის შედეგად 400 ჰექტარი მიწის ფართობის დაბინძურებას. დაზარალებული ადამიანების საჩივრების ქართულ სასამართლოში განხილვამ სათანადო შედეგი არ გამოიღო. მოსარჩელეებს სასამართლომ ექსპერტიზის დანიშვნაზეც კი უარი განუცხადა. ამის შემდეგ დაზარალებული ადამიანების დაცვა „ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა ითავა". უკვე ივნისის თვეში „ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა" სტრასბურგიდან მიიღო შეტყობინება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცენტრის საჩივარი რეგისტრაციაში გაატარა.

საქართველოს ისტორიაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ევროპული სასამართლო ჩვენს ეკოლოგიურ საჩივარს განიხილავს.

საქართველოს ოპოზიციური პარტიები კი კვლავაც ურთიერთქიშპით იყვნენ დაკავებულნი. მწვანეთა პარტია ამხელდა ოპოზიციური რვიანისადმი ხელისუფლების მიერ შეთავაზებული საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების წინადადებების აბსურდულ და არაკონსტიტუციურ ხასიათს. მწვანეები განსაკუთრებით მიუღებლად მიიჩნევდნენ პარლამენტის დეპუტატების რაოდენობის გაზრდას.

„საქართველოს კონსტიტუციის" მიხედვით „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი" (და არა პარტია) და ეს „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

ამიტომ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ ამ წინადადებებზე დათანხმება არა მარტო უზნეოა, არამედ ანტიკონსტიტუციურიც!", —აღნიშნული იყო ამ საკითხთან დაკავშირებით 2011 წლის 27 ივნისს მწვანეთა პარტიის მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

ხელისუფლება იძულებული გახდა უარი ეთქვა დეპუტატთა რაოდენობის გაზრდის ესოდენ არაპოპულარულ გეგმაზე. თუმცა ქართულ ოპოზიციურ სპექტრში პიროვნული

ამბიციები კვლავ თრგუნავდა საერთო-ეროვნულ ინტერესებს. „ ... პოლიტიკური სპექტრი არ შეესაბამება იმ რეალობას, რომელიც დღეს არსებობს ქვეყანაში", — აღნიშნავდა გიორგი გაჩეჩილაძე გაზეთ „ახალ თაობასთან" საუბარში. პოლიტიკური პარტიების იმ პროგნოზის საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც საქართველოში „პოლიტიკურად ცხელი შემოდგომა" იყო მოსალოდნელი, მწვანეთა ლიდერი აცხადებდა: „ ... არავითარი ცხელი შემოდგომა არ იქნება. იქნება ისევ გაუთავებელი, დაუმთავრებელი რევოლუციები. ერთადერთი ქვეყანაა დედამიწაზე საქართველო, სადაც გაუთავებლად იგეგმება რაღაც რევოლუციები და ეს რევოლუციები, როგორც წესი, არასოდეს მთავრდება და შუაზე წყდება." ჟურნალისტის კითხვაზე: „ოპოზიციური ექვსიანი ფიქრობს მილიონი მხარდაჭერის მობილიზებაზე, ამ მხრივ აქტიურ კამპანიაზე მოსახლეობასთან, საზოგადოებასთან. ეს უშედეგო იქნება?" — გაჩეჩილაძე პასუხობდა: „ექვსიანი იქნება თუ თვრამეტიანი, ამას მნიშვნელობა არ აქვს. საზოგადოებრივი განწყობა ასეთია: უნდა შეიქმნას ხელისუფლების ალტერნატიული ცენტრი. ეს არის მნიშვნელოვანი. მაგრამ ის არ შეიქმნება და ვერც შეიქმნება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური პარტიებისგან. მასში უნდა ჩაებას სამოქალაქო საზოგადოება ... ჩვენი ღირსეული მოღვაწეები ... ეს უნდა იყოს დიდი საზოგადოებრივი გაერთიანება".[104]

2011 წლის 28 მარტს მწვანეთა პარტიამ მიმართვა გაუგზავნა აშშ-ს საელჩოს, **ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში, ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტს, ამერიკის საერთაშორისო ეროვნულ–დემოკრატიულ ინსტიტუტს და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ოპოზიციურ პარტიებს.** მწვანეები ადრესატთა ყურადრებას მიაპყრობდნენ ქართული რეალობის ერთ პარადოქსს, კერძოდ იმას, რომ ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი საარჩევნო სიების მიხედვით საქართველოში ამომრჩეველთა რაოდენობა მოსახლეობაზე მეტი გამოდიოდა. მწვანეთა პარტიამ მხოლოდ და მხ-

104. გაზ. „ახალი თაობა", 1 სექტემბერი, 2011 წ.

ოლოდ ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ „საქართველოში არა 4,4 მილიონი, არამედ 3,2 მილიონი ადამიანი ცხოვრობს (ანუ 1,2 მილიონით ნაკლები), ხოლო ამომრჩეველთა რაოდენობა არა 3,6 მილიონია არამედ 2,4 მილიონი. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ამომრჩეველთა რაოდენობა მოსახლეობაზე მეტია და 3,2 მილიონ მოსახლეობაზე 3,6 მილიონი ამომრჩეველია რეგიტრირებული," — ნათქვამი იყო მიმართვაში.

2011 წლის ივნისში ხელისუფლებამ მედია-ჰოლდინგ „პალიტრას" შეუტია. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა 7 ივნისს ჰოლდინგში გაერთიანებულ რვავე უწყებაში ერთდროული არაგეგმური შემოწმება წამოიწყო.

ეს თავისუფალ მედიაზე თავხედური თავდასხმა იყო. საქართველოს მწვანეთა პარტიამ დაუყოვნებლივ გააერცელა მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროპის ქვეყნების მწვანეთა პარტიებისა და ევროპარლამენტში ევროპის მწვანეთა პარტიის ფრაქციისადმი, რომელშიც დაუნდობლად იყო მხილებულ ხელისუფლების ანტიდემოკრატიული კურსი. „ქართული საზოგადოებისთვის უკვე ნათელია, რომ ქვეყანას მართავს ხელისუფლება, რომლის მახასიათებლები პორტუგალიური ფაშისტური რეჟიმის (რეჟიმს სათავეში ედგა პრემიერ-მინისტრი ანტონიუ დი ოლივეირა სალაზარი 1930-1968 წწ.). ანალოგია შედარებისთვის: საქართველოს დღევანდელ სახელისუფლებო პარტიას „ნაციონალური მოძრაობა" ეწოდება, სალაზარის პარტიას „ნაციონალური კავშირი" ერქვა.

მოგმართავთ თხოვნით:

არ დაუშვათ თავისუფალი მედია-საშუალების განადგურება საქართველოში ..." [105] – ნათქვამი იყო მიმართვაში.

საქართველოს მწვანეთა პარტია მიესალმა ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის — ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას. „ჩვენთვის სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს

105. გაზ. „მწვანე სიახლეები", 4, ივნისი 2011 წ.

განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს საქართველოს ბუნებასთან და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მის გადარჩენა-გაჯანსაღებაში, რაც მისი პოლიტიკური ცნობიერების ეროვნულ ფესვებზე მიანიშნებს,"[106]- ნათქვამი იყო ამ საკითხთან დაკავშირებით მწვანეთა პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

2011 წლის 18 დეკემბერს მწვანეთა პარტიამ თავისი მორიგი მე-10 ყრილობა გამართა. მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა მწვანეთა პარტიის 27 რეგიონული ორგანიზაციის 217 დელეგატი. ყრილობას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრებიც.

საანგარიშო მოხსენებით ყრილობაზე წარსდგა პარტიის გენერალური მდივანი გიორგი გაჩეჩილაძე. მან ვრცლად ისაუბრა ხელისუფლების მხრივ მწვანეთა პარტიის შევიწროების ფაქტებზე, იმაზე, თუ როგორ არ მისცეს პარტიას არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება, თუ როგორ ბლოკავდა ხელისუფლება მწვანეთა აქტიურობას მედიასაშუალებებში, თუ როგორ ცდილობდა ის ევროპაში ქართველი მწვანეების გავლენისა შესუსტებას, მისი ავტორიტეტის შელახვას და სხვ. ამის მიუხედავად საანგარიშო პერიოდში პარტიის მიერ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საქმიანობა იქნა განეული, რაც სათანადოდ იქნა მოხსენებაში ასახული.

მწვანეთა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის საქმიანობის, მისი საერთაშორისო კონტაქტების შესახებ ყრილობას მოახსენა გიორგი მეგრელიშვილმა.

კონცეფციის — „საქართველო — ეკოლოგიურად სუფთა ქვეყანა" — ძირითადი იდეები და მიმართულებები ყრილობას წარუდგინა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ამირან ქაშაკაშვილმა.

ყრილობამ დაამტკიცა მწვანეთა პარტიის სამოქმედო პროგრამის ძირითადი მიმართულებები და აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები. პარტიის სპიკერებად აირჩიეს გიორგი მეგრელიშვილი და მანანა ბოჭორიშვილი. მთავარი

106. გაზ. „მწვანე სიახლეები", 8, ოქტომბერი, 2011 წ.

კომიტეტი შვიდი კაცის შემადგენლობით განისაზღვრა: გიორგი გაჩეჩილაძე, სოფიო სახანბერიძე, ლელა კიკნაძე, ამირან ქაშაკაშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, გიორგი მეგრელიშვილი, დალი ქაჩიბაია.

პარტიის გენერალურ მდივნად დელეგატებმა კვლავ გიორგი გაჩეჩილაძე აირჩიეს.

მომავალი წლისთვის პარტიის პრიორიტეტებად ყრილობამ ეკოლოგიური, სასურსათო, პოლიტიკური, სოციალური და ნარკოუსაფრთხოება გამოაცხადა.

რეზიუმე

საქართველოს მწვანეთა პარტია ევროპული ტიპის და ევროპული ორიენტაციის ორგანიზაციაა. პოლიტიკურ ასპარეზზე იგი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა და ძალზე მოკლე დროში ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ინტელექტუალურ პოლიტიკურ ძალად დაიმკვიდრა თავი. პარტიის მოღვაწეობის უმთავრესი მიმართულება გარემოსდაცვითი საქმიანობაა. თავისი 20-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე მწვანეთა პარტიამ მეტად არსებითი როლი შეასრულა საქართველოში ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღების საქმეში. პესტიციდებისა და ნიტრატების, ტყის ჭრისა და კარიერების, თბილისის შემოგარენის განადგურების, შავი ზღვის აუზის დანაგვიანების, სოჭის 2014 წლის ოლიმპიადისთვის საჭირო შენობა-ნაგებობებისთვის რუსული კომპანიების მიერ აფხაზეთის შავი ზღვის ზოლში მოპოვებული ინერტული მასალისა და ამავე რეგიონის ტყეებში ძვირფასი ჯიშის ხეების უკონტროლო ჭრის, მდინარეების გაყიდვის, რეგიონში ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის, ნარკობიზნესის, ქვეყანაში გენმოდიფიცირებული პროდუქციის შემოტანის და სხვა მსგავსი პრობლემების მოგვარებისთვის პრინციპულმა და უშეღავათო ბრძოლამ მწვანეთა პარტიას მოსახლეობაში სათანადო ავტორიტეტი მოუპოვა.

მკვეთრად გამოხატული გარემოსდაცვითი მიმართულების მიუხედავად საქართველოს მწვანეთა პარტია არასოდეს შემოფარგლულა მხოლოდ და მხოლოდ ეკოლოგიური პრობლემატიკით და ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1992 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მწვანეთა პარტიამ 11 ადგილი მოიპოვა და პარლამენტში ძლიერი ფრაქცია შექმნა. ის ფაქტი, რომ საქართველოს "ვარდების რევოლუციამდე" მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამართული და სრულყოფილი ეკოლოგიური სამართლებრივი ბაზა გააჩნდა, სწორედ ქართველ მწვანეთა საკანონმდებლო საქმიანობის შედეგია.

ქართველ მწვანეთა აქტიური გარემოსდაცვითი და პოლიტიკური მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ევროპის მწვანეთა პარტიის დაარსებაში და დღემდე მის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს შეადგენენ. 1991 წლიდან საქართველოს მწვანეთა პარტია ევროპის მწვანეთა ფედერაციის, ხოლო 2004 წლიდან ევროპის მწვანეთა პარტიის მმართველი საბჭოს წევრია.

1993 წლის ნოემბერში მწვანეთა პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი მმართველ პარტიაში გადავიდა, რამაც მძიმე დარტყმა მიაყენა მწვანეთა პარტიას. დაინგრა მისი სტრუქტურა, დაიფანტა მისი ძალები.

1995 წლიდან პარტიამ ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც მოახერხა კრიზისიდან გამოსვლა და გაძლიერება.

კორუფციის, ნარკობიზნესის, პარკებსა და ბაღებში უკანონო მშენებლობების, მწვანე ნარგავებისა და ტყეების განადგურების წინააღმდეგ, ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების თანმიმდევრული დამკვიდრებისთვის მწვანეთა პარტიის აქტიური ბრძოლა საქართველოში კორუმპირებული მოხელეების, ჩვენი ბუნების ხარჯზე გამდიდრების მოსურნე ბევრი ადამიანის გაღიზიანებას იწვევდა და იწვევს. სწორედ ამის შედეგია მწვანეებზე ზეწოლის გაძლიერება, მათ მიმართ გაჩაღებული ცილისმწამებლური კამპანია და თავდასხმები. მწვანეთა პარტიას ყურით მოთრეული საბაბით წაართვეს ოფისი, ყოველგვარი აკრძალური ხერხებით ზღუდავენ მის მონაწილეობას არჩევნებში, იბლოკება მწვანეთა საქმიანობის გაშუქება მას-მედიის საშუალებებში და სხვ. ამის მიუხედავად საქართველოს მწვანეთა პარტია ურყევად ადგას ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ერთხელ არჩეულ გზას, კვლავაც ერთგულად ემსახურება თავის მიერ დეკლარილებულ პრინციპებს: „ეკოლოგია, დემოკრატია, არაძალადობა, სოციალური თანასწორობა."

Summary

The Greens Party of Georgia is a strongly European-oriented organization. It appeared on the political arena in the 80s of the last century and in very short time became one of the most intellectual political forces in the country. The main direction of the party is focused on environmental activities. During its 20 years of work the Greens Party has played a very significant role in the efforts of improving ecological situation in Georgia. The party earned appropriate and considerable reputation in the population for long and tough fights for solving the problems related to pesticides and nitrates, wood cutting and carriers, destruction of surroundings of Tbilisi, obtaining the inert materials by the Russian companies in the black sea coastline for the constructions for 2014 Sochi Olympic games and cutting the precious trees in the same region, selling the rivers, nuclear power-plant constructions in the region, drug dealing, importing genetically modified products etc.

In spite of the well-expressed environmental direction, the Greens Party of Georgia was never limited by the ecological activities and was always actively involved in the country's political life. In 1992 elections The Greens won eleven seats in the Parliament and created a strong fraction. The fact, that until the "Rose Revolution" Georgia had one of the most complete and comprehensive environmental legal framework, is the result of the Greens' successful legislative activities.

The Greens' environmental and political activities have not gone unnoticed. They actively participated in founding of the European Greens Party and are still one of the important units in it. Since 1991 The Greens Party of Georgia has been a member of European Green Federation, while since 2004 it has been a member party of the governing Council of the European Greens Party.

In November 1993 the core of the greens party moved to the Ruling Party, which was a heavy blow to the Greens. The party's structure was destroyed, its forces scattered.

In 1995 despite of many artificial obstacles the party still managed to resist, survive the crisis and strengthen.

Fight against corruption, illegal constructions in the parks and gardens, destruction of forests and green plants, also struggle for the country's democratic principles caused and still cause irritation in the corrupt public officials. As a result of this, the pressure was reinforced; various campaigns of slanderous attacks were encouraged against the Greens. The party office was taken away for unknown reasons, with totally illegal ways they are limiting its participation in the elections, the media coverage is blocked for the Greens etc. In spite of all this, the Greens Party remains firmly on its path of nation building, and will continue to follow its principles declared as following: "Ecology, Democracy, Nonviolence and Social Equality".

შესავალი

შესავალი.....3

თავი I

სათავეებთან 11

თავი II

აღმავლობა 31

თავი III

მწვანეთა ორგანიზაციის ნგრევა და ბრძოლა მისი ხელახალი რეანიმაციისთვის 1993-1998 წწ. 61

თავი IV

საქართველოს მწვანეები საინფორმაციო ბლოკადაში, ბრძოლა მწვანეთა ორგანიზაციის გადარჩენისთვის 1998-2003 წწ. 90

თავი V

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ 128
რეზიუმე 176
Summary 178